h-43

შინაარსი

1. II-ე ინტერნაციონალი ბურჟუაზიის სადარაჯოზე 1
3. **მ. ჩოდრიშვილი**—დავეხმაროთ რევოლიუციისათვის მებრძოლთ 2
3. **უპარტიო**—რემედას ის საქართველოს პირველი კომფერენციის შედეგებისათვის 3
4. **პ. სვანიძე**—რა არის რემედას-ი 5
5. **ნ. კანინი**—რემედას-ი და კომკავშირი 7
6. **პრესა** ა) რემედას-ის 2 წლის თავი
   ბ) როგორ ეგზავნება პოლიტიკურ ტუსაღებს დახმარება 9
7. **რემედას-ის ალმასკომი**—ღია ბარათი მე II ინტერნაციონალს.

ლიტერატურა

8. **პოლიო აბრამია**—უკანასკნელი სეანსი—ლექსი 11
9. **პ. ირეთელი**—გმინვა. (მოთხრობა) 12
10. **კარლ ლიბკნეხტი** — რევოლიუცია — ლექსი — მთარგმნელი — პ. ა. 15
11. **პ. ოდიშელი**—კონცერტები—ფრაგმენტი 16

ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში

12. **ე. ჰელაინი**—გერმანია 17
13. **მ. ფერრი**—იტალია 18
14. **ტ. ლუკანოვი**—ბულგარეთი 19
15. **ტ. ლ.**—ამხ. დ. ნ. ბლაგოევი 20
16. **ა. კენდის**—ჰუნგრეთი 21
17. **მაზმანიდი**—საბერძნეთი 22
18. **ა. მარტი**—საფრანგეთი 23
19. **გ. კიი**—ოსმალეთი 24
20. ესტონეთი 25

რემედას-ი უცხოეთში.

21. 1) საფრანგეთი, 2) ბალკანეთი, 3) სლავია, 4) ბულგარეთი, 5) პალესტინა, 6) იტალია 27

რემედას-ი საქართველოში.

22. რემედას-ის საქართვ. 1 ლი კონფერენცია 28
23. რემედას ის საქ. ცეკას მუშაობის საორგანიზაციო გეგმა კონკრეტიული ამოცანები 31
24. დებულება რემედას ის უჯრედების შესახებ 33
25. დებულება რემედას-ის მეგობართა შესახებ 35
26. რემედას-ის კვირეული 38
27. წერილები ადგილებიდან.
28. ბიბლიოგრაფია.
29. ქრონიკა.

363(ლ)(05)
ჰ43

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლკკ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ორგანო

1924 წ. დეკემბერი № 4

632

მეორე ინტერნაციონალი ბურჟუაზიის სადარაჯოზე

დასავლეთ ევროპის მენშევიკური პარტიები ააშკარავებენ თავიანთ ოღალატურ საქმიანობას ყოველ დღეს ახალ-ახალი ამბები მოაქვს მათი გამცემლობითი მუშაობის შესახებ.

ევროპის სახელმწიფოებში ამ ჟამად მძვინვარებს საშინელი რეაქცია. ბურჟუაზია ცდილობს საკუთარი ბატონობა, ქვეყნის მესვეურობა შეინარჩუნოს. ამ მიზნის განსახორციელებლად იგი არ ერიდება არავითარ საშუალებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი „საშუალებაა“ „მუშათა“ პარტიების მოყიდვა, მდიდრების მხარეზე გადმობირება. ბურჟუა ვერ დააჯერებს მუშას, რომ კაპიტალისტებს ქვეყნის ბედნიერება სურთ. ამისათვის საჭიროა შუამავალი. ასეთები არიან სწორედ ევროპის მენშევიკები. ისინი გამოდიან „შუა კაცად“ ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის, ამრთელებენ „ჩატეხილ ხიდს“. მუშებს ეუბნებიან: თქვენი ინტერესების დამცველი ჩვენ ვართ, მხოლოდ ჩვენ შეგვიძლიან „კაცთა შორის სათნოების“ დამყარებაო. ხოლო იმავე დროს ბურჟუაზიას ეფიცებიან: ჩვენ გვყავს საერთო მტერი—მესამე ინტერნაციონალი, ერთმანეთის დაუხმარებლად ვერაფერს გავაკეთებთ, ერთად ვიმუშაოთ, მუშათა მასსების თანაგრძნობის მოპოვება ჩვენს, ე. ი. მენშევიკების, კისერზე იყოსო. ფარისეველი ბურჟუაზიაც მოხერხებულად იქცევა. იგი პოლიტიკურ ძალა-უფლების ნატეხებს უგდებს სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს. არც მენშევიკები არიან „მოუხერხებელნი“. ერთსა და იმავე დროს ორ კურდღელს იჭერენ, არც ბურჟუაზიას იმტერებენ და არც მუშათა ორგანიზაციებს. თავი ბურჟუაზიის ბანაკში აქვთ, ხოლო კუდს კი მშრომელ ხალხისკენ აქიცინებენ.

უკანასკნელ ხანებში ევროპის პროლეტარიატი რევოლიუციონურ მოძრაობას აწვითარებს. თითქმის ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ადგილი აქვს მუშების აშკარა გამოსვლას ბურჟუაზიულ მთავრობების წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვხედავთ არა სასიამოვნო მაგარამ იშვიათად ახსოვს ევროპის მუშათა კლასის მოძრაობის ისტორიას. რასაკვირველია, აქ მოულოდნელი არაფერია. რეაქცია ძლიერდება, რადგან ვითარდება რევოლიუციონური განწყობილება მასსის ფართო ფენებში. შეიძლება ითქვას, რომ ევროპის ბურჟუაზიული კლასები შეტევას კი არ აწარმოებენ, არამედ თავდაცვას მებრძოლ პროლეტარიატის საშიშროებისაგან. მართალია, შეიარაღებულია ბურჟუაზია, მაგრამ ეს არაა გადამჭრელი პირობა. თავი და თავი ის არის, რამდენადაა განიარაღებული ევროპის მუშათა კლასი რევოლიუციონური ბრძოლის შეგნებისა და აზრებისაგან. ბურჟუაზია იარაღს აჟღარუნებს. არც შეიძლება სხვანაირად იყოს, მშრომელი მასსა მის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლისთვის ემზადება.

დღევანდელი მდგომარეობა მაინც სერიოზულია. ბურჟუაზიის სიხხეცეს არ აქვს საზღვარი. ფაშისტური ორგანიზაციები, ბურჟუაზიის პოლიციელები წამ და უწუმ ესხმიან მუშათა კრებებს, მუშათა კავშირებს და ანადგურებენ მათ. ეს კიდევ არაფერი: მასსიურად აპატიმრებენ მუშათა ხელმძღვანელებს, კატორღაში გზავნიან, ძლიერ ხშირად ხვრეტენ მათ. ასეთი ამბავი ხდება ევროპაში, სადაც ფარფაშობენ მეორე ინტერნაციონალის პარტიები

ევროპის ციხეებში ამ ჟამად მოთავსებულია დაახლოებით 100 ათასი რევოლიუციონერი. საუკეთესო მუშები, მედგარი მებრძოლები, ბურჟუაზიულ წყობილების სასტიკი მტრები საპყრობილეებში იტანჯებიან. აშკარაა, ამას კარგად ხედავს მეორე ინტერნაციონალი, ეს ამბავი ხდება მის „ცხვირ წინ“. მაგრამ ღებულობს იგი ზომებს ტყვე რევოლიუციონერების განსათავისუფლებლად? ამ კითხვაზე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დადებითი პასუხის გაცემა. მეორე ინტერნაციონალი არც ერთ ქვეყანაში არ იცავს რევოლიუციისათვის მებრძოლებს. არ მოიპოვება არც ერთი უბრალო, უმნიშვნელო ფაქტი, რომელიც მენშევიკური ინტერნაციონალის წმინდა რევო-

ტურ სახელმწიფოებში იღუპებიან მუშები და გლეხები, ბურჟუაზიის ჯალათები უსპობს მათ სიცოცხლეს. ამ „საგმირო“ საქციელში მარტო არაა ბურჟუაზია. მასთან ერთად სასიკვდილო განაჩენს ხელს აწერენ მეორე ინტერნაციონალის მიმდევრები, მენშევიკური პარტიის წევრები. ეს არის ფაქტი და მისი უარყოფა, აღუნიშვნელობა არც ერთ მემატიანეს არ შეუძლია.

ავიღოთ ახალი მაგალითი. ჩვენს ჟურნალში იბეჭდება რემედას-ის აღმასკომის მიმართვა მეორე ინტერნაციონალისადმი. რემედას-ის აღმასკომი მოითხოვს ტყვეების გაცვლა გამოცვლას. საბჭოთა კავშირში არიან ტყვეები. ამას ჩვენ არ ვმალავთ. ვაპატიმრებთ მშრომელთა ხელისუფლების აქტიურ მოწინააღმდეგეებს. ბურჟუაზია ატუსაღებს რევოლიუციონერებს, საბჭოთა ხელისუფლება ―რეაქციონერებს. რემედას-ის აღმასკომი „დათმობაზე“ მიდის. ის ეუბნება მეორე ინტერნაციონალს: ჩვენ გავანთავისუფლებთ საბჭოთა კავშირში პოლიტიკურ ტყვეებს, გადავაგზავნით ევროპაში, სამაგიეროთ თქვენც გაანთავისუფლეთ ტყვე რევოლიუციონერები და გადმოგვიგზავნეთ ჩვენს ქვეყანაში. ასეთია რემედას-ის აღმასკომის წინადადება.

ჩვენთვის ერთობ საინტერესოა ამ „მოლაპარაკების“ შედეგი. ევროპის ბურჟუაზიული მთავრობები არ მიიღებენ რემედას-ის აღმასკომის წინადადებას. ისინი სიკვდილივით ერიდებიან რევოლიუციონერების გახთავისუფლებას. მართალია, საბჭოთა კავშირიდან „მიიღებენ“ განთავისუფლებულ მოძმეებს. მაგრამ მათი „მიღება“ ევროპის ბურჟუაზიისათვის არ იქნება სასარგებლო და მოსაგები, პირიქით, საზარალო იქნება უსათუოდ: პოლიტიკურ დრძოლისთვის იმდენად არ გამოდგებიან, ბურჟუაზიას მოუხდება მათი რჩენა, მათთვის საკმაო ფულის გაღება.

რას იზამს მეორე ინტერნაციონალი? მიიღებს თუ არა იგი რემედას-ის აღმასკომის წინადადებას? ამ კითხვაზე შეუძლებელია ზედმიწევნით სწორი პასუხის გაცემა. იმდენად, რამდენად მეორე ინტერნაციონალი ბურჟუაზიის ლაქიის როლს თამაშობს, იგი უარყოფს ევროპის ციხე კატორღაში მოქცეულ მუშების განთავისუფლებას. აქ სადაო არაფერია. მაგრამ ჩვენთვის ერთი რამ აშკარაა და ნათელი: მეორე ინტერნაციონალი ორივე ფეხით სდგას ბურჟუაზიის ინტერესების ნიადაგზე და არც მოსცილდება ამ ნიადაგს. თუ მეორე ინტერნაციონალი თანხმობას არ განაცხადებს რემედას-ის აღმასკომის წინადადებაზე, ეს იქნება იმის მაჩვენებელი, რომ ის წინააღმდეგია ევროპის რევოლიუციონერების განთავისუფლების. თუ მეორე ინტერნაციონალი დათანხმდა, ესეც იმას დაადასტურებს, რომ იგი მომხრეა საბჭოთა ციხეებში მოთავსებულ რეაქციონერების განთავისუფლების, ორივე შემთხვევაში მჟღავნდება მეორე ინტერნაციონალის აშკარა ბურჟუაზიული შეხედულება.

მეორე ინტერნაციონალი სდგას ბურჟუაზიის სადარაჯოზე. ის დაინგრევა ბურჟუაზიის განადგურებასთან ერთად. ეს იქნება ისტორიის უდიდესი საქმე.

დავეხმაროთ რევოლიუციისათვის მებრძოლთ

რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის,— რემედას-ის—მიზანია მსოფლიო მუშათა კლასისთვის, ტანჯვა-წამებულთ და თავდადებულ ბელად ამხანაგებს კაპიტალის ქვეყნებში ციხეებში დამწყვდეულ და მათ ცოლშვილთ დახმარება აღმოუჩინოს, რომლებიც იბრძვიან მუშათა კლასის საკეთილდღეოთ.

დღეს მუშათა ბელადები კაპიტალის ციხეებში მილიონობით სხედან და განიცდიან საშინელ შიმშილ-სიტიტვილეს, სულსა ღაფავენ, უმწეოთ დარჩენილი ცოლშვილებით-



მიხა ჩოდრიშვილი
რემედას-ის საქართველოს ცეკას თავმჯდომარე.

ვინ არ იცის, რომ ძველი დროიდანვე ადამიანთა-ყოფაცხოვრება, მძლავრი ღონიერი, უღონოს, სუსტებს იმორჩილებდენ. ღონიერნი კი ჯერ ოჯახის უფროსათ, მამასახლისებად ხდებოდენ, მერე სოფლის ასის და ათასის თავებად, შემდეგ თემის უფროსად და აქედან კი წარმოიშვა მეფობა, თავად-აზნაურობა, ჩინოვნიკობა, კაპიტალისტები და მათი დამხმარე სამღვდელოება, რომლებიც თავისი ცბიერებით განსაკუთრებით მუშებს და გლეხებს გონებას უბნელებდენ და თავისი ბნელი მოძღვრებით, მძლავრთა მორჩილ-მონობას უქადაგებდენ და მაღლა ცაში რაღაც უხილავ ღმერთ ანგელოზებზე, რისხვაზე და დედა-

სადღაც სამოთხეზე უთითებდენ, ამით კი მუშებს და გლეხებს სიბნელეში ახრჩობდენ ეს „კაცთ მოყვარე“ „სულიერი“ მამები. მაგრამ დადგა ხანა, დრო, რომელმაც წარმოშვა კაპიტალი, კაპიტალმა კი დაბადა პროლეტარი და მუშათა კლასის, დამცველი კომუნიზმი კომუნისტური პარტია. მსოფლიო გაიყო ორ ნაწილად, ერთ მხარეს მოექცენ ბურჟუა, კაპიტალისტი, მემამულე, მიწადმფლობელი თავად აზნაურობა და სამღვდელოება—მეორე მხარეს დგას გაძვალტყავებული პროლეტარიატი, მუშები და გლეხები და მათი დამცველი კომუნისტური პარტია ამ ორ კლასთა შორის სწარმოებს სასტიკი და ულმობელი ბრძოლა.

ბურჟუაზიას უნდა შეინარჩუნოს თავისი უხეში ბატონობა, რომ მშრომელი მუშა და გლეხი იყოლიოს თავის მონობაში. ამის წინააღმდეგ კი იბრძვის გაძვალტყავებული და გაყვლეფილი ბურჯუა-კაპიტალისტებისაგან მშრომელი მუშა და გლეხები, რომ გაინთავისუფლონ თავი კაპიტალის ბატონობისგან და მათი სისხლიან ბრჭყალებიდან. ამ ორ კლასს შორის არის გამწვავებული და მედგარი ხელჩართული, სიკვდილ სასიცოცხლო ბრძოლა.

აშკარაა, რომ მშრომელი მუშა და გლეხი, როგორც ქვეყნის სიმდიდრისშემქმნელი, არ დაანებებს თავის შრომის ნაყოფს ბურჟუებს, და ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებს და დაამყარებს კიდეც ქვეყანაზე მშვიდობას და სათნოებას.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ისტორიის მიერ კაპიტალისტური ბურჟუაზია, დღეს თუ ხვალ, დამარცხდება და მის ნანგრევებზე აღმოცენდება მშვიდობიანი შრომის სამეფო, ამის მოპოებისათვის პროლეტარიატს, თუმცა დიდი მსხვერპლი აქვს გაღებული, მაგრამ კიდევ ბევრი მსხვერპლის გაღება დასჭირდება საბოლოო გამარჯვებისთვის. მაგრამ იმედია და ღრმათაც გვწამს, რომ საბოლოოდ გამარჯვება მუშათა კლასს დარჩება.

ამისთვის კი საჭიროა საერთაშორისო მუშათა კლასის მჭიდროთ და ორგანიზაციულათ შეკავშირება და მასთან მედგარი და დაუნდობელი ბრძოლა, ბრძოლა და ბრძოლა კაპიტალ-ბურჟუების წინააღმდეგ.

მუშათა განთავისუფლება კაპიტალის ბრჭყალებიდან უნდა მოხდეს მუშების ხელითაო, ამბობდა რევოლიუციონური კომუნიზმის ბელადი კ. მარქსი, და ჩვენც გვრწამს, რომ მუშათა კლასის აწმყო და მომავალი მსოფლიოს ახალგაზრდობა უშუალოთ შესძლებს მუშათა განთავისუფლებას და სოციალიზმის დამყარებასაც.

მაშ დახმარება, ამხანაგებო, ევროპის ბურჟუაზიის ჰაერ-შეხუთულ ციხეებში დამწყვდეულ ჩვენს მებრძოლ მუშათა კლასის ბელადებს, ამხანაგებს.

გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა კლასს.

გაუმარჯოს მუშათა ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

გაუმარჯოს რემედას-ს!

მიხა ჩოდრიშვილი.

რემედას-ის საქართველოს 1 კონფერენციის შედეგებისათვის.

15—17 ოქტომბერს შემდგარმა რემედას-ის საქართველოს 1-მა კონფერენციამ შემდეგი სურათი გადაგვიშალა.

რემედას-ის მუშაობა საქართველოს ყველა კუთხეებში თითქმის ერთ და იმავე დროს დაწყებულა, სახელდობრ, მიმდინარე წლის გაზაფხულის დამდეგს. მიუხედავათ იმისა, რომ ფაქტიურად ეს მუშაობა მხოლოდ რამდენიმე თვე სწარმოებდა, მას თვალსაჩინო ნაყოფი გამოუღია. მას გზა გაუკაფავს მშრომელთა მასიურ ფენებში. იგი მძლავრად შეჭრილა მუშათა წრეში, წითელ არმიაში, სწვდომია სოფელს, გლეხის ქოხს, მოუზიდავს თავისკენ კაცი, ქალი, მოხუცი, ახალგაზრდა და თვით მცირე წლოვანი ბავშებიც კი. „გაგვიძეხით წინ და ჩვენც ჩვენი ნორჩი გულებით დაგეხმარებითო“, ასეთი ფიცი მისცა ამ უკანასკნელთა წარმომადგენელმა რემედას-ის 1 კონფერენციის მონაწილეთ.

რას გვეუბნება ჩვენ ეს ფაქტი? რას მივაწეროთ ის გარემოება, რომ სულ რამდენიმე თვეში რემედას-ის არმია 40.000 კაცს აღემატა?

ეს იმას გვეუბნება, რომ რემედას-ი მშრომელთა სულთან და გულთან დაკავშირებული ორგანიზაციაა, იგი მათი საქმეა. ამ ორგანიზაციაში მუშაობა მათი პირდაპირი მოვალეობაა, მას ყველა პატივს სცემს და ეხმარება კიდეც აქტიურად, ვისთვისაც ძვირფასია მშრომელთა ინტერესები და ვინც გულ-მხურვალედ ესწრაფის შრომის განთავისუფლებას კაპიტალისა და მეფეთახორათა კლანჭებიდან.

პასუხისმგებელ ამხანაგების მუყაითი მუშაობისა, ამ მხრივ არც ცენტრალური გამგეობა და არც ადგილობრივი განყოფილებები ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიან. მიუხედავათ იმისა, რომ არც ერთს ამ საქმეში გამოცდილება არ ქონდათ, არ ყავდათ მოიზადებული მუშაკები, არ გააჩნდათ სახელმძღვანელო მასალა, მათ მაინც საგრძნობ შედეგებს მიაღწიეს. აი მთავარი დადებითი მხარე რემედას-ის მუშაობისა საქართველოში.

მაგრამ ამ მუშაობას, როგორც საერთოდ ყოველ საქმეს და მით უმეტეს ახლად დაწყებულს, ახლდა ზოგიერთი ნაკლიც. ეს ნათლად გამოაშკარავდა კონფერენციაზე. ამ ნაკლთა გამოსწორობისაკენ უნდა მივაპყრათ ჩვენ მომავალში მთელი ყურადღება.

პირველი სისუსტე ჩვენ მუშაობას ემჩნევა ორგანიზაციულ მხარეში. როგორც თვით აპარატები რემედას ისა—ცენტრალური, სამაზრო, რაიონული, პირველადი, ისე მათი მუშაობა უნდა იქნეს სასტიკად ჩამოყალიბებული, ერთ მტკიცე გეგმაზე აგებული წევრების მიღება უნდა სწარმობდეს ერთიანი წესით და საწევრო გადასახადების რაოდენობა არ უნდა იქნეს ისე აჭრელებული, როგორც ამას დღემდის ვამჩნევდით ამისათვის საჭიროა რემედას-ის საქართველოს ყველა ორგანოებმა შეუხრელად და ზედმიწევნით შეასრულონ ის ორგანიზაციული გეგმა, რომელიც გამოიმუშავა საქართველოს ცეკამ მომავალ მუშაობაში სახელმძღვანელოდ პირველ ყოვლისა უნდა განვამტკიცოთ უკვე მიღებული შედეგები. გავაძლიეროთ და გავალრმაოთ მუშაობა ჩვენს წევრებში, აღვზარდოთ და განვა-

გაღვივებისა. ჩვენი მუშაობა არ უნდა გაშოიხატოს რემედას-ის მარტო რიცხვობრივ გაზრდაში, მის წევრთა გამრავლებაში. თავი და თავი ამ წევრთა აღზრდაა. ჩვენი ორგანიზაციამ შინ იქნება ძლიერი და იგი მტკნაყოფიერ შედეგებსაც მოგვცემს, როდესაც ყოველ მის წევრს სასურველით ექნება შეგნებული მიზანი და აზრი მისი მოქმედებისა—რათ ეწერება ის რემედას-ში, რას ავალებს მას რემედას-ის წევრობა და როგორ უნდა იმოქმედოს მან, რომ ეს მოვალეობა პირნათლად შეასრულოს. ამისათვის ს ჭიროა მოეწყოს რემედას-ის უჯრედებთან წრეები, სადაც წევრები გაეცნობიან და შეისწავლიან რევოლუციონურ მოძრაობას ბურჟუაზიულ ქვეყნებში, თეთრი ტერორის მხეცურ მოქმედებას რევოლუციონურ მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ, მე-2 ინტერნაციონალის მოღალატურ და მხაკვრულ მოქმედებას და სხ. ყოველ წარმოებაში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში უნდა მოეწყოს რემედ ს-ის კუთხეები, სადაც ჩვენს წევრებს სურათების საშუალებით ნათლად უნდა დაუყენოთ თვალწინ კაპიტალისტების სიხეცე, რევოლუციონერების და მშრომელი ხალხის ტანჯვა-წამება.

ხელოვანთ ალმაცდელობით მუშაობასთან ერთად ჰრალელურად ახალ წევრთა მიღებაც უნდა წარმოებდეს. კონფერენციაზე გამოირკვა, რომ დღ მდე ჩ ენს ორგანიზაციაში სუსტად იყო ჩაბმული გლეხობა, ქალები და ახალგაზრდობა.

ჩვენი ქვეყანა უმეტესად გლეხურია და ამიტომ გლეხი წევრები რემედ ს-ში ურავლესობას უნდა შეადგენდეს. გლეხს უნდა შევაგნებიოთ, რომ რემედას-ში ჩაწერით ის უმაგრებს ზურგს იმ რევოლიუციას, რომელიც ერთად-ერთია მისი ჭირვარამის შემსუბუქებელი და ბედნიერი ცხოვრების მომტანი. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაზე ფრთხილი მუშაობა გლეხებში გვჭირდება. ეს სიფრთხილე განსაკუთრებით საწყისო გადასახადის აღების დროს უნდა იქნეს დაცული. უნდა ვეცადოთ, რომ ამ უკანასკნელს ნებაყოფლობითი ხასიათის მაგიერ მუდმივი ბეგარის ხასიათი არ მიეცეს.

ამხ. ა. კვირიკაძე
რემედას-ის ცეკას თავმჯდომარის მოადგილე.

ლეობა უნდა მიიღონ ყოველგვარ საზოგადოებრივ მოვალეობაში—მაშასადამე, რემედას-ის მუშაობაშიდაც ეს მით უმეტეს მოითხოვებათ მათ, ვინაიდან რემედ ს-ის ერთ ამოცანათაგანს შეადგენს რევოლიუციის მსხვეპლთა ოჯახებისა და ცოლშვილის დახმარება.

ახალგაზრდობა—მომავალი საძირკველია ჩვენი ახალი ცხოვრებისა ახალგაზრდობის ჩაბმა რემედას-ის რიგებში ჩვენ მთავარ ამოცანას უნდა შეადგენდეს. რემედას-ი

ამხ. გ. მუშიშვილი
რემედას-ის ცეკას პასუხისმგებელი მდივანი.

ახალგაზრდობის პოლიტიკური სკოლაა და ის რევოლიუციონერთა მოქმედების გაცნობით, მათ დახმარებაში რონაწილეობის მიღებით თანდათან იწვრთნება და რევოლიუციონერდება. დასავლეთის ციხეებში მოქცეულ ახალგაზრდობას ტანჯვა-წამება მათ იწვევს საბრძოლველად მათ მტანჯველთა წინააღმდეგ. ჩვენი მოვალეობაა წინამძღოლობა და ხელმძღვანელობა გავუწიოთ ახალგაზრდობას ამ მხრივ.

ღღეს რემედას-ის რიგებში უმთავრესად მუშები და წითელარმიელები ჩაბმული. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკვე საკმარისია და აწი ჩვენ მათში მუშაობა აღარ გვჭირდება. პირიქით, ჩვენ მათში მეტი მუშაობა უნდა ვაწარმოვოთ. მუშები ყოველთვის მაგალითი იყვნენ მშრომელთა დანარჩენი ფენების და რემედას-ის მუშაობაშიდაც ასთებათ უნდა დარჩენ. წითელარმიელებში მუშაობით ჩვენ ვამზადებთ სოფლის მომავალ მუშაკებს.

ზემოთ აღნიშნულ მუშაობის მთავარი პირობაა მისი მთლიანობა, შეთანხმებულობა საქართველოს ფარგლებში. ამისათვის კი საჭიროა მჭიდრო ურთიერთ-კავშირი ცენტრსა და ადგილებს შორის. საჭიროა ერთმანეთისათვის გამოცდილებების და დაკვირვებათა გაზიარება. საჭიროა ცენტრმა იცოდეს რა და როგორ კეთდება ადგილებზე. ცენტრს საშუალება უნდა ეძ ნ ს ხელმძღვანელობა გაუწიოს ადგილებზე წარმოებულ მუშაობას. ეს კი უსათუოდ ავალებს რემედას-ის ადგილობრივ მუშაკებს ხშირი მიწერ-მოწერა იქონიონ თავის ცენტრალურ კომიტეტთან, გაამუქონ თავის მუშაობა რემედას-ის ორგანოში—ჟურნალში და ბიულეტენში. ადგილებს აუცილებლათ უნდა ეყოლოთ სპეციალური კორესპონდ ნტები, რომელნიც

შაობაში. ეს მხარე ჩვენი ორგანიზაციის მუშაობისა ძალიან მოიკოჭლებდა დღემდე და მომავალში იგი გამსოწორებულ უნდა იქნას.

დაბოლოს ადგილების ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე რემედას-ის მუშაობის ერთ უმთავრეს მხარეს. ეს არის მატერიალური მხარე. ჩვენი ორგანიზაციის რიგლური საშვალებების გაძლიერება შეძლებას მოგვცემს ჩვენ საგრძნობი დახმარება გაუწიოთ კაპიტალიზმის ციხეებში გამომწყვდეულ რევოლიუციონერებს, მათ ოჯახებს და მშიერ ცოლ-მვილთ. ჩვენი წარსული მუშაობის შედეგებმა ცხადყვეს, რომ საწევრო გადასახადები არ შემოდიოდა წესიერათ, სუფ ტ დ გროვდებოდა შემოწირულებანი, მით უმეტეს ნაკლები ყურადღება ქონდა მიქცეული შემოსავლის სხვა წყაროების გაძიებნახვას. საღამოები, კონცერტები, წარმოდგენები, ლექციები გარდა იმისა, რომ აძლიერებენ ჩვენ მატერიალურ საშვალებებს, რემედას-ის იდეების პოპულია იზაციასაც უწყობენ ხელს. რემედას-ის ცეკას ორგანო „რემედასი", ბიულეტენები და ფეტონები ენერგიულად უნდა ვრცელდებოდეს არა მარტო წევრებში—გარეშე მასაშიდაც. ყოველგვარი ზომა უნდა მივიღოთ ცეკას მიერ გამოშვებულ ფასიან ფურცლების გასაღებლათ. მათი გაყიდვით ჩვენ საგრძნობლათ გავ უმჯობესებთ ჩვენი ორგანიზაციის მატერიალურ მხარეს.

დასასრულ მე მოვუწოდებ ჩვენს ადგილობრივ განყოფილებებს და მუშაკებს სწორად გაატარონ ცხოვრებაში ის დებულებანი, რომელიც გამოიმუშავა ახალმა ცკამ, ისარგებლონ წარსული მაგალითებით და გააუმჯობესონ თავის მომავალი მუშაობა. ისეთ შემთხვევ ბის დროს, რომელიც მათთვის ახალი იქნება და არსებული დებულებების მიხედვით ცნელი გადასაჭრელი, აუცილებლათ მიმართონ ცენტრს და მიიღონ მისგან საჭირო დარიგებანი.

მჭიდრო, ცოცხალი კავშირი ცენტრსა და პერიფერიებს შორის აუცილებელი პირობაა ჩვენი მუშაობის ნაყოფიერებისა.

უპარტიო.

რა არის რემედას-ი?

უკვე ორი წელიწადია რაც რემედას-ი არსებობს. მას ღომადა აქვს გადგმული ფესვები მშრომელთა ფენებში. რემედას-ს თქვენ ამოიკითხავთ ყველა გაზეთების ფურცლებზე, შეხვდებით ლიტერატურასაც მის გარშემო. მის შესახებ ლაპარაკობს მუშა, გლეხი, ინტელიგენტი.

მაგრამ აბა კითხეთ მათ, თუ რა არის რემედას-ი. ამაზე კი ყველა ერთნაირად ვერ გიპასუხებთ. რემედას-ის მნიშვნელობა არ იცის არა მარტო მისმა უსწავლელმა წევრმა, არამედ საზოგადოების მოვალმა „განათლებულმა" პირმა.

ეს გარემოება ფაქტია (რაც რემედას-ის საქართველოს პირველ კონფერენციაზედაც იქნა აღნიშნული) და ფაქტი სამწუხარო, რომელსაც უნდა გაეწიოს ანგარიში და მოშორებულ იქნეს თავიდან.

მე აქ შევეცდები მოკლეთ და რაც შემიძლია მარტივად გადავცე მკითხველს ის ელემენტარული ცნობები რემედის ია შესახებ, რომელიც აუცილებლათ უნდა იცოდეს ყოველმა მისმა წევრმა, ჩვენი რესპუბლიკის ყოველმა პატიოსანმა მშრომელმა.

რემედას რ. ა-ის შემოკლებული სიტყვა. იგი ნიშნავს —**რ ევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზ ციას**, ე. ი. ისეთ ოგანიზაციას, რომელიც ეხმაოება რევოლიუციონერებს.

დიდი ხ ნი არ არის, რაც ამ ორგანიზ ციას საფუძველი ჩაეყარა. მისი დაარსების აზრი პირველად—1922 წელს ე. წ. პოლიტკატორღელთა საზოგადოებას წევრებსა და ძველ ბოლშევიკთა წრეში დაიბადა. ამ უკანასკ ელებმა თავის აზრი იმავე წლის ნოემბერში შემდგარ კ ინტერნის მეოთხე კონგრესის სხ ომ ზე წამოაყენეს და კონგრესმაც დაადასტურა იგი. ასე რომ, დღეს უკვე რემედას ს ორი წლის ისტორია აქვს. მიუხედავათ მოკლე ხნი, არსებობისა იგი მძლავრ ორგანიზაციას წარმოადგენს. რემედას-ის უცხოეთის სექციებს ამჟამად თითქმის ყველა ბურჟუ ზიულ ქვეყნებში შეხვდებით. მაგრამ აქ, მისი მუშაობა ძალიან შეზღუდულია, იგი არალეგალურად, რემედას-ი დახმარებას უწევს რევოლიუციონერებს, ბურჟუაზიის ამ დაუძინებელ ტერორ, გ ბატონებული კლასი სასტიკ ზომებს ღებულობს მის წინააღმდეგ, სდევნის და არბევს მის წევრებს.

პირიქით, ს. ს. რ. კ—ში რემედას-მა თავისუფლად გაშალა ფრთები. იგი ელვის სისწრაფით მოედვა ყოველ კუ ხეს, ქალაქს, სოფელს. მას თანაგრძობით შეხვდა მუშა, გლეხი, წითელარმიელი, საბჭოთა მოსამსახურე. ს. ს. რ. კ—ში რემედას-ი დღეს უკვე 4 ძილიონიანი ორგანიზაცია არის და უნდა ველოდეთ, რომ კიდევ ბევრი მილიონები განამტკიცებს მის რიგებს. ან კი რა გ საკვირია. ს. ს. რ. კ -ის მშრომელმა ხალხმა უკვე იცა იმ ნაყოფის სიტკბო ბა, რომელიც რევოლიუციონერთა თავგ ნწირულმა ბრძოლამ მიანიჭ მას. ან სამუდამოდ დააცსხვრია საკარცხვ ნო მონობის ბორკილები. იგი დღეს უკვე მონა აღარ არის. მას აღარ ყავს ბატონი და მბოძანებელი. იგი თვით არის თავის-თავის ბატონი. იგი თვით მართავს დღეს საკუთარ საქმეებს მუშურ გლეხური ხელიუფ ების საშუალებით.

აი, ამ თავისუფლების მინიჭებისათვის მადლობის ნაცვლად და უფრო კი იმ კეთილი განზრახვით, რომ ბურჟუ ზიულ ქვეყნებში ტანჯულ ძმებსაც დროზე ეღირსოთ ასეთი ტ ბილი ცხოვ ება, ს. ს. რ. კ—ის მშრომელნი არ ზოგავენ თავის ძალ ღონეს, რომ რაიმე დახმარება აღმოუჩინონ იმ რევოლიუციონერებს, რომლნიც თავს სწირავენ თავის ქვეყნის მშრომელთა გასანთავისუფლებლად.

მაგრამ ს. ს. რ. კ—ის მშრომელნი არამც თუ თვითონ ეხმარებიან რევოლიუციისათვის მებრძოლებს, არამედ თავის ქვეყნის დანარჩენ პატიოსან მოქალაქე ბსაც და სხვა ქვეყნების ყველა მშრომელთაც მოუწოდებენ აქეთკენ. მათთან არის მათი მთავრობაც და პარტიული ორგანოებიც. კომუნისტური ინტერნაციონალის მეხუთე კონგრესი 1924 წ. 8 ივლისს გამოტანილ რეზოლიუციაში მოუწოდებს ყველა ქვეყნის კომუნისტურ პარტიებს „ყო-

შეუწყონ მისი სექციების და განყოფილებების დაარსებას და მიიღებიონ რემედას-ში თავის წევრებს აქტიური მონაწილეობა"; პარტიულ პრესას აკალებს **„სათანადო ყურადღება მიაქციოს რემედას-ს რევოლიუციისათვის მებრძოლთა დახმარების აგიტაცია-პროპაგანდის საქმეში".** აი, როგორი ყურადღებით სარგებლობს რემედას-ი ს. ს. რ. კ—ში. ამიტომაცაა, რომ მისი ორგანიზაციებით დაფარულია მთელი ს. ს. რ. კ—ის მიწა-წყალი.

ჩვენ ჩვენ, საქართველოში, რემედას ის ორგანიზაცია უფრო ახალგაზრდაა. ფაქტიურად იგი მხოლოდ რამდენიმე თვეა, რაც არსებობს. მაგრამ ქართველი მშრომელი თავიდანვე შეგნებულად შეხვდა მას. დღეს უკვე ჩვენ ძლიერი ორგანიზაცია გვაქვს. მასში დარაზმულია უკვე 50,000-მდე წევრი. ყველა მაზრებში და მსხვილ რაიონებში გვაქვს მტკიცედ ჩამოყალიბებული ორგანიზაციები.

ასეთია რემედას-ის განვითარების საქმე ს. ს. რ. კ—ში და კერძოთ საქართველოში. გადავიდეთ ახლა მის ორგანიზაციულ მაარეზ : როგორ არის აგებული რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაცია?

იგი აგებულია იმავე სისტემით (წესით), როგორც თვით კომუნისტური პარტია. მას ყავს თავისი კომინტერნი—ეს არის **რემედას-ის ალმასკომი,** რომელშიდაც შედიან სხვა და სხვა ქვეყნის წარმომადგენელნი, სულ 28 კაცი (გარდა კანდიდატებისა). ყოველ ცალკე რესპუბლიკაში დაარსებულია რემედას-ის ცენტრალური კომიტეტები, გუბერნიებში—საგუბერნიო კომიტეტები, მაზრაში—სამაზრო და რაიონში—რაიონული. საზღვარ-გარეთ რემედას-ს აქვს სექციები—გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის და სხვ.

ძირითადი ორგანიზაცია, რომელიც შეადგენს რემედას-ის დასაყრდნობ ფუძეს, არის უჯრედი. რემედას-ის თვითეული ორგანიზაციის უზენაესი ხელმძღვანელია საზოგადო კრება, კონფერენცია ან ყრილობა. რემედას-ის ყველა ორგანიზაციები აგებული არის დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპზე და აქვთ თავისი წესდება. ყოველდღიურ მუშაობაში რემედას ი ემყარება თავის წევრთა ორგანიზაციებს და აგრეთვე მშრომელთა ყველა რევოლიუციურ კლასიურ ორგანიზაციებს.

ყველაფერი კარგი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს რა არის ეს რემედას-ი ანუ რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაცია, რაში გამოიხატება მისი მუშაობა, რა არის მისი ამოცანა და მიზანი—იკითხავს მკითხველი.

„რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაცია (რემედას-ი) თავის ამოცანათ ისახავს გაუწიოს მატერიალური, მორალური, პოლიტიკური და იურიდიული დახმარება რევოლიუციონურ ბრძოლის მსხვერპლთ ყველა ქვეყნებში. ამ ამოცანის მისაღწევად იგი ცდილობს გააღვიძოს და აქტიურად განავითაროს მშრომელთა მასებში (განურჩევლად პარტიული მიმართულებისა) საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობა".—აი, როგორ ახასიათებს ამ ორგანიზაციას რემედას-ის I საერთაშორისო კონფერენცია თავის რეზოლიუციაში საორგანიზაციო პრინციპების შესახებ. კომუნისტური ინტერნაციონალის მეხუთე კონგრესის მიერ 1924 წლის 8 ივლისს გამოტანილ რეზოლიუციაში რემედას ის შესახებ ვკითხულობთ: **„რემედას-ი არის უპარტიო ორგანიზაცია და თავის ამოცანად ისახავს გაუწიოს იური-**

დიული, მორალური და მატერიალური დახმარება დაპატიმრებულ რევოლიუციონერებს, მათ ცოლშვილთ და აგრეთვე დალუპულ ამხანაგთა ოჯახებს".

ჩვენ ვიცით, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში მშრომელთა კლასი—მუშები და გლეხები—სასტიკ ბრძოლას აწარმოებს კაპიტალისტების წინააღმდეგ. იქ ჯერ მშრომელ ხალხს არ მოუპოვებია ის თავისუფლება, რომლითაც ვსარგებლობთ ჩვენ აგერ უკვე 7 წელიწადია. დასავლეთ-ევროპაში და სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებში მშრომელი ხალხი ახლა იბრძვის ამ თავისუფლებისათვის. რასაკვირველია, მას ბურჟუაზია ამისათვის მადლობას არ ეუბნება. და ისიც მკაცრ წინააღმდეგობას უწევს, აცლის მათ რიგებიდან საუკეთესო რევოლიუციონერებს, ზოგს ხოცავს და ზოგსაც კი ციხეებში ალპობს, სიმშილით ჟლეტს მათ და მათ ოჯახებს.

ეს ყველა ჩვენგანს კარგად აქვს წარმოდგენილი იმ მაგალითებზე, რომელთაც ადგილი ქონდა ჩვენში მეფის რეჟიმის დროს, როდესაც ჩვენს რევოლიუციონერებს ხან ციხეებში ამწყვდევდენ, ხან კი სუსხიან ციმბირისაკენ უკრავდენ ხოლმე თავს და აქ კი მათი ოჯახები მწარე შიმშილს განიცდიდენ. ვინ ეხმარებოდა მაშინ ჩვენს რევოლიუციონერებს და მათ ოჯახებს, ვინ ეხმარება დღეს დასავლეთ ევროპის ციხეებში გამომწყვდეულ რევოლიუციონერებს და მათ ცოლ-შვილთ? ბურჟუაზია? ის ვინც ყოველ წუთში მზადაა გასრისოს და მიწასთან გაასწოროს თვით ის წრე, ის კლასი, საიდანაც ეს რევოლიუციონერები გამოვიდენ? ცხადია, მათ მხოლოდ ისინი მოიგონებენ, ისინი მიეშველებიან, ვისთვისაც მათ თავი გასწირეს—ეს არის მშრომელთა კლასი. აი, რატომ არის რომ „რემედას-ი იკრებს თავის გარშემო მუშებს, გლეხებს და წვრილ მოსამსახურეთ, განურჩევლად მათი პარტიული მიმართულებისა, ყველა მათ, ვინც იზნიქება კაპიტალისა და ნაციონალური ჩაგვრის უღლის ქვეშ, ვინც შეხარის შრომის გამარჯვებას კაპიტალზე" (კომინტერნის მეხუთე კონგრესის რეზოლიუცია). ამიტომ არის, რომ მშრომელთა კლასი თავის უკანასკნელ კაპეიკს რემედას-ს სწირავს რევოლიუციის მებრძოლთა და მათი ოჯახ ბისათვის მისაწოდებლათ. ამიტომ არის, რომ ჩვენი მშრომელნი, თავიანთ კრებებზე და ყრილობებზე, ხმა მაღლა გასძახიან მათ—არ შედრკეთ, მედგრათ იბრძოლეთ და ჩვენც თქვენთან ვართო. მაშ რა ყოფილა რემედას ი?—ის არის დასავლეთის პროლეტარიატის „წითელი ზურგი", „წითელი ჯვარი", რომელიც დახმარებას უწევს ბრძოლაში დალუპულთ, დაზარალებულთ, დატუსაღებულთ და აგრეთვე მათ ოჯახებსაც.

მაგრამ რემედას-ის იდეა კიდევ უფრო ფართოა. ის არ არის დაინტერესებული მარტოოდენ მატერიალური დახმარება ძიაწოდოს რევოლიუციისათვის თავ ადებულთ. მისი მიზანი უფრო დიადია. იგი არის **„საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი რაზმი, რომლის დროშის ქვეშ იკრიბება მშრომელთა მილიონები, გადიან აქ საერთაშორისო კლასიური სოლიდარობის სკოლას და ემზადებიან აქტიური ბრძოლისათვის პროლეტარული რევოლიუციისა და მის გამარჯვების მოსაპოებლათ".** მაშასადამე, რემედას-ი არის პოლიტიკური სკოლა მისი წევრებისათვის. აქ ისინი თვალს ადევნებენ მუშათა მოძრაობ ს ბურჟუაზიულ ქვეყნებში, ი წავლიან ამ მოძრაობის მსვლელობას და საჭიროებ ს დროს კი აქტიურად

ამ მიზნით რემედას-ი აარსებს წრეებს, კუთხეებს, სცემს ლიტერატურას, ზრდის და წვრთნის თავის წევრებს, რომ საჭიროების დროს ღირსეულად შეასრულოს მასზე დაკისრებული ამოცანა—მტერზე გადამწყვეტი შეტევის წარმოება. ეს გარემოება ავალებს საქართველოს ორგანიზაციებს მთავარი ყურადღება მიაქციონ თავის წევრთა პოლიტიკურ აღზრდას. მათ ნათლად უნდა შეაგნებინონ თვითეულ წევრს, რომ მანამ დრო არ მოსულა, ის ფულით, სიტყვით ამხნევებს დასავლეთის რევოლიუციის მებაირახტრეებს, და როდესაც კი დაჭკრავს ჟამი კაპიტალის აღსასრულისა, იარაღით ხელში უნდა გადაეშვას ამ უკანასკნელისათვის გულში ლაპვარის ჩასაცემად.

აი რა არის რემედას-ი და რას ავალებს ეგი თავის წევრებს.

უკანასკნელ ხანებში ბევრი ვერ არჩევს რემედას-ს ეგრეთ წოდებულ „საერთაშორისო მუშათა დახმარებიდან“ (რუსულად „მეჟრაბპომ“). ეს ორგანიზაცია ენათესავება რემედას-ს. ეს „ნათესაობა“ იმაში გამოიხატება, რომ ერთიც და მეორეც ჩაგრული ხალხის დახმარებას ისახავს მიზნათ. მაგრამ არსებითად კი მათი ამოცანები ერთნაირი არაა. აი, როგორ განსხვავებას პოულობს ამ ორგანიზაციებს შორის საერთაშორისო მუშათა დახმარების კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. **მოსსინო:** „იმ დროს, როდესაც „მეჟრაბპომი“ მუშაობს და ეხმარება მშრომელთა მასის ფართო ფენებს, **რომელნიც არ არიან უშუალოდ ჩაბმული პოლიტიკურ ბრძოლაში** (კურსივი ჩვენია), რემედასი მოწოდებულია იმუშაოს და დაეხმაროს ინტერნაციონალურ, **რევოლიციურ** მებრძოლებს“. ამხ. მოსსინო უწოდებს რემედას-ს „პოლიტიკურ წითელ ჯვარს“. „მეჟრაბპომი“ მარტო ფულით ეხმარება დამშეულ მშრომელთ, უმუშევართ დარჩენილებს. „მეჟრაბპომი“ არის საქველმოქმედო ორგანიზაცია.

რემედას-ის ამოცანები კი, როგორც ზემოდ დავინახეთ, უფრო ფართო და დიადია. ეხმარება რა რევოლიუციის ფერხულში ჩაბმულ პროლეტარიატს, მის წინამძღოლთ და ბელადებს, რემედასი წარმოადგენს ნახევრად პოლიტიკურ ორგანიზაციას. ამხნევებს რა რევოლიუციონერებს, რემიდას-ი ხელს უწყობს რევოლიუციის გაღვივებას ბურჟუაზიულ ქვეყნებში და აახლოებს კაპიტალის სასიკვდილო წუთებს. მაშასადამე, **რემედასი არის პროლეტარიატის კლასიური რევოლიუციონური ორგანიზაცია.**

პ. სვანაძე.

❀❀❀❀❀

რემედას-ი და კომკავშირი

დღეს მტკიცება არ სჭირდება, რომ რემედას ისა და ახალგაზრდათა კომკავშირის პრაქტიკულ-საქმიან კავშირს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საკითხი—კომკავშირის მონაწილეობა რემედას-ის მუშაობაში—არის უდიდესი მნიშვნელობის მატარებელი ახალგაზრდა მუშებისა და გლეხების მილიონიან მასებისათვის. ახალგაზრდა კომკავშირის ჩაბმა რემედას-ის მუშაობაში არის ერთ ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი ახალგაზრდობის ინტერნაციონალურად აღზრდისა. აქტიური საქმიანი თანამშრომლობა რემედასში დიდ ნაყოფს მოუტანს როგორც რემედას-ს, ისე კომკავშირს.

ამ დარგში დღემდის შედარებით ძლიერ ცოტაა გაკეთებული. არც რემედას-ს, არც კომკავშირს არ უსარგებლნიათ ჯერ ერთად მუშაობის შესაძლებლობით. რემადას-სა და ახალ. კ. კ. შორის მჭიდრო კავშირი ჯერ ერ არის. რომ არ ვილაპარაკოთ სოფლებზე, სადაც კომკავშირის უჯრედებს რემედას-ზე ჯერ არაფერი გაუგონიათ, ქალაქებში რემედას-სა და ა. ლ. კ. კავშირის უჯრედებს შორის კავშირი უმეტეს შემთხვევაში ფორმალურია. ცოცხალი საქმიანობა, ერთიანი მუშაობა—სუსტია.

დროა სიტყვებიდან—საქმეზე გადავიდეთ. კომკავშირმა რემედას-ის გარშემო უნდა გააცხოველოს ახალგაზრდობის ინტერნაციონალურად აღზრდის საქმე. რემედასი მშრომელთა ფართო და მასიური ორგანიზაციაა, რომელიც მიზნად ისახავს დაეხმაროს, როგორც ნივთიერად, ისე მორალურად ბურჟუაზიის ციხეებში მყოფ რევოლიუციისათვის მებრძოლებს. ეს უნდა გახდეს კომკავშირის მოქმედების ღერძად. რემედას-ში მონაწილეობა კომკავშირელს აყენებს პირისპირ დასავლეთის მუშების გმირულ-რევოლიუციონურ ბრძოლასა და ბურჟუაზიის ველურ სისასტიკესთან. რემედასი გვაცნობს საერთაშორისო მუშა-

ტიულ“ მთავრობების საქმიანობას და უშუალოდ შლის ჩვენს თვალწინ კაპიტალისტურ ციხეების საშინელებებს—სადაც მილიონობით იღუპებიან რევოლიუციის გმირები. ყველა ეს მოითხოვს ჩვენგან შევისწავლოთ კლასობრივი ბრძოლა დასავლეთში, გავითვალისწინოთ ჩვენი საერთაშორისო ამოცანები და ჩვენი ყოველდღიური, თვით უმნიშვნელო მუშაობა დაუკავშიროთ საერთაშორისო რევოლიუციის პერსპექტივებს.

ქალაქებში ა. ლ.კ. კავშირის საწარმოო უჯრედებმა უფრო მეტად, ვიდრე ეს დღემდის იყო, უნდა გამოიყენონ რემედას-ი კომკავშირის ლენინის გაწვეულთა შორის სამუშაოდ.

ეს არის რემედას-ის წმინდა დანიშნულება—აქ არის მისი მკვიდრი ნიადაგი. თუ კარგად იქმნა დაყენებული მუშაობა რემედას ის უჯრედებში—კომკავშირის უჯრედები შეძლებენ სწრაფად გარდაქმნან ლენინის გაწვევით მიღებული ამხანაგები. ეხლანდელ მდგომარეობაში—როდესაც კომკავშირელების უჯრედებში ლენინელები უფრო მეტია. ვინემ—„ძველები“, ეს ამოცანა უსათუოდ პირველ ხარისხოვანია.

მეორე მხრივ—რემედას-იც უნდა ცდილობდეს გამოიყენოს კომკავშირი თავის ორგანიზაციებში ფართო მასების ჩასათრევად.

კომკავშირს შეუძლია კოლოსალური დახმარება გაუწიოს რემედას-ს მისი იდეების ფართო მასებში გასაღრმავებლად და გასამტკიცებლად. ამასთან ერთად კომკავშირს შეუძლია საგრძნობლად გააცხოველოს რემედას-ის უჯრედების მუშაობა მასიური აგიტაციის, პროპაგანდისა და მასიური შემოქმედების მეთოდებით.

კომკავშირის „შობა“მ, „აღდგომა“მ და აგრეთვე იმ მრავალრიცხოვანმა „საღამოებმა“ „დღეებმა“ და „კვირეულებმა“—რომელსაც ის ატარებდა, საკმაოდ გაამდიდრა მისი გამოცდილება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცოცხალსა და მომქმედ კავშირს რემედასსა და კომკავშირს შორის—ორთავე ორგანიზაციების მუშაობის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად სოფლად; თუ რემედას-ის უჯრედების მუშაობა ცოცხლად და რიგიანათ იქნება დაყენებული, ამასთან ერთად გამოყენებული იქნება ადგილობრივი კულტურული ძალები, მაშინ რემედასში უეჭველად შეევა ფართო უპარტიო ახალგაზრდობა, რომელშიაც ძლიერია კულტურულ-საზოგადოებრივი მუშაობის მოთხოვნილება, მაგრამ რომელსაც ჯერ კიდევ ეშნია კომკავშირში შესვლა. რემედას ის უჯრედებში მუშაობიდან კი—მხოლოდ ერთი ნაბიჯია კომკავშირში მუშაობამდე. სოფლის კომკავშირის უჯრედის ამოცანაა—რემედას-ი გადააქციოს ა. ლ. კ. კ. საფეხურად და რემედას-ის საშუალებით ჩაითრიოს თავის კავშირში რაც შეძლება მეტი გლეხთა უპარტიო ახალგაზრდობა. რემედას ის სოფლის უჯრედების მუშაობაში მონაწილეობენ კომკავშირი, პარტია, გლეხთა უპარტიო ახალგაზრდობა, მოზრდილი გლეხობა და ბოლოს—სოფლის ინტელიგენცია. ეს გარემოება ართულებს სოფლის უჯრედების ხელმძღვანელობას, მაგრამ იგივე გარემოება ხელს უწყობს საბჭოთა ხელისუფლებისადმი უდიდესი სიმპატიების შექმნას სოფლად. მხოლოდ კომკავშირის უჯრედებში ეს გარემოება მოხერხებულად უნდა იქნეს გამოყენებული. სოფლის ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც რაღაც მიზეზების გამო არ მუშაობდა დღემდის კომკავშირთან—ა. ლ. კ. კ. უჯრედებს ადვილად შეუძლიათ ჩაითრიონ თავიანთ მუშაობაში.

უკანასკნელ ხანებში, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში კომკავშირი სერიოზულად კიდებს ხელს რემედასში მუშაობაა—საჭიროა ამ პროცესის დაჩქარება. „არც **ერთი კომკავშირელი** არ უნდა დარჩეს **რემედას-ის გარეშე**“!—ასეთია დღეს ჩვენი ლოზუნგი.

ნ. კანინი.

მუშებო და მუშა ქალებო,

თქვენი რევოლიუციონური მოვალეობაა დაეხმაროთ კაპიტალის ტყვეებს!

რემედას-ის ორი წლის თავი.

რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციას ორი წელი შეუსრულდა ამ მოკლე ხნის განმავლობაში ამ ორგანიზაციამ ბევრის გაკეთება შესძლო. უპირველესად ყოვლისა მან დაიმსახურა ნდობა მუშებისა და გლეხების რევოლუციონურ წრეებში. რემედას-ის რიგებში თავს იყრის ყველა მშრომელი, რომელსაც გათვალისწინებული, შეგნებული აქვს ის დიდ საქმე, რომლის შესრულებასაც მიზნად ისახავს მუშათა საერთაშორისო მოძრაობა.

რემედას-ის აღმასრულებელ კომიტეტს მოსდის აუარებელი მისალმებანი მუშათა სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან, როგორც საბჭოთა კავშირიდან, ისე უცხოეთიდან. აღსანიშნავია რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება. ეს მისალმება გამომხატველია იმ მჭიდრო კავშირისა და ძმურ ურთიერთობის, რომელიც არსებობს კომუნისტურ პარტიასა და რემედას-ს შორის. მისალმებაში ნათქვამია შემდეგი:

„რემედას-ი გადადის თავის არსებობის მესამე წელში იმ დროს, როდესაც თეთრი ტეროორი საშინლად მძვინვარებს, როდესაც ბურჟუაზიულ ციხეებში ათი ათასობით იტანჯებიან რევოლუციისათვის მებრძოლნი, როდესაც ესტონეთის გამხეცებულმა ვაჭრებმა ეს არის ახლა მისცეს სასტიკ სასჯელს 149 საუკეთესო რევოლიუციონერი, როდესაც რეველის ციხეების კედლებს ჯერ კიდევ არ შეშრობია ამხ. ტ-მპის სისხლი, როდესაც გერმანიაში ათი ათასობით ატუსაღებენ საუკეთესო რევოლიუციონერებს— კომუნისტებს, როდესაც საერთაშორისო კაპიტალის ლონდონის შეთანხმება შიმშილ-სიტიტვლის კლანჭებში ისვრის ევროპის მუშათა მილიონებს. და სწორეთ თეთრი ტეროორის ასეთ თარეშის დროს მეტად საჭირო და ძვირფასია რემედას-ის მუშაობა მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის“.

ასეთივე ხასიათის მისალმება გამოუგზავნეს რემედას-ის აღმასკომს ბალტიის მხარის მოძმე კომუნისტურმა პარტიებმა.

როგორ ეგზავნება პოლიტიკურ ტუსაღებს დახმარება.

ეს საკითხი დიდად აინტერესებს ჩვენი ორგანიზაციის წევრებს. თითქმის ყველა კრებებზე ისმება საკითხი უცხოეთში ფულის გადაგზავნის შესახებ. ჩვენს პირველ კონფერენციაზედაც დელეგატები იძლეოდნენ შეკითხვას: საბჭოთა კავშირში შეკრებილი თანხები მართლა აღწევენ ბურჟუაზიის ციხეებში დამწყვდეულ ამხანაგებამდე თუ არა? ამ საკითხის შესახებ რემედას-ის აღმასკომის „Бюллетень“-ი (№ 19) სწერს შემდეგს:

„ყველა თანხები, შეგროვილი რემედას-ის ადგ. ორგანიზაციის მიერ, ეგზავნება მოსკოვში რემედას-ის აღმასკომს. როდესაც აღმასკომის პრეზ-დიუმი გადასდებს ამა თუ იმ ქვეყნის პატიმრებზე გადასაგზავნ თანხას, აძლევს წინადადებას აღმასკომის ფინანსიურ განყოფილებას გადაუგზავნოს დამტკიცებული თანხა საზღვარგარეთელ სექციებს. უკანასკნელი დაადასტურებს აღმასკომიდან ფულის მიღებას და ანაწილებს აღრიცხვაზე აყვანილ პატიმართა და მის ოჯახებს შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფულის გადაგზავნის წესი სხვ დასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირია. ქვეყნებში, სადაც დაპატიმრებულთა რიცხვი ერთობ დიდია (გერმანია, პოლონეთი, ბულგარეთი, იტალია და სხ.), მუშაობა ჩვენი მოძმე სექციებისა ან ნახევრად ლეგალურია, ან სრულიად ჭერ ქვეშ არის მოქცეული. ასეთ პირობებში, ცხადია, სექციებს უხდებათ მძიმე პირობებში მუშაობა. ისინი სცდილობენ გამოძებნონ ახალი, უჯრო იოლი საშუალებანი ფულის გადასაცემად დაპატიმრებულებზე. იყო შემთხვევები, როდესაც დაიჭირეს სექციის ხელმძღვანელები და მთელს თანხას კონფისკაცია გაუკეთეს. ასეთს ადგილი ქონდა მხლოდ 2—3 ჯერ. ჩვეულებრივად კი აღმასკომის მიერ გადაგზავნილი ფულები, რიგიანად მოწყობილ არალეგალურ მუშაობის წყალობით, აღწევენ დანიშნულ ადგილს“.

ღია ბარათი მე-II ინტერნაციონალს.

ამ ბარათით ჩვენ მივმართავთ მე-II ინტერნაციონალს და მასში შემავალ სოციალისტურ პარტიებს იმ იმედით, რომ მუშათა მასსა აიძულებს მათ გაგვცენ ამ მიმართვაზე პასუხი. მუშათა კლასმა უნდა დაინახოს, თუ როგორ ავტორიტეტულ განმარტებებს მოგვცემს მე-II ინტერნაციონალი ჩვენს სავსებით კონკრეტიულ წინადა-

ათი ათასობით გამომწყვდეულ რევოლიუციონერ მუშათა მძიმე ხვედრის შემსუბუქებისაკენ.

რამ გამოიწვია ეს ჩვენი გამოსვლა?

მე-II ინტერნაციონალის და მასში შემავალ სოციალისტურ პარტიების პრესა და ორგანოები ცხარე პროპაგანდას ეწევიან ამ უკანასკნელ ხანებში ე. წ. „დემოკრატიულ პაციფიზმის“ სასარგებლოთ. მათი სიტყვით „დემოკრატიული პაციფიზმი“ მოწოდებულია ბოლო მოუღოს სამოქალაქო ომს და შეუძლებელი გახადოს მომავალში საერთაშორისო ომები.

ჩვენს ორგანიზაციას, რომელიც მტკიცედ სდგას რევოლიუციონურ-კლასიურ პლატფორმაზე, კარგად ესმის ამ პაციფისტური კამპანიის ნამდვილი მნიშვნელობა, რომელიც მიზნად ისახავს ხელი დააფაროს იმპერიალიზმის მტაცებლურ პოლიტიკას მუშათა კლასის და კოლონიალურ ან ომში დამარცხებულ ხალხთა წინააღმდეგ. უკანასკნელი თვეების ამბებმა ფარდა ახადა პაციფიზმს. საკმაოა დავასახელოთ გერმანიის გათელვა დოუესის გეგმის მიხედვით, იმპერიალიზმის შეტევა ჩინეთში, მცირე აზიაში და აფრიკაში, ერთა ლიგის მიერ მომავალში ინტერვენციის მომზადება ს. ს. რ. კ-ის წინააღმდეგ და, ბოლოს, მუდმივი მასსიური რეპრესიები და წამებანი მუშა-კომუნისტებისა და რევოლიუციონერებისა კოლონიებში, ბურჟუაზიისა და მე-II ინტერნაციონალის უარი ამნისტიის გამოცხადებაზე.

„პაციფიზმი“ და მისი მფარველი მე-II ინტერნაციონალი სდუმს იქ, სადაც საქმე ხალხთა და მუშათა ჩაგვრაყვლეფას შეეხება. მაგრამ ის უმალვე ეხმარება კონტრრევოლიუციას, როდესაც ეს უკანასკნელი აჯანყებას ამზადებს ს. ს. რ. კ-ის წინააღმდეგ, როგორც ეს საქართველოში ბანდიტების საცოდავ გამოსვლების დროს მოხდა. მე-II ინტერნაციონალი და მასში შემავალი სოციალისტური პარტიები არავითარ დახმარებას არ უწევენ იმ მიმართვებს სხვადასხვა ქვეყნებიდან, რომლებიც ხმა მაღლა და დაჟინებით მოითხოვენ მუშა-რევოლიუციონერების განთავისუფლებას ციხეებიდან. თავის „პაციფისტურ“ მზრუნველობის საგნათ მე-II ინტერნაციონალის პარტიებმა გახადეს მხოლოდ მენშევიკების, სოც.-რევოლიუციონერების და ანარქისტების ჯგუფები, რომელნიც დაპატიმრებულნი არიან საბჭოთა კავშირში კონტრ-რევოლიუციონურ გადატრიალების მომზადებაში მონაწილეობისათვის. თუმცა მრავალგვარი საბუთები ამტკიცებს, რომ ეს პატიმარნი საბჭოთა კავშირის საპატიმროებში ცხოვრობენ ერთობ კარგ პირობებში, მაგრამ II ინტერნაციონალი მაინც ენერგიულ კამპანიას ეწევა ს. ს. რ. კ-ის წინააღმდეგ. და ამ კამპანიას ის უპირდაპირებს პროლეტარიატის მოთხოვნილებას ბურჟუაზიული ციხეებიდან რევოლიუციისათვის მებრძოლთა განთავისუფლების შესახებ.

შემთხვევითია ეს ცალმხრივობა თუ მე-II ინტერნაციონალი პრინციპიალურად უწევს დახმარებას კონტრრევოლიუციას ს. ს. რ. კ-ში? ვიტყვით-კი, რომ მე-II ინტერნაციონალის პარტიები მონაწილეობას ღებულობენ ზოგიერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მთავრობებში და ზოგგანაც დახმარებას უწევენ ამ მთავრობებს, რისთვისაც მათ ბევრი შეეძლოთ გაეკეთებიათ ბურჟუაზიულ ციხეებში მყოფ რევოლიუციონერთა განთავისუფლებისათვის ეს გარემოება გვაიძულებს ჩვენ გამოვიდეთ ორგვარი წინადადებით.

ჩვენ ვაყენებთ შემდეგს:

1. **რემედას-ი** და მე-II ინტერნაციონალი წინასწარი შეთანხმებით იღებენ თავის თავზე მზრუნველობას სამოქალაქო ომის დროს დაზარალებულთა ხვედრის შესამსუბუქებლათ, სახელდობრ:

ა) **რემედას-ი** ყოველმხრივ ეცდება დაითანხმოს ს. ს. რ. კ-ის მთავრობა გადასცვალოს ამ კავშირის საპატიმრო სახლებში მყოფი პირები, რომელნიც ყოველგვარ საშუალებათა მიუხედავათ ცდილობდენ წაერთმიათ მუშებისა და გლეხებისათვის მათი რევოლიუციონური მონაპოვარნი, ბურჟუაზიულ ციხეებში მყოფ კაპიტალის ტყვეებზე, რომელთაც ბრალი ედებათ ამ სახელმწიფოთა კაპიტალისტურ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბ) ამავე დროს მე-II ინტერნაციონალი და მასში შემავალი სოციალისტური პარტიები გამოიყენებენ თავის გავლენას ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მთავრობებზე და გაანთავისუფლებიებენ რევოლიუციისათვის მებრძოლებს იმ კონტრ-რევოლიუციონერებზე ვადასაცვლელად, რომელნიც იბყოფებიან ს. ს. რ. კ-შირის საპატიმრო სახლებში და ენერგიულ მფარველობას პოულობენ მე-II ინტერნაციონალის მხრივ.

2. თუ მე-II ინტერნაციონალი დაგვთანხმდება ამ ძირითად წინადადებაზე, მაშინ **რემედას-ი** წინადადებას იძლევა: გადაცვლის მოსამზადებლათ გავუწიოთ ერთმანეთს დახმარება ურთიერთისადმი ცნობების მიწოდებით დღევანდელ სამოქალაქო ომის მსხვერპლთა შესახებ ყველა ქვეყნებში. მოკრეფილ ცნობების მიხედვით შესაძლებელი იქნება ნამდვილი მდგომარეობის სურათის წარმოდგენა.

ჩვენი წინადადების უარყოფა, ან საქვეყნოდ ოფიციალური არა ორაზროვანი პასუხის გაუცემლობა მაჩვენებელი იქნება იმისი, თუ რა ფასი აქვს მე II ინტერნაციონალის ფრაზებს და დემაგოგიურ გამოსვლებს.

მუშები მოელიან ამ პასუხს მე-II ინტერნაციონალისაგან.

რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტი (რემედას):

ლეპეშინსკი, ლუკიანოვი, კუშნერ, ტიოლმკინ (ს. ს. რ. კ.), **ტრენ** (საფრანგეთი), **დოლმბალი, გოგუცკი** (პოლონეთი), **გეშკე, მარკგრაფი** (გერმანია), **მარაბინი** (იტალია). **ლუკანოვი** (ბულგარეთი), **ბადულესკო** (რუმინია), **რიასტას** (ბალტიის სანაპირო ქვეყნები), **გიპტნერ** (ახ. კომ. ინტ.), **რედეცკი** (პროფინტერნი).



უკანასკნელი სეანსი

კაპიტალის ტყვეებს.

თქვენ—უთვალავი:
რკინის მკერდებით—
აწვებით მძლავრად
კატაკომბების:
ფოლადის კედლებს.
ატარებთ გულში
ნაღმების საწყობს—
რომ დაირაზმოთ
სიგნალის დროზე:
და რაკეტებათ
ესროლოთ სივრცეს—
ფიქრების ბომბა:
რომ ბრბო თავხედი
ისევ მოედვას
დასალტულ ქვეყნებს:
და ოქტომბერის:
ცეცხლის რეკლამა
პროჟექტორივით—
კომუნარებმა
მიაკრან ზეცას.
მაგრამ...
გდარაჯობთ ღამე
კუპრივით ბნელი.
სდგას როგორც ბოძი
ლინჩის კანონით
ამართული—
ტირანის ხელი.
გიჭერთ მუხრუჭებს
რომ ბარიერებს
აღარ გასცილდეს—
თქვენი ძახილი
ვნებიან წუთებს
ფანჯრებთან ჩუმად—
ახალი აღთქმა:
და უსმენთ შორით
დაუსრულებელ
ქალაქის ხმაურს.
გიმზერთ პირდაპირ
იდიოტივით—
დღეების ჯოგი:
და ქრება თითქოს
იმედების—
ყოველი ბეწვი.

თქვენ გივსებთ თვალებს
თოვლის გუნდივით—
ცრემლების ზვირთი:
დაქანებული
მწარე განცდებით:
ვით ნიაგარა.

ბრუნავს წუმპეში:
დამძიმებული
რუმბის მუცლებით
მზის დასავალი—
კაპსულებივით
ყლაპავს ერების
ბრწყინვალე აისს:
სჭედავს ყოველ დღე
ახალ ბორკილებს.
სდგას ქალაქები
უზარმაზარი—
სივრცით და განით—
ქვეყნის საუნჯეს
განაგებს ხარბი
ლონდონის ბირჟა
და ზარბაზნების
გვირაბ-დინგებით
ზვერავს მანძილებს:
რევოლიუციის
„მავნე ბაცილებს“
ახრჩობენ გაზით...
და არის დოლი
მოედნებზე შეუწყვეტელი.
ტრიბუნებიდან
სიტყვა ეძლევა:
ტერორის ბანდებს—
და სალონებში
მოქეიფე:
მსუნაგ მაკლერებს—
რომ ისევ სისხლის
მძიმე ტალღები
მძლავრად დაარტყან
განგის ნაპირებს.

არავის ახსოვს
ნეგრების ტანჯვა—
ან ვინ მოუსმენს
ველურ ინდოელს:
მათ უნდა ღვარონ
ცრემლი ბოლომდის—
სანამ კაპიტალს
ხელში უჭირავს:
მზის მოედანი
ცხელი სახარა
და კუნძულები

გადაბერტილი.
სდგას დასავლეთი—
როგორც უმარკო
კონსერვის ფირმა.
ქვეშ ეფინება
ქალბატონ ეის
მსუქან საჯდომებს
მატერიკების:—
ყველა სიმდიდრე.

თქვენზე ყვირიან
აჯანყებული—
ქარხნის მ ლები.
თქვენს ოფლის ღვარებს
კონდრაბადივით
უბეში მალავს:
დინამოების ურიცხვი ჯარი.
სტირიან თქვენზე—
მაზუთის ორთქლით
გაზანგული
ყრუ სარდაფები:
და დგება ჯ ნყად
ამხედრებული
ზღვის სირენების—
წარღვნის ღმუილი.

ახალშენებში ისევ ავსებენ
უძირო გემებს—
რომ ნადავლებით:
მეკობრეებს—
დასთხარონ თვალი.
იქ კი—ბავშვები
სტირიან მარტო—
შავ—სოროებში
გადამალული
ულუკმაპუროდ:
და იგონებენ
იმ ძ ირფას დღეებს—
როცა იმათთვის
მოგქონდ თ სახლში
გამხმარი პური.
ეხლა კი..
წვეთი წყალიც არ არის.
არ არის ხვინწკი—
და მაითულივით
ჩამომხმარ ხელით:
ბელურებივით
ნაგავთა ყუთში—
ეძებენ ხორბალს.

მიდის დღეები...
ისევ მოდიან—
ახალი რისხვით
მეხით და შუბით.
წინ გახსნილია
ნაპრალების:
უძირო ხახა
და გვირაბებად
დახვრეტილი
მიწის ფენებში—
ისმის ქკითინი:
განწირული
და უალერსო.

სცემს მა-ნც ნ ა
მაგარ კუნთებში—
დარკინული:
ვით ურაგანი—
როგორც გავარდნა
ვულკანის ცეცხლის.
რკინის მესრებში
გ ლანდებათ:
ჰეიზ ჟები
დასავლეთის
ბარიკადებით გადახაზული.

პოლიო აბრამია.

გმირვა

— წყალი! წყალი! ძლივს გასაგონი ხმით წამოიძახ-
თედომ, გაბხმარი ტუჩები გააცმა ლუნა, მიბნ დილი თვა-
ლის ქუთუთოები ძლივს ასწია და შეხ და იქვე მის საა
სთუმალს მჯდომ ზირას.

— ეხლავე, გენაცვალე, ეხლავე!

ზირა სწრაფათ წამოიჭრა ადგილიდან, მიუტანა
ავათმყოფს ლიტრით წყალი, თავი აუწია და დაალევინა
ავათმყოფი დაეწაფა წყალს, როგორც ნექტარს, ხარბათ
ჩაყლ პა ისე ხარბათ, რ ომ ზირამ ძლივს მოაგლიჯა პი-
რიდან ცარიელი ლიტრა.

თედო უკ ნასკნელ დ ოეშია.

ერთი კვირაა ს ლოგინიდან ვეღარ ამდგარა.

ერთი კვირაა ზირა მის ლოგინთან ზის, თავს ევლე-
ბა. მიდის დრო, მიდის საათი, წუთი და თან მიაქვს თე-
დოს სიცოცხლეც.

„საანგარიშო ჩოთქი“ წინ უდევთ და ითვლიან კი-
დევ რამდენი დრო დარჩა თედოს ამ ქვეყნად ყოფნისა.

მიდ ს თედო და თან მიაქვს ზირას სიცოცხლე, უკა-
ნასკნელი იმედი

თედო ზირას ერთად ერთი იმედია. ზირასთვის თე
დოს გა-და ქვეყან ზე აღარავინ არსებობს.

ზირას თედოსთანა ქვეყანაზე არავინ ყავს.

ის არის მისთვის ყველაფერი...

გ რეთ შუქია.

გაკაჭსებული ქარი იბრძვის, თოვლის გორებს აკე-
თებს, ხან თავის გაკეთებულ გორებს დ ეტაკება, ააფრია-
ლებს იქაურობას, მ ანგრ-მოანგრევს და ზეცილით გადაე-
შვება თო ლის ზღვაში.

მშიერი მგლები სულ ახლოს მოსულან და გულსა-
კლავათ ღმუიან.

— ზირა! ვინ მღერის?

თედომ თვალები გაახილა და ყური დაუგდო მგლე-
ბის ღმუილს.

— არავინ არ მღერის, გენაცვალე, მგლები ღმუიან.

— მოჭკალი ზირა! რა უნდა აქ მგლებს?

— ჰაი დედასა, ბიჭო! სადა მაქვს ჩემი ბერდანკა.

ზირას თვალები ცეცხლივით აენთო. თავი გააქანა, მწარეთ ამოიკვნესა

თედომ თვალები დახუჭა...

***

ერთი წლის წინათ სხვებთან ერთათ ზირა და თედო გამოიყვანეს საგუბერნიო ციხიდან. ორივეს ფეხებზე დიდრონი ბორკილები ედო. ორივეს ათი წლის კატორღა ქონდა გადაწყვეტილი.

ბორკილების ჩხარა-ჩხურით დაიძრა ეტაპი.

ბევრი ცხენები გაიარეს ერთათ:

თედო და ზირა დაქმობილდენ. ერთმანეთს ძლიერ დაუ ხლოვდენ.

ისე შეეთვისენ ერთმანეთს, რომ მათი დაშორება ძნელი იყო. ორივე ყველაფერს მოწყვეტილი, მოწყვეტილი მთელ ქვეყანას, მეობლებს, ნაცნობ-მეგობრებს, ერთი მეორეს ნუგეში, ერთი მეორეს სიცოცხლო ძალა იყო.

ზირა მუდამ თავს დასტრიალებდა თედოს, მუდამ მის გვერდით იყო, მუდამ მას უმზერდა თვალ ბში.

თედო ცეცხლში გამოვლილი, გამოცდილი, ნასწავლი კაცი იყო, ზირა კი უბრალო, ახლად გაფურჩქნილი, გაურყვნელი. მას სოფელს იქით არაფერი ენახა—მან არც კი იცოდა მის სოფლის იქით იყო კიდევ ქვეყანა თუ არა. მას ასე ეგონა მთელი ქვეყანა მისი სოფლის ბოლოზე თავდებოდა.

თედოს თავზე გადაიარა რევოლიუციის გრიგალმა. თედომ გაიარა რევოლიუციის ცეცხლში. ის თავგადადებული იბრძოდა, მუდამ გაბარჯვებული გამოდიოდა და ბოლოს უმტყუნა ბედმა; მოულოდნელათ ხელში ჩაუვარდა ჯალათებს და კატორღაში გაგზავნეს.

დარჩა მტირალი დედა. მისი უკანასკნელი შეხვედრა თედოს გულს უკლავდა, ცრემლებს აფრქვევინებდა. მას, მუდამ ესმოდა დედის გულსაკლავი გმინვა.

— შვილო! სად მიოვებ? შვილო, ვისთან მტოვებ მე უბედურს? შვილო სად მიდიხარ?

გულქვა ადამიანებმა ის მოგლიჯეს მშობელ დედას თავის კერას, მოგლიჯეს ტოლ-მეგობრებს, ფეხში მძიმე ბორკილები გაუყარეს და სადღაც, შორს ყინულის ციმბირში გადატყოლცნეს.

მეფის ჟანდარმებმა თედო არ შეიბრალეს არ შეიბრალეს მისი მტირალი დედა; როცა მან ამ ჯალათების წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა, ის დაიჭირეს, დადიანს სტანჯეს ცხელში და შემდეგ ბოლკილებით კატორღის გზას გაუყენეს.

უსამართლობის აღსასრული მოახლოებული იყო.

ცა სჭექდა.

დედამიწა ზანზარებდა.

რევოლიუციის გრიგალი მოახლოებული იყო.

თედო კი ბორკილ ბის თრევით შორს მიდიოდა.

შორს სადღაც, ყინულის უდაბნოში:

ზირა მთეში გაიზარდა. მთის შვილი იყო.

ჯერ სულ ახალგაზრდა ის ცხვრებს დასდევდა მთებში.

ის მღეროდა, მუდამ კრიმანჭულობდა.

პატარაობიდანვე შეეჩვია ის ამგვარ დიად და უდარდელ ცხოვრებას. მისი გენიალური მეგობრები იყვნენ

ზირა ებაასებოდა მთებს, მინდვრებს, ტყეებს, ფრინველებს, ოცნების ზღვაში სცურავდა.

მან არ იცოდა როგორი იყვენ ადამიანები.

მან არ იცოდა რა იყო უსამართლობა.

მან იცოდა, რომ ჰყავდა მხოლოდ ერთად-ერთი მტერი, ეს იყო მგელი.

მაგრამ როცა მგელი მის ცხვრებს გადმოუხტებოდა, ზირამ იცოდა პასუხის გაცემა.

გადმოიღებდა თავის ბერდანკას, რომელიც მუდამ მხარზე ეკიდა და ტყვიას შიგ შუბლში მიაჭედდა მგელს.

ერთ დღეს, ცუდი ამინდის გამო, ზირამ ცხვრები აღარ გარეკა, სახლში დარჩა.

მამა ქალაქნებს ასხამდა.

დედა სახლში ფუსფუსებდა.

უცბათ ეზოში შემოიჭრა ვილაც უცნობი ხალხი.

მამას გამოუძახეს. ელაპარაკენ.

ბოლოს ბოსელში შეიჭრენ და ხარები გამორეკეს.

მამა ხარებს დაეწიაუჭა.

საზიზღარმა ადამიანებმა მამას მათრახი გადაუჭირეს და ხარები ხელიდან გამოგლიჯეს.

მამა წაიქცა და ღრიალი დაიწყო.

ზირა აენთო.

მამა გაულახეს, ხარები წაართვეს.

მგლები თავს დაეხენ:

საჭირო იყო მოგერიება.

ხელად გადმოიღო თავის ბერდანკა და ორი მგელი ჩამოაგდო ცხენიდან.

დანარჩენებმა სროლა ასტეხეს, მამა მოკლეს და გაიქცენ.

ზირა თავის ბერდანკით ტყეში გავარდა, მაგრამ მალე დაიჭირეს, ბორკილები დაადეს და ციხეში დაამწყვდიეს. ბრალი დასდეს, რომ გადასახადის აკრეფის დროს წინააღმდეგობა გაუწია მთავრობას და მოჰკლა ორი ჩაფარი.

აქ გაიგო ზირამ, რომ მგლები მარტო ტყეში არ სცხოვრობენ, რომ მგლები ბარათ ცარიან. გაიგო, რომ ქვეყნათ სცხოვრობენ ადამიანები, ეს ადამიანები ერთი მეორეს მტრები არიან, ზოგი მგელია, ზოგი ცხვარი. მგელი ადამიანები ცხვრებს თავს ესხმიან და თუ ვინმე გამოეჭომაგა ცხვრებს, მას ბოლკილებს ადებენ და კატორღაში გზავნიან.

ზირა და თედო გზაში დაქმობილდენ.

ზირამ უამბო თედოს ყველაფერი.

თედოს გულით შეუყვარდა ზირა.

ის ყველგან და ყოველთვის მისი ქომაგი იყო. ვერავინ გაბედავდა ზირას ცაჩაგვრას.

ზირამაც შეიყვარა თედო მთელი თავისი არსებით. გულგატეხილმა და იმედ დაკარგულმა ზირამ ბოლოს იპოვა ერთი ადამიანი, რომელსაც ესმოდა მისი გულის ძგერა, რომელიც იზიარებდა მის ჭირ-ვარამს. ზირა დარწმუნდა, რომ ყველა ადამიანები მგლები არ იყვნენ. რომ მათში მოიპოებოდენ გულკეთილებიც.

ის არ შორდებოდა თედოს. ისე უყვარდა, როგორც ბავშვს, ცივ ნიავს არ აკარებდა.

თითქმის ერთი წელიწადი იარეს სხვა და სხვა ციხეებში და ბოლოს ძლივს ეიახწიეს აკატუის საკატორღო ციხეს. იმ ციხეს, სადაც ბევრი კეთილშობილი ადამიანის ბოლის ძგერა შეწყვეტილა, რომლის კედლები მოწმენი

განწირულ ადამიანებს თავის ხელით საშინელ ტანჯვაში მოუსპიათ თავიანთი სიცოცხლე.

თედო და ზირა ერთ პატარა საკანში მოაქციეს.

აქ დაიწყო მათი საშინელი წამება.

ზირას აქ დახვდა ნამდვილი მგლები.

ფეხებზე მძიმე ბორკილები, დღისით აუტანელი მუშაობა სადღაც ჯურღმულებში.

შეურაცხყოფა, ფეხქვეშ გათელვა და შიმშილი.

ზირა სიბრაზისაგან ხორცს იგლეჯდა, როცა მის საყვარელ თედოს უდიერათ ექცეოდენ მოუხეშავი და განადირებული ადამიანები.

ერთხელ თედო ზირას გამოექომაგა; ჩხუბი აუტეხა ციხის უფროსს და ზედამხედველებს. ის მის თვალწინ წამოაქციეს, შარვალი ჩახადეს და ორმოცდა ათი წკეპლა დაჰკრეს. ზირას გონება დაებნა, მას მოეჩვენა თითქო მის ცხვრებს მგლები დაეცა, გააფთრებული ეცა ერთ ზედამხედველს, თოფი ააგლიჯა და ის იყო ციხის უფროსი უნდა აეგორებინა, რომ თოფის კონდახი თავში მოხვდა და წაიქცა.

ზირას ბევრი სცემეს, სულ ცხვირ-პირიდან სისხლი ადინეს, რბილი ადგილები წკეპლების ცემით დაუსისხლიანეს და ბნელ სარდაფში ჩააგდეს. იქ ყავდათ ერთი კვირა. აძლევდენ მხოლოდ შავ პურს და წყალს.

ამ წარმოუდგენელ ტანჯვაში გაატარეს ორი წელიწადი. მათი ბედნიერება, მათი მოსვენება იყო მხოლოდ ღამით, როცა ყველას ეძინა.

ორი გულმკვდარი ადამიანი ერთი მეორეს ებაასებოდა, ტკბილი მოგონებებით ერთობოდენ. ხშირათ ასეთ საუბარში ორივეს გაუთენებია.

ორივეს გულში იმედის ნაპერწკალი ღვიოდა, რომ ოდესმე დადგებოდა მათთვის სანეტარო წუთი, თავს დაახწევდენ ამ სამარეს.

თედომ ვერ გაუძლო ამ წარმოუდგენელ ტანჯვას, დაავათმყოფდა.

ერთხან უმკლავდებოდა ავათმყოფობას, მაგრამ ბოლოს დამარცხდა და ლოგინათ ჩავარდა.

ერთი კვირაა ლოგინიდან აღარ ამდგარა.

ზირა ლოგინთან უზის და თვალებში ჩასცქერის უხეშმა ადამიანებმა ლმობიერება გამოიჩინეს, ნება მისცეს ზირას ავათმყოფთან ყოფნის, სამუშაოთ აღარ მიჰყავდათ.

თედოს მთელი სხეული ეწვის, გულმუცელი უხმება, თავი უსკდება, საშინელი სიცხე აქვს.

— წყალი! ზირა, წყალი! კიდევ წამოიძახა მან.

ზირამ ლიტრა აავსო და მიუტანა.

თედომ დასცალა. გულ-მუცელი გაიგრილა.

სიყვარულით შეხედა ზირას ცრემლიანი თვალებით და ისევ დახუჭა.

— ბიჭო! თედო! როგორ ხარ გენაცვალე! ნუ გეშინია ჩქარა მორჩები—ჩასძახა აქვითინებულმა ზირამ და თვალებში ჩააშტერდა.

თედომ ქუთუთოები ძლივს ასწია, ტანჯვით გაიღიმა:

— ნუ გეშინია, ზირა, მალე ავდგები! კარგათ ვარ ეხლა:

თვალები ისევ დახუჭა.

თედო ოცნების ზღვაში შესცურდა.

აუარებელი ზღვა ხალხი.

ის მაღლობზე სდგას. ხალხს დაჰყურებს.

ყველა მას შესცქერის იმედიანი თვალებით.

ის სჭექს, ქუხს, მეხს ისვრის. მოუწოდებს ჩაერთოს

ხალხი ღელავს.

ხალხი დაიძრა.

ისმის მტვრევა.

ისმის სროლა.

გაიმართა ბარიკადები

გაჩაღდა ბრძოლა.

აგერ ყაძაღების რაზმი ცხენ და ცხენ მიეჭრენ ხალხს, ჰაერში ხმლები ლაპლაპებენ. ისმის ჩახა—ჩუხი, ისმის თოფების გრიალი.

თედო ბარიკადზე სდგას და მედგრათ გაჰკივის:

— აბა, ძმებო! წიხ! წინ! დაჰკარით მაგ წუნკლებს.

თედომ ხელები გაშალა, წამოიწია და დაიყვირა

— დაჰკარით! დაჰკარით! წინ!

ზირა შეკრთა. ხელებში ეცა.

— რა იყო, ბიჭო, თედო! რა გაყვირებს, დამშვიდდი. ვის უყვირი? აქ არავინ არის!

თედომ თვალები გაახილა.

— მაშ ვინ არიან ის გარეთ რომ ყვირიან?

— მგლები არიან, ბიჭო, მგლები!

— მგლები?!. ჩაილუღლუღა თედომ, თვალები და ხუჭა და გაჩუმდა.

იწვის, იხრაკება.

— წყალი! წყალი!

ზირამ ლიტრა მიუტანა პირთან.

თედო დაეწ ფა და ამოისუნთქა, მორჩა, დამშვიდდა გამოცოცხლდა, თვალებ ، გაახილა და ზირას ჩააშტერდა ჩაბჟირებით.

დიდხანს უყურა. თითქოს უნდოდა მისი სახის ყოველივე ნაკვთი გულში აღებეჭდა.

— ზირა! ჩემო ერთგულო, განუყრელო მეგობარო— დაიწყო მან დინჯათ და სვენებ-სვენებით—სამი წელიწადია ჩვენ ერთად ვართ, სამი წელიწადია ერთი წუთით არ მოვშორებივართ ერთმანეთს. შეგვიყვარდა ერთმანეთი. ჩვენ ერთი მეორისთვის ყველაფერი ვართ, დედ-მამა, ნათესავი და მეგობრები. მთელ ქვეყანაზე ჩვენს გარდა ჩვენთვის აღარაფერი არსებობს. ჩვენგან შორს არის ის მშობელი მხარე, სადაც გვეთამაშებოდა მზის სხივები და დედის ალერსივით გულს გვითბობდა. მზე ჩვენგან შორს არის, ერთი წელიწადია ის ჩვენ არ დაგვინახავს. შორს არის ჩვენგან მშობლები, ნაცნობ-მეგობრები, შორს არის ის მხარე სადაც ჩვენ ვიბრძოდით გაკაჟებული გულით. ერთი წელიწადია რაც აქ ცოცხლათ დაგვმარხეს ამ თოვლისა და ყინულის სამარეში. ჩვენს გარშემო მხოლოდ მშიერი მგლები ღმუიან, მზათ არიან შემოიჭრან ჩვენთან და სძიძგნონ ჩვენი ხორცი, თუ კი ის კიდევ შეგვრჩენია. ჩვენს ახლოს არიან მგლებზე უარესი ადამიანები, მათ დიდი ხანია დაუკარგავთ ადამიანის სახე. იგინი განადირებულან. მათ არ იციან რა არის სიბრალული, რა არის ადამიანობა, რა არის ადამიანური მოპყრობა. ერთი წელიწადია იგინი ძიძგნიან ჩვენ გულს, ჩვენ სულს, რკინის მარწუხებით ნელ-ნელა სწოვენ ჩვენ სისხლს, ბინძური ხელებით გვგლეჯენ გულს.

თედო გაჩერდა. სუნთქვა შეეხუთა.

— წყალი! ზირა, წყალი!—წამოიძახა მან.

ზირამ სწრაფათ მიაწოდა ლიტრა.

თედო დაეწაფა, გამოცოცხლდა და განაგრძო:

გააფთრებული სჭამენ ჩვენ ხორცს. ჩვენ ტვინს. გვიშხამავენ სულს. ჩემ ...

დაიწვა. ხომ გახსოვს საბრალო ტასომ როგორ ჩამოიხრჩო თავი, ან სამსონმა როგორ გადაიჭრა ძარღვები—დღესაც მთელ ციხეს შიშის ზარს სცემს გაგიჟებული საცოდავი ვანო. ბევრი ვიტანჯეთ მე და შენ. მე კიდევ იმედი მქონდა, რომ გავიდოდით აქედან, მაგრამ ვატყობ, რომ ეს ტყუილი ოცნებაა. ვკვდები! ვკვდები ზირა! ველარ მოვესწრები კიდევ მზის ნახვას...

თედო დაჩუმდა.

კამერაში ისმოდა მხოლოდ მისი მძიმე სუნთქვა და ზირას ცრემლების ლაპა-ლუპი.

— ზირა!—ნელი ხმით წამოიძახა თედომ.

— რა გინდა, გენაცვალე? მითხარი რა გინდა?

— ზირა, ერთს გთხოვ... როცა ჩვენს ქვეყანაში დაბრუნდე, ნახე დედა-ჩემი და უამბე ყველაფერი, უამბე როგორ ტანჯვაში დავლიე სული, იქ დევს ჩემი ნაწერი და გადაეცი დედას შეინახოს ჩემს სახსოვრათ... შენ გული არ გაიტეხო, გაუძლებ, გახვალ. არ დამივიწყო. ყველა ნაცნობ-მეგობრებს აკოცე, დედას აკოცე... გესმის? აკოცე ყველას უეჭველათ... ტუჩში, ტუჩში აკოცე... გესმის? უსათუოთ ტუჩში... მაგრათ... გრძნობით...

თედო დაჩუმდა.

ზირა გულამოსკვნით, ყრუთ ქვითინებდა.

ერთი საათის შემდეგ თედომ ხრიალი დაიწყო.

ზირა მივარდა და განწირული ჩაეხვია. უნდოდა თავის გული ჩაედო თედოსთვის, თავის სული ჩაებერა. ხან წამოვარდებოდა, თმებში ხელებს იტაცებდა და გაგიჟებული დარბოდა აქეთ იქით.

არსაით შველა, არსაით იმედი!

ორი თავგანწირული ადამიანი ებრძოდა სიკვდილს, მაგრამ მან მაინც თავის ქნა და თედო სამუდამოთ დაადუმა; შესწყვიტა მისი გულის ძგერა.

მოკვდა თედო.

თავგანწირული ზირა ზედ დაეცა თედოს გაციებულ გვამს, ხელები მოხვია, ტუჩებში გამწარებული კოცნა დაუწყო და მორთო საზარელი ღრიალი.

— ბიჭო! ბიჭო თედო! არ მოკვდე! არ დამტოვო! არ მოკვდე ბიჭო!

ზირას სიბრალულით იწოდა ციხის კედლები, მისი ქვითინი შორს ისმოდა.

ზირას ღრიალზე შემოცვივდენ ზედამხედველები და ციხის უფროსი.

მუჯლუგუნებით და ცემით ზირა ძლივს ააგლიჯეს თედოს გვამს.

ციხის უფროსმა უხეშათ საბანი გადახადა, დახედა და წარმოსთქვა.

— ჩაძალლებულა! გაათრიეთ!

ერთმა ზედამხედველმა ბორკილებში ხელები ჩასჭიდა და თედოს გვამი თრევით წაიღეს.

ზირა თედოს ჩაებღაუჭა და შემზარავი ხმით მორთო ღრიალი.

— ბიჭო! თედო! არ მოკვდე! ნუ მიდიხარ! სად მტოვებ! ნუ მიგაქვთ თქვე ძხეცებო! მტარვალებო! ჯალათებო!

გამწარებულმა ზირამ ზედამხედველს ისე მაგრათ ჩაზირას ბევრი სცემეს. თავპირი დაუსისხლიანეს და გონება დაკარგული მიაგდეს კუთხეში.

თედოს გვამი კი გარეთ გაათრიეს.

უცბათ კუთხეში მიგდებულ, გონება დაკარგულ ზირას საზარელი გმინვა აღმოხდა გულიდან. ამ გმინვას თითქოს ამოატანა სული, გული.

ციხის კედლები შეინძრენ.

ადამიანებს გულში მოხვდათ ეს თავგანწირული გმინვა.

გარეთ ქარი ღრიანცელს აგონებდა... ვილაც ჩაეხვია... დაებელთა, დაეტორა...

ბოლოს ზურგზე წამოიკიდა და ხარხარით დაეშვა თოვლის ზღვისკენ.

სულ ახლოს, თითქო თედოს სატირლათ მოზარენი მოსულან, გულსაკლავათ ყმუოდენ მგლები...

პ. ირეთელი.

17 ნოემბერი 1924 წ.

ქ. ტფილისი.

რევოლიუცია.

კ. ლიბკნეხტის ლექსი *)

ქარი არის—მეგობარი:
ჩემი თანაბარი—
მესმის მისი მოძახილი:
მოწოდების ზარი.
ნეტავ როდის მექნება—
ეს ხუნდები აყრილი...
ან და—როდის შევიძლებ
გადავაგდო ბორკილი.
ქარო—
მე შენში ვარ—შენ ჩემში.
ჩვენ ერთად ვართ...
ერთად მივალთ სიჩქარით
იმ დღეებთან—
იმ წამისკენ ვიჩქარით:
როცა ქვეყნად
არ იქნება წამება—
და მსხვრევა:
ციხეების კარები.
ერთად—
ქვეყნის ყველა კუთხისკენ...
ჩვენ ერთნი ვართ:—
გავახუროთ ბრძოლისთვის—
სისხლი ცელქი მჩქეფარე
გული—
ტვინი კაცობრიობის...
ჩვენ შევარყევთ სამყაროს—
მე და ქარი!

პ. ა.

*) დაწერილია—ლიკაუში; პატიმრობის დროს. ამოღებულია

კონცერტები

ფრაგმენტი.

მოდიოდენ ჩუმად.
ფეხაკრეფით.
მანძილი შორი. სივრცე—უდაბური:
გადაგრაგნილი ნისლის გორებით.
ბურუსი შავი: საშინელი. გაურკვეველი. სიცივე. ყინვა.
შიმშილი. წყურვილი. ტანჯვა. ლოდინი. სუსხიანი ღამეები.
დაუსრულებელი გზა.
— კიდევ წინ.
— ბოლომდის.
— მტკიცედ: ისმოდა ძახილი. ძლიერი ხმა.

მოდიოდენ ჩუმად.
ცერებით. დინჯად. უსიტყვოდ—ქედმოხრილი მონები.
— ერთად.
— მჭიდროდ: მოქონდა ნიავს—მრავლად და ხარბად.

მხოლოდ მოთმენა.
მხოლოდ ლოდინი.
კრძალვა და შიში.
არც ერთი სუნთქვა.
დაუსრულებელი სწრაფვა.
უდაბნო ხრიოკი მთები. ზღვები. ოკეანეის აგორებულ ტალღების ველური ღრიანცელი.
შავი ნაპრალები.
ურაგანის მძაფრი ღმუილი ასკდებოდა საუკუნეთა ბარიერებს.
— მიშვე-ლ-ე-ეეეეო!
— ვილუპეეებიიით! მოქონდა სიოს.
პასუხი—არსაიდან.
არც ერთი იმედი
არსად ნუგეში
შეკუმშულ ოცნებათა ქარავნები მისდევდენ მაგარ კუნთებიან მონებს.

— მზისკენ!
— მზე!
— მზის სიმხურვალე
— ვულკანის ჰიმნი: მოდიოდენ ხმები ბურუსიდან.

მოდიოდენ ჩუმად.
მოდიოდენ მუნჯები.
სუნთქვა შეკრულ მონებს მიერეკებოდა:—
სწორი მიზანი.
მზის სიყვარული.
მზის ფარული ვნება—მკლავებში დაღვრილი.

დღეები—დღეებს.
წლეები—წლეებს: მისდევდენ სწრაფად.
გარბოდენ მრავლად.
იგივე ლტოლვა.
სწრაფვა—უსაზღვრო.
ფიქრები. ფიქრები. ფიქრები—მხოლოდ.

ლეგენდარულ ქვეყნის ნაპირებიდან გამოჩნდენ: მიდრეკილ ... ქების. სოფლების. ცად აბჯენილ—აბოლებულ ქარხნის მილების.
იწევდა ფიქრი.
იწევდა მიწის ფენა—როგორც
ბარომეტრი.
დაიკარგა მოთმენა.
შეწყდა ლოდინი.
გაჭრა შიში: კრძალვა. საშინელების აჩრდილი.
— დიდება შენ ალთქმის კუნძულო.
— წინ. მაშ წინ—საბოლოო გამარჯვებისაკენ: დაჭრილ ლომივით დაილრიალეს ურიცხვმა ბაგეებმა.

ქვეყანას—რომელიც სანაგვე ყუთს გავდა: მოედო ცეცხლი. რუხრუხით ეშვებოდა საუკუნეთა განმავლობაში აშენებული კოშკების ცად ავარდნილი კედლები.
დაიმსხვრა რკინის ბჭეები.
დაიმსხვრა სალტეები—რომელიც კრავდა ქვეყანას არტახებივით. პირდაღებული ნაპრალები ყლაპავდენ სასახლეებს და დარბაზებს..

..მაგრამ... ისევ სიჩუმე.
ბორკილები. მსხვერპლი. სისხლი. შურისძიება. ეშაფოტი.
ქარიშალიან დღეების დაუსრულებელი კარნავალი...
შიში. შიმშილი. სიცივე.
ტანჯვა. ცრემლი.
ჯაჭვები ჯაჭვები.
ბნელი საკანი. ბორკილები.
ციხის შავი კედლები.
ლოდინი. ლოდინი—საშინელი.

„სად არის მზე?
„მზის სიყვარული?
„მზის სიმხურვალე?
იცდიან ქალაქები. ქუჩები. სოფლები. ახალშენები. კუხძულები. ქარხნები. უცდიან მონებს. უცდიან სიხარულს. უცდიან მზეს. საყვირს—ქარხნების გრიალს. ქარხნების ხმაურს.

მათ სდარაჯობენ ხიშტზე დაყრდნობილი ქალაქები. გალაკნები. რკინის კვერთხები. მეფეთა რისხვა.

..და სხედან მონები: ჩუმად.
უსიტყვოდ ფუსფუსით. მშიერნი. ტიტველნი.
უცდიან კედლების დანგრევას.
უცდიდენ მუდამ.
უცდიდენ გუშინ.
უცდიან დღესაც.
— მზისკენ!
— მზე!
— მზის სიყვარული.
— მზის სიმხურვალე.
— ვულკანის ცეცხლი.
— მტკიცედ.
— ერთად!
— მოვდივართ თქვენსკენ. დაგიხსნით. გიშველით!..
მოაქვს ქარებს... ოქტომბრის ქარებს ციხის სარკმელთან:



გერმანია.

ტერორისა და შურისძიების იუსტიცია.

გერმანიის ბურჟუაზიულ იუსტიციას არასოდეს არ სძინავდა როდესაც საქმე ეხებოდა იმათ, ვინც ცდილობდა შეერყია კაპიტალის „საღმთო“ საფუძველი. ჯერ კიდევ მონარქიულ გერმანიის დროს, დრაკონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენები პატიოსან მუშებზე, საშინელებას და აღელვებას იწვევდა მთელს განათლებულ კაცობრიობაში. მაგრამ, რაც მაშინ ხდებოდა, თითქმის არაფერია იმასთან შედარებით, რასაც განვიცდით ე. წ. რესპუბლიკანურ-დემოკრატიულ გერმანიაში, რომელსაც სათავეში უდგას სოციალ-დემოკრატი ფრიც ებერტი.

სასამართლოს განაჩენები და მათი აღსრულება თანამედროვე „რესპუბლიკანურ“ გერმანიაში იძლევა სრულიად გარკვეულ ტენდენციას—სისხლის სამართლის დამ-



ციხე ლიუნებურგში (გერმანია).

ნაშავეთა სასჯელის შემსუბუქება-შეწყნარებისას, ხოლო პროლეტარულ პოლიტიკურ „დამნაშავეთა“ მიმართ დრაკონულ სიმკაცრისა და წარმოუდგენელ შურისძიებისას. მთელი რიგი მეტად თვალსაჩინო სისხლის სამართლის დანაშავეთა რჩება გერმანიაში დუსჯელი, ან რამოდენიმე წლის შემდეგ სადმე შეუთხვევით წააწყდებიან.

გერმანი რამოდენიმე წლის განმავლობაში, გერმანიის პოლიციის მფარველობის ქვეშ, ეწეოდა მკვლელობას მრავალ დიდ და მძიმე დანაშაულებზე, რომლებსაც ძლიერ ხშირად აღმოაჩენენ ხოლმე პოლიციის დაუხმარებლად, გამოაქვთ მეტად მჩატე და მსუბუქი განაჩენი, კიდევ მეტი, ხშირად საქმეს სულ მიაფუჩეჩებენ — „მოყვასთა სიყვარულის ერთგული დამცველები“.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ ტორმანისა და გრანდელის საქმე, რომელთაც ბრალი ედებოდათ რეიხსვერის გენერალ ფონ-ზეიკტას მკვლელობაში. ისინი დაუყოვნებლივ იქნენ განთავისუფლებულნი. ასეთივე შებრალებასა და შეწყნარებას აქვს ადგილი იმ პოლიტიკურ დამნაშავეთა მიმართ, რომლებიც გამოსულნი არიან მონარქიულ ან ფაშისტურ წრეებიდან, რომლებიც მოსისხლე მტრები არიან მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობისა. მიუნხენში გიტლერის პროცესი ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

ძალზე ამაღელვებელია პოლიციისა და იუსტიციის საქციელი მრავალრიცხოვან ფარულ კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც სისტემატიურად ძალადობასა და მკვლელობებს აწარმოებენ. ისინი ამისათვის კი არ ისჯებიან, არამედ სარგებლობენ მთავრობის, პოლიციისა და იუსტიციის მფარველობით. ასე რომ, თუ კი ვინმემ აღო თავის თავზე გამბედაობა და გამოააშკარავა ამ ფარულ საზოგადოებათა მოღვაწეობა, მას საჯაროდ იჭერენ და ატუსაღებენ, როგორც სახელმწიფოს მოღალატეს.

კონტრ-რევოლიუციონერებისა და სისხლის სამართლის დამნაშავეთა მიმართ წარმოებულ შებრალებასთან ერთად ტარდება ამაღელვებელი, შურისძიების სისხლიანი იუსტიცია პროლეტარიატის მიმართ, რომელიც ცდილობს გჰირულ წინააღმდეგობის გაწევას, რომ საზღვარი დაუდვას მონობის რეჟიმს და კაპიტალის ძალადობას. ყოველ დღე ერთი მეორეზე უსაშინელესი განაჩენები გამოაქვთ რევოლიუციონურ მუშებზე. დღითი დღე იზრდება ბურჟუაზიის ცილისწამება გერმანიის იმ მუშების წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ დროშაზე დააწერეს: **მშრომელ ერების განთავისუფლება კოლონიალურ მდგომარეობიდან, გათელვისაგან, მტაცებლობისაგან და განადგურება საერთაშორისო კაპიტალისა.** ბურჟუაზიული კლასიური იუსტიცია იხდის საკუთარ ნიღაბს და თავი-

ნებს, მხოლოდ კი ქონდეს საშუალება მოიკლას რევოლიუციოხური პროლეტარიატისადმი საშინელ შურისძიების კონტრ-რევოლიუციონური წყურვილი.

რით აიხსნება გერმანიის იუსტიციის ძალადობის პოლიტიკა რევოლიუციონურ პროლეტარიატისადმი? საქმე შემდეგში მდგომარეობს: **გერმანია იმყოფება მწვავე კლასიურ ბრძოლის პერიოდში.** გერმანიის ბურჟუაზია გრძნობს, რომ ექსპლოატატორებს და ბურჟუაზიულ ხელისუფლებას ემუქრება განსაცდელი. კლასიური ბატონობის გამაგრების მიზნით, ის მზადაა ხელში ჩაუგდოს საერთაშორისო ფინანსიურ კაპიტალს მთელი გერმანიის მშრომელი ხალხი...

თანამედროვე თეთრ-ტერორისტულ იუსტიციის მოღვაწეობაში ყველაზე უფრო საინტერესო და თვალსაჩინო არის ის გარემოება, რომელიც იქნება „რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო სასამართლოს“ მიერ. ეს სასამართლო დაარსებულია უშუალოდ სახელმწიფო მინისტრის **რატენაუს** სიკვდილთან დაკავშირებით, მკვლელთა მემარჯვენე რადიკალურ ორგანიზაციებთან საბრძოლველად. ეს „მშვენიერი“ სახელმწიფო დაწესებულება, რომლის შემადგენლობაში შედიან გამოჩენილი სოციალ-დემოკრატები, სხვათა შორის ყოფილი მინისტრი **ვოლფგანგ გეინე,** მელითონეთა კავშირის თავმჯდომარე **ბრანდესი,** ოლქის უფროსი **ლანგე** და სხვები, თავისი წარმოშობის პირველ დღიდანვე დიდს შეღავათს და სულგრძელობას იჩენს თეთრ-გვარდიელთა ბანდების მიმართ, ხოლო როდესაც ხელში ჩაუვარდება კომუნისტები, ააშკარავებს თავის კლასიურ სიძულვილსა და შურისძიებას.

გერმანიის ბურჟუაზიის ფიქრი იმაზე, რომ რისხვა, რეპრესიები და სისხლიანი განაჩენები ან შეაჩერებს, ან ხელს ააღებინებს მუშათა კლასს თავის საარსებო ინტერესებზე—უსაფუძვლოა.

კლასიური იუსტიციის სისხლიანი განაჩენები ვე შეასუსტებს მუშათა კლასის რევოლიუციონურ ნებას. პირიქით, ეს განაჩენები ააფეთქებს იმ ვულკანიურ ძალას, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს წალეკავს არა მარტო თეთრი ტერორის იუსტიციას და მის მომხრე დამქაშებს, არამედ ბურჟუაზიულ სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ წესებსაც კი, რომლის ნიადაგზე სდგას უკვე ჩამომჭკნარი შურისძიებისა და კლასიურ ტერორის სისხლიანი იუსტიცია და მისი დამცველნი სოციალ-დემოკრატები.

ე. ჰელლაინი.

—:—

ი ტ ა ლ ი ა

მუსოლინის ციხეებში

რეაქციის საშინელ წლებში მეც მომიხდა მუსოლინის, არა ერთ, არამედ მრავალ ციხეებში სტუმრობა..

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ იტალიაში არა აქვს განსხვავება პოლიტიკურსა და სისხლის სამართლის დამნაშავეებს. პოლიტიკურ პატიმარს, რომელმაც დასწერა წერილი ფაშისტურ ბანდების აღვირახსნილობაზე, ექცევიან ისე, როგორც მკვლელს და ქურდ-ბაცაცებს.

როგორია ციხის რეჟიმი იტალიაში?

ციხეებში, ე. წ. დროებით სატუსაღოებში, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ძლიერ ხანგრძლივია, პატიმარი ღებულობს სადილს, რომელიც შეიცავს 600 გრამს (1½ გირ.) პურს და „სუფს“. ასე რომ, თუ პატიმარი არ ღებულობს დახმარებას გარედან, განწირულია სასიკვდილოდ.

ციხის საკანის განი—5 ნაბიჯია, სიგრძე—6. არავითარი ავეჯეულობა არ მოიპოება.

გასეირნება შეიძლება ყოველ დღე, მხოლოდ ერთი საათის განმავლობაში, ციხის ეზოში. ფაქტიურად ის გრძელდება 40 წუთს. წკომიან ან საერთოდ ავდრიან დღეებში სრულიად მოსპობილია გასეირნება. არის შემთხვევები, როდესაც პატიმრები სუფთა ჰაერს თვეობითაც მოკლებული არიან. გასეირნების დროს მხოლოდ იმ პატიმრებს შეუძლიათ ერთმანეთთან საუბარი, რომელთა საქმე გარჩეული არ არის. გასამართლებულები კი მოკლებულნი არიან ამ საშუალებას და იმყოფებიან სრულიად მარტოობაში, სასტიკ კანტროლის, დარაჯების ზედამხედველობის ქვეშ.

საკნებში პატიმრები კითხულობენ, მხოლოდ არა პოლიტიკურ ლიტერატურას (ამას ფაშისტები არ დაუშვებენ!); კითხულობენ მზის ჩასვლამდის. საღამოობით საკნებს არ ანათებენ, ასე რომ კითხვა შეუძლებელია.

ფანჯრის რკინის ქსელის დათვალიერება ხდება დღეში ორჯერ; საკნის-კი ყოველ საათში.

მეტის მეტად ძნელია იტალიის ერთი ციხიდან მეორეში გადასვლა. მაგ., ერთი პატიმართაგანი მილანიდან რომში უნდა გადაიყვანონ. ამ „პროცესმა უნდა გაიაროს შემდეგი საფეხურები. შეუკრავენ ხელებს განსაკუთრებული ბორკილებით და ჯაჭვით მიაბავენ სხვა გად საგზავნ ტუსაღებს. ამრიგად

ვაგონში ცალკე განყოფილებებში სვამენ, რომელნიც ისე პატარა და ვიწროა, როგორც კუბო. მათ რამოდენიმე დღის განმავლობაში არა აქვთ საშუალება განძრევის და სინათლის დანახვის.

არასოდეს არ გადაყავთ პატიმრები დანიშნულ ადგილზე პირდაპირ. გზაში მრავალი ციხეებია, სადაც აჩერებენ ტუს ღებს „დასასვენებლად“ ამ „ძვირფას მოგზაურობიდ ნ“.

ნორმალურ მდგომარეობაში მილანიდან რომამდე რკინის გზით 6 ს. სამგზავროა. პატიმრები კი მოგზაურობენ 30 დღის განმავლობაში. აი რამოდენიმე შენიშვნა იტალიაში რევოლიუციისათვის მებრძოლთა მდგომარეობის შესახებ. აქედან ცხადია, რამდენად აუცილებელია ეახმარების საქმის გაძლიერება იტალიის ფაშიზმის ტყვეებზე.

მიუხედავად ასეთი საშინელი და ძძიმე პიროებებისა, იტალიის კომუნისტები მაინც არ ეცემიან სულით. მათი რევოლიუციონური სულიერი განწყობილების განმტკიცებაში დიდი როლი ითამაშა იმ უდიდესმა მუშაობამ, რომელიც ჩაატარა რევოლიუციის მებრძოლთა საერთაშორისო დამხმარე ორგანიზაციამ (რამედ ს) კაპიტალისტურ ციხეებში დაპატიმრებულთა სასარგებლოდ, და წერილმა, რომელიც გაგზავნეს შეფებმა რუსეთიდან.

ფორლის ციხის პატიმრებმა თავიანთი შეფიდან წერილის მ ღებისთანვე მოაწყვეს ციხის ეზოში დიდი მიტინგი, სადაც, მიუხედავად სასტიკი ზომების მიღებისა ციხის ადმინისტრაციის მიერ, იქნა მრავალი სიტყვები წარმოთქმული და გამოტანილი რეზოლიუცია, სადაც პატიმრები უდიდეს მადლობას სწირავდენ ს. ს. რ. კავშირის რევოლიუციონურ პროლეტარიატს.

მეორე ფაქტი, რომელიც ახასიათებს პატიმართა განწყობილებას, მოხდა **ბოლონიეს** ციხეში. პროცესის შემდეგ 14 მუშა, რომელთაც ბრალს სდებდენ ფაშისტის მკვლელობაში, გასამართლების შემდეგ ისევ ციხეში მოიყვანეს. ერთი ფაშისტი პოლიციელი გადაუდგა წინ გასამართლებულთ, რომელთაც ბრალი წელი ქონდათ მისჯილი, და სთქვა: „ეხლა ისწავლეთ რუსეთის მფარველობა“-ო. ამის საპასუხოდ გასამართლებულ პატიმრებმა ერთხმად დაიყვირეს „გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს“-ო და, მიუხედავად ციხის ადმინისტრაციის სასტიკ უს-რამქსა, პატიმრები მთელი ღამე მღეროდენ „ინტერნაციონალს“...

გამოძახილებს: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს“—არ ქონდა დასასრული.

მ. ფერრი.

—:—

ბულგარეთი.

ტერორის ახალი ტალღები.

ბულგარეთიდან მიღებული უკანასკნელი ცნობები ამტკიცებს, რომ ისევ დგება სისხლიანი ტერორის ტალღები. ციხეები კვლავ გაივსო მუშებითა და გლეხებით. მათ აშორებენ ქარხნებს და სახელოსნოებს, მშვიდობიან მუშაობას.

დაიწყო ხელახალი დევნა, ჟლეტა და ძალადობა.

18 აგვისტოს მოკლეს სამოკოვში მუშა-კომუნისტი, ქალაქის თვითმართველობის და ოლქის ერობის წევრი ამხ. **მიხეილ დაშინი.**

მკვლელობა მოხდა დღით, ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე. ამხ. დაშინი ცდილობდა თავის დაცვას შიშველი ხელებით. მკვლელმა სამჯერ ზედი-ზედ ესროლა, მაგრამ სასიკვდილოდ მაინც ვერ დასჭრა. გასისხლიანებულმა ამხ. დაშინმა მოასწრო მახლობელ პურის საცხობ დუქნში დამალვა. მას ჯალათი მაინც წამოეწია და გამოასალმა წუთისოფელს. მკვლელი შეიპყრეს, მაგრამ ბოიხერხეს გაქცეულიყო.

ამხ. დაშინის მკვლელობა წარმოადგენს მთელ რიგ მკვლელობათა დასაწყისს. პროფესორებისა და გენერლების ხელისუფლება არ ერიდება განაცხადოს, რომ მხოლოდ ამ გზით, **კომუნისტების ფიზიკურად განადგურებით „გასწმინდავენ“ ქვეყანას კომუნიზმისაგან.**

მთელ ბულგარეთში ტერორს მთავრობის თარეშის ხასიათი აქვს. ფეხებამდე შეიარაღებული ჯარის-კაცები, ჟანდარმები და დაქირავებული ბრბო დათარეშობენ სოფლებსა და ქალაქებში. პოლიციის დადგენილებით სოფლებში სიარული შეიძლება საღამოს 8—9 საათამდე, ქალაქებში კი—11—12 საათამდე. ქალებს და ბავშებს არა აქვთ უფლება გავიდნენ თავიანთი სოფლებიდან პოლიციის უნებართვოდ.

კომუნისტების მოწმობებზე აღნიშნულია, რომ ისინი არიან კომუნისტები, რის გამოც მათ ყოველ ნაბიჯზე ხვდება დაბრკოლებები, ყოველ მშვენიერ წუთში შეუძლია მთავრობის აგენტს მათი მოკვლა.

მუშებსა და გლეხებს, რომლებიც მუშაობენ მინდვრებში, არა აქვთ უფლება სამუშაოზე საჭმელი წაიღონ. ამრიგად მშრომელი ხალხი წყევლით და კრულვით ბრუნდება მინდვრებიდან შინ, რომ სადილის შემდეგ ისევ სამუშაოზე წავიდენ.

ასეთი საშუალებით ფიქრობს პროფესორთა მთავრობა ამოხოცოს შიმშილით ყველა ის, ვინც გაქცეულია და ტყეში ენახავს თავს.

აი სანამდის მივიდენ კონსტიტუციონურ—პარლამენტარული და „დემოკრატიული“ ბულგარეთის სისხლიანი მმართველნი. შეიარაღებული ბანდები დასდევენ სოფ-

ლებს, ჟლეტავენ უდანაშაულო ხალხს, ანვითარებენ ტერორს.

ბრაცინგოვის ოლქში გაგზავნილი იყო რაზმი აჯანყებულთა წინააღმდეგ—როდესაც მთელს ოლქში ვერაფერი იპოვეს, მკხოვრებლებზე იყარეს ჯავრი. ასობით შეიპყრეს გაქცეულთა მშობლები და ნათესავები და ცემა-ტყეპით გარეკეს ფელიპოპოლში, სადაც მრავალი მათგანი, უკანასკნელ ხანებში, მხეცურად ამოხოცეს.

გააფთრებული დევნა, თვითნებობა და კლასობრივი შურისძიება სწარმოებს მთელს ბულგარეთში. ითხოვენ სამსახურიდან რკინისგზელებს, ფოსტის მოსამსახურეებს და სხვებს—რომელთა შესახებ „უფროსებმა“ შეიტანეს, რომ ისინი კომუნისტები არიან გლეხების კავშირიდან ერთიანი ფრონტის მომხრეებს არ ლებულობენ არსად სამსახურში. ისინი იხოცებიან შიმშილით.

სახლებში და სახელოსნოებში ჩვენი ამხანაგები იმყოფებიან პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. ოფიცრები და უნტერ ოფიცრები მთავრობამ აგენტებად გადააქცია, მათ დაავალა კომუნისტებზე თვალყურ ს დევნა.

ნაფიც ვექილების კანტორების წინ ყოველთვის მორიგეობენ „შპიკები“; ისინი იჭერენ და აგზავნიან ციხეში ყველა მუშებს და გლეხებს, რომლებიც მიდიან ვექილებთან დახმარებისათვის.

ბულგარეთის ბურჟუაზია გამწარებით იკბინება. ეს იმას ნიშნავს, რომ მოახლოვდა მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები... ახლოა სიკვდილის საშინელი კლ ნჭები... ბულგარეთის ხალხის მოთმინების ფიალა უკვე აივსო.

ტ. ლუკანოვი.

ამხ. დ. ნ. ბლაგოევი.

(1855—1924)

(ბელადი და დამაარსებელი ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა).

ბულგარეთის სატახტო ქალაქ—**სოფიაში** მრავალრიცხოვანმა მუშებმა და გლეხებმა დიდის ამბით დაასაფლავეს უდიდესი მასწავლებელი და ორგანიზატორი მშრომელთა კლასისა **ამხ. დიმიტრი ნიკოლოზის ძე ბლაგოევი.**

თუ როგორის თავგამოდებით იცავდა და ემსახურებოდა ამხ. ბლაგოევი ბულგარეთის ყველა მშრომელს სჩანს იმ 120 სხვა და სხვა ნეკროლოგიდან, რომლითაც აჭრელებული იყო მგლოვიარე ქ. სოფიას ქუჩები.

ბულგარეთის მშრომელმა კლასმა იგრძნო ძვირფასი მასწავლებლის და ბელადის დაკარგვა. ჩვეულებრივი დაკრძალვა იყო დემონსტრაცია ცანკოვის სისხლიანი მთავრობის წინააღმდეგ. ამიტომაც იყო რომ დასაფლავების დღეს სოფიის გარნიზონის ჯარის ნაწილები იცავდენ ქალაქში მთავარ ადგილებს. ისინი იკავებდენ შესაფერ პოზიციებს, რომ დაეცვათ ფაშისტური შავრაზმელები ხალხის რისხვისაგან.

ამხ. ბლაგოევი იყო ბულგარეთში სოციალიზმის პირველი მქადაგებელი, დამაარსებელი პირველი გაერთიანებულ სოც.-დემოკრატიულ პარტიისა, რომელსაც იცავდა ოპორტიუნიზმისაგან. განხეთქილების და სოციალ-გამყიდველების გაძევების შემდეგ, ამხ. ბლაგოევი სათავეში მოექცა სოციალ დემოკრატიულ პარტიას „ტესნიაკებს“—ეხლანდელ კომუნისტურ პარტიას, კომუნისტურ ინტერნაციონალის სექციას. აი რამ შეუწყო ხელი იმას, რომ ამხ. ბლაგოევი გამხდარიყო პოპულიარული პიროვნ ბა.

ამხ. ბლაგოევი მოკვდა პატიმრობაში სექტემბრის სახალხო აჯანყებაში მონაწილეობის მ ღების გამო ის იყო პასუხისგებაში მიცემული, მაგრამ მისი ღრმა მოხუცებულობის გამო ის ყავდათ სალტიკ ზედამხედველობის ქვეშ, შინაური წესით დატყვევებული.

ამხ. ბლაგოევი დაიბადა მაკედონიის სოფელში, ერთ-ერთ ღარიბ ოჯახში. ის თავიდანვე შეურიგებელი და მოსისხლე მტერი იყო ყოველგვარ ძალადობისა და უსამართლობის მან დასტოვა თავისი სოფელი... წავიდა სამუშაოს საძებნად. მას ვხვდებით ქ. სტამბოლში, ბულგარეთის ქალაქებში

ფედ, გაზეთების დამტარებლად. ბოლოს ამხ. ბლაგოევმა მოალწია ძველ რუსეთამდე—ამ ჯოჯოხეთურ ქვეყანაში, სადაც მძვინვარებდა მეფის შავი რეჟიმი, ის ჩადგა თვითმპყრობელობასთან მებრძოლთა მოწინავე რიგებში. პეტროგრადში. მან დააარსა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, რომელმაც მალე გამოსცა არალეგალური გაზეთი „მუშა“, რომელსაც ხელმძღვანელობდა თვით არალეგალური სტამბის რედაქტორი.

ორი ნომრის გამოცემის შემდეგ სტამბა აღმოჩენილ იქნა პოლიციის მიერ. ბლაგოევი დააპატიმრეს და ჩასვეს პეტრეპავლეს ციხეში. 6 თვის პატიმრობის შემდეგ გამოუშვეს, როგორც უცხოეთის ქვეშევრდომი, და გადაგზავნეს ბულგარეთში, სადაც მიუხედავად მკაცრი ზომებისა და სასტიკ რეპრესიების, მან განაგრძო ბრძოლა სიკვდილამდის.

ჯერ კიდევ 1898 წელს ამხ. ბლაგოევი, როდესაც პარტიას შეამჩნია ოპორტიუნისტულ მიმდინარეობის ნი-

ამხ. დიმიტრი ნიკ. ძე ბლაგოევი

ბულგარეთის კომპარტიის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, გარდაიცვალა საშინაო ტყვეობის დროს სოფიაში 7 მაისს 1924 წ.

შნები, გადავიდა რევოლიუციონურ მარქსიზმის მხარეზე. 1905 და 1907 წლებში მან, როგორც მედგრად დამცველმა ცენტრალიზმისა, გასწმინდა პარტია ინტელიგენციისა და დარჩენილ დემოკრატიის ფრაქციულ ოპორტიუნისტებისაგან.

ამხ. ბლაგოევი იყო დამაარსებელი ბალკანეთის სოციალისტურ, ეხლა კომუნისტური—ბალკანეთის ყველა ქვეყნების კომპარტიის ფედერაციისა. ის მხურვალედ მიესალმა რუსეთის რევოლიუციას. იცავდა ოქტომბრის რევოლიუციას და იყო უდიდესი თანამგრძნობი და მოამხრე III კომუნისტურ ინტერნაციონალისა.

ამხ. ბლაგოევის ლიტერატურულ შრომას ეკუთვნის მარქსის „კაპიტალი“-ს პირველი ტომის თარგმანი ბულგარულ ენაზე. ამხ. ბლაგოევი იყო მუდმივი რედაქტორი პარტიულ ჟურნალ „ახალი დრო“-სი, რომელსაც რედაქტორობდა დღიდან ჟურნალის (1921 წ.) გამოსვლისა, სა-

ბულგარეთის კომპარტიისათვის დიდ ღირებულებას წარმოადგენს აგრეთვე ამხ. ბლაგოევის მიერ ორი საკითხის მოგვარება ბალკანეთში: ეროვნულისა და მიწის საკითხის.

აი, რატომ იყო, რომ ბულგარეთის მუშათა კლასმა მისი წინამძღოლი, მასწავლებელი და ბელადი, ღრმად მოხუცებული ამხ. ჩვეულებრივი, დიდის ამბით, დემონსტრაციით და გლოვის მარშით მიაბარა მიწას.

ტ. ლ.

—:—

ჰუნგრეთი

თეთრი ტერორის ხუთი წელი.

ორ აგვისტოს შესრულდა ხუთი წელი მას შემდეგ, რაც რუმინიის მემამულეების ჯარებმა დაიკავეს ჰუნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის სატახტო ქალაქი—ბუდაპეშტი.

საბჭოთა მთავრობის ჩამოგდების დღიდან ხელისუფლებას სათავეში მოექცა სოციალ-დემოკრატია. ბუდაპეშტის აღნიშნაგებს, რომლებიც მაშინ ჯერ კიდევ თავისუფალი იყვნენ, ალბათ ახსოვთ, როგორ იკავებდენ რუმინეთის ჯარის ნაწილები დაწესებულებებს, რათა დახმარებოდენ სოციალ-დემოკრატებს „წმენდაში“.

სოციალ დემოკრატები მთელ თავიანთ ღონისძიებას ხმარობდენ გაეცათ აქტიური კომუნისტები, რომ მოეპოვებიათ თეთრი ჯარების თანაგრძნობა. უკანასკნელად რუმინელებს აღარ სჭირდებოდათ სოც.-დემ. სამსახური გააკრეს ქალაქში განცხადებები, რომლითაც მოუწოდებდენ სახლის მეპატრონეებს გაეცათ ყველა დარჩენილი აგიტატორები და საბჭოთა მოსამსახურეები. ამრიგად დაიჭირეს ათასობით მუშები, გლეხები და წითელ-არმიელები. მათი საგრძნობი ნაწილი, სამხედრო ტყვეების სახით, წაიყვანეს დობრუჯში, სადაც დაიღუპენ კიდევაც. რამდენიმე დღის შემდეგ რუმინიის ჯარისკაცები იჭერდენ სოციალ-დემოკრატებსაც, რომლებიც ერთგულად ცდილობდენ ჰუნგრეთის ბურჟუაზიის ნდობის დამსახურებას.

ტეროორისტული ბანდები შესდგებოდენ მემამულეებისა და აზნაურებისაგან, აწამებდენ და სტანჯავდენ განიარაღებულ მუშებს და გლეხებს.

საშუალო საუკუნეების ავაზაკ-ყაჩაღების მსგავსად, ბანდები თავს ესხმოდენ განიარაღებულ ქალაქებს და სოფლებს, ხოცავდენ, აწამებდენ და ხვრეტდენ ყველას, ვისაც კი შეამჩნევდენ რევოლიუციისადმი თანაგრძნობას. ტისი და დუნაის (მდინარეებია) ტალღები ყოველ დღე ისროდა ნაპირებისაკენ წამებულ მუშების გვამებს.

ეგრეთ წოდებულ „მემარჯვენე წესწყობილების“ დამკვიდრების შემდეგ, რაც სხვათა შორის გრძელდება დღემდის, პასუხის-გებაში იყვენ მიცემულნი ყველა ისინი, ვისი განადგურება ვერ მოასწრეს თეთრმა ჯალათებმა.

დაიწყო ხვრეტა, წამება ციხეებში და სხვ.

ბურჟუაზიულ საზოგადოებიდან გამოსული ქალბატონები იხდიდენ უამრავ ფულს, რათა კომუნისტების დახვრეტის ყურების ნებართვა მიეღოთ. ამრიგად, ოფიცრების იმ ნაწილის გამოკლებით, რომლებიც გადაუცვალეს საბჭოთა რუსეთს, ყველა „ინიციატორები“ დახვრიტეს, ან მიუსაჯეს ხანგრძლივი ციხე. მრავალი დღესაც იტანჯება კონტრ-რევოლიუციის ციხეებში.

დღეს, ჰუნგრეთის კონტრრევოლიუციის გამარჯვების

წამებანი საკონცენტრაციო ბანაკში ზალაეგერსეგში (ჰუნგრეთი).

ციულ ბანაკში—სალაკერსეგში—50, მათ შორის ისინიც, ვისაც ვერ უპოვეს საკმაო გასამტყუნებელი საბუთები „ადმინისტრატიული წესით“, აგრეთვე ისინიც, ვინც ვადის გათავების შემდეგაც ვერ „გამოსწორდნენ“. ჰუნგრეთის ციხეებში დაპატიმრებულთა საერთო ვადა აღწევს 5000 წელს, რაც, სულ-შუალო რიცხვით, თითოეულ პატიმარზე მოდის 8 წელი. დაპატიმრებულთა რიცხვში არის 120-დე მოზარდიც, გასამართლებული მშრომელთა დიქტატურის დამარცხების შემდეგ არალეგალურ მუშაობისთვის. ახალგაზრდების პატიმრობის ვადა აღწევს 6—15 წლამდე.

საბჭოთა მთავრობამ გაანთავისუფლა 200 მუშა. მათ შორის რამდენიმე ამხანაგებიც, რომელთაც მისჯილი ქონდათ დახვრეტა. ამ ჟამად სწარმოებს მოლაპარაკება კიდევ 43 პოლიტ-ტუსაღების შესახებ.

ის ფაქტი, რომ ჰუნგრეთის თეთრი ტერორი ხუთი წელია რაც ნავარდობს, აიხსნება სხვა შორის იმით, რომ ჰუნგრეთის სოციალ დემოკრატიის ბელადებს უკვე არაფერი აქვთ საერთო რევოლიუციასთან. მუშათა ფართე მასსებში შემჩნეულია მედგარი და შეურყეველი თანაგრძნობა რევოლიუციონერებისადმი, რამაც აიძულა სოციალ-დემოკრატიული პარტია გადაედგა რამოდენიმე ნაბიჯი დაპატიმრებულ მებრძოლთა ინტერესებისაკენ. თუ ასეთი შეტევა გაგრძელდა ქვედა ფენებიდან, შეიძლება იმედი ვიქონიოთ ნაწილობრივ „ამნისტიაზე“ იმ პატიმართა მიმართ, რომლებმაც მისჯილი ვადის 2/- გაატარეს ციხეში. ამ სვე უნდა შეუა ჭეს ხელი საერთაშორისო პროლეტარიატის ორგანიზაციულმა ბრძოლამ რემედას-ის სახით.

საბერძნეთი

საბერძნეთის კაპიტალისტები, ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებულ სიმხეცით შეუდგნენ საბერძნეთის წვრილ ხალხზე ბატონობის განმტკიცებას.

მიუხედავად იმისა, რომ ავანტიურისტ ვენიზელოსის მომხრენი და სოც. დემოკრატები არჩევნების დროს დაპირდენ ხალხს, შევქმნით მოქალაქეთა თანასწოროობის და სრულუფლებიანობის დამცველ მთავრობასო, ისინი ანვითარებენ თეთრ ტერორს მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ.

საბერძნეთში თეთრ ტერორს იგივე ხასიათი მისცეს, როგორიც ჰუნგრეთში—ხორტმა, იტალიაში — მუსოლინმა, ისპანიაში — დე რივერამ, ბულგარეთში — ცანკოვმა. საბერძნეთში ფაშისტურ ბანდებს და ჯაშუშებს ლეგალურად თუ არა ლეგალურად აძლიერებენ სახელმწიფო ორგანოები. და არც გასაკვირია ეს, ვინაიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ისეთი პიროვნება უდგას სათავეში, როგორიც არის საბერძნეთის ფაშისტების ენერალი **კონდილისი.**

ამ ბანდების ბნელი მუშაობის აღწერას, რომელსაც ხელმძღვანელობენ „თავისუფალი საბერძნეთის“ ხელისუფალნი, ჩვენ არ შევუდგებით, ვინაიდან ეს შორს წაგვიყვანს. მოვიყვან მხოლოდ ათინას რადიოს უკანასკნელ ცნობას ამ ახლო ხანებში ქ. კავალის თამბაქოს პლანტაციებზე მომხდარ სისხლისმღვრელ შეტაკების შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრი კონდილისი იძულებული შეიქნა აღიარებინა, რომ მთავრობა ნამდვილად დახმარებას უწევდა ფაშისტურ ორგანიზაციებს საბერძნეთის კომპარტიისა და რევოლიუციონურ პროფკავშირების წინააღმდეგ.

საბერძნეთის ბურჟუაზიის მთავარი ყურადღება დღეს მიქცეულია კომპარტიის წინააღმდეგ, რომელიც თავდადე-

1. პ. დომიანაკი, 2. მ. მენიორაკი, 3. პ. აპოსტოლაკი, 4. ე. მენიორაკი.

გლეხთა მოძრაობის ხელმძღვანელნი

ბულად იბრძვის მუშათა, გლეხთა, მშრომელთა და ტანჯულთა განთავისუფლებისათვის.

საბერძნეთის კომპარტიაში, რომელიც შეუერთდა კომინტერნს 1919 წ., ითვლება დღეს 3.000 წევრზე მეტი; იგი აერთიანებს რევოლიუციონურ პროფკავშირებს და თანდათან მეტ ნდობას იმსახურებს საბერძნეთის მშრომელთა თვალში.

შორს არ არის ის დღე, როდესაც ბალკანეთის სახელმწიფოების მუშები და გლეხები და მათთან ერთად საბერძნეთის პროლეტარიატიც კომპარტიების ხელმძღვანელობის ქვეშ შექმნიან ბალკანეთის საბჭოთა სოციალისტურ-ფედერატიულ რესპუბლიკას.

მაზმანიდი.

—:—

საფრანგეთი

კატორღა.

(წიგნიდან: „საფრანგეთის რესპუბლიკის ციხეებში“).

...თენდება. უზარმაზარი და ჩუმი ციხის კედლები წარმოადგენს სასაფლაოს, ცივს აკლდამას. არსაიდან არც ერთი ხმა... მხოლოდ დარაჯი დაარღვევს დროგამოშვებით სამარისებურ სიჩუმეს.

დილის შვიდი საათია. გაისმის ზარის ხმაური. ეს არ არის დაკრძალვის ზარი, არც ბედნიერების მაუწყებელი,—ეს ზარია სიგნალი ცოცხლად დამარხულთათვის. ზარის რეკში მყისვე დგება რაღაც გამოურკვეველი და საშინელების მომგვრელი ღმუილი, განგაში. ხმაურობა რიტმიულად მეორდება ყოველ ხუთ წუთში. ადამიანი, რომელიც პირველად ჩავარდნილია ციხის რომელიმე უსინათლო საკანში და რომელსაც გამოაღვიძებს ეს საშინელი, გამოურკვეველი ხმაური, შერყეულია სულის სიღრმემდის. ის ეკითხება თავის თავს: **„ეს განა სიზმარი არ არის?“** ვისაც არ სმენია ეს ხმები, მას წარმოდგენაც არ შეუძლია იქონიოს მათ საშინელებაზე.

საიდან მოდიან ეს ხმები? ეს—ტყვეები მიდიან სახელოსნოებში სამუშაოდ...

ისინი ნელ ნელა იცვლიან ნაბიჯებს თავიანთი მძიმე ხის ფეხსაცმელებით.. მიდიან გრძელ რიგებად მოწყენილნი, თავჩაღუნულნი და დამძიმებულნი ღამის კოშმარულ მოჩვენებით, სიზმრებით. ისევ დგება დღე. დღე ტანჯვისა და წვალების. ღამეს მხოლოდ დროებითი შესვენება მოაქვს. დავიწყება დღიური სიცხადის, მაგრამ ციხის ზარეების გულისემხარავი ხმაური არღვევს წუთიერ მყუდროებას და უმოწყალოდ დაყრილი ტყვეები ისევ უბრუნდებიან საშინელ სინამდვილეს.

აი... ლოგინი უკვე მოლაგებულია... ისევ სახელოსნოებში... სამუშაოზე... ისევ იმ ჯოჯოხეთში ტყვეები მიდიან.. მიყვებიან ერთი მეორეს ფეხაკრეფით... ზლაზნით... უმჭერენ ქურდულად ზედამხედველს—მორჩილებით და მორიდებით... მათ მხოლოდ ერთი საზრუნავი აქვთ: ღმუილი მოწამლულ მხეცის... როგორი იქნება ის დღეს?

დაუსრულებლად მიიკლაკნებიან პატიმართა წყებები. მათ მოპარსულს და უულვაშო პირის სახეზე კრთიან მწუხარების, ტანჯვის, ზიზღისა და სიძულვილის ათასგვარი ნიშნები. სახელოსნოები ყვირიან, თითქო მემანქანეებმა დიდი ხანია აუშვეს მანქანები... აქ ხომ ერთი წუთის დაკარგვაც არ შეიძლება! სახელოსნოში შესვლის უმალ „ბედნიერი“ კუთხეში ჯგუფად იყრის თავს, რომელთა მაგიერ მათ ოჯახებს შეაქვს ციხის ადმინისტრაციასთან განსაზღვრული თანხა, ისინი უცდიან ყავას, რაღაც შავს და უგემურ სითხეს, რომლის ერთად ერთი ღირსება გამოიხატება მხოლოდ იმაში, რომ ზამთარში შეიძლება მის ორთქლზე ჯერ ხელი მოითბო, შემდეგ კი—მუცელი.

დაიწყება მუშაობა. იძულებითი შრომა: შეკინებული, დამცირებული, სასჯელად გადაქცეული...

ვისაც კატორღა ან ციხე აქვს მისჯილი, ემორჩილება იძულებითი მუშაობას მხოლოდ ისინი, ვისაც მისჯილი აქვთ ციხეში ჯდომა (სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით), თავისუფლდებიან მუშაობისაგან. რაკი სარგებლობენ ისინი კანონით მიჩიჭებულ „უპირატესობით“, მოკლებულნი არიან დამატებითი „საკვებ მასალის“ მიღების საშუალებას. ამიტომ ისინიც იძულებულნი არიან სიამოვნებით წავიდნენ სამუშაოზე, რომ შიმშილით არ დაიხოცონ.

კაპიტალმა—ექსპლოატატორმა მოასწრო ამოეწუწკნა მთელი სარგებლიანობა, რომელიც კი შეეძლო მოეტანა ამ წესებს. შესძლო იყოლიოს თითქმის უსასყიდლო მუშები, რომელთა დასჯა შეიძლება, თუ მუშაობის ნაყოფიერებით ვერ დაგაკმაყოფილებენ, რომელთაც არ შეუძლიათ მოაწყონ კრეებები და რომელთაც არავინ გამოექომაგება. რა ბედნიერებაა!!!

აი რატომ არის, რომ მესამე რესპუბლიკის ციხეებში ჩვენ ვხვდებით უძველეს ქვეყნიერებათა მონობას მთელი თავისი საშინელებით.

მწარმოებელი, რომელიც ყვლეფს პატიმართა შრომას, არის მილიონერი. მას თავისუფალი კავშირი და შეხვედრა აქვს მინისტრებთან. ციხის ადმინისტრაცია ძლიერ გაქნილია, იგი სდგას ბურჟუაზიის ინტერესების სადარაჯოზე. სასტიკად აკრძალულია მუშაობის ერთი წუთით შეჩერება: ლაპარაკი, სამუშაოდან თავის აწევა, საქმიდან მობრუნება. არის შემთხვევები, როდესაც კრძალავენ ფეხსალაგებშიაც გასვლას. სრულიად მცირე საბაბით (ზოგჯერ—უდანაშაულოდაც) იმუქრებიან, სჯიან... არც ძველ ჭრილობათა გახსნა-განახლება, არც ჭაობის ციებიდან გამოწვეული უგრძნობლად დავარდნა არ არის მიღებული მუშაობის დროებით შესაჩერებელ საბუთად. უმოწყალო პატიმართა მწარე კვნესა—ხვნა—მუდარაზე ზედამხედველს შეხედვაც არ უნდა. **„ხომ არ დამიქირავებიხართ,—რომ სულიც ამოგხდეთ, მაინც უნდა იმუშაოთ“**, ასე მსჯელობს „პატიოსანი“ ზედამხედველი. პატიმრებიც მუშაობენ, სანამ არაქათ-გამოლეულნი არ დაეცემიან მიწაზე. საკმარისია ვინმემ წუთით შესწყვიტოს მუშაობა, მას, როგორც ურჩს, გაასამართლებენ.. ჩასვამენ საკანში.

ო, ეს საკანი! ეს, ხომ ნამდვილი საფლავია! ეს, ხომ აკლდამაა უსინათლო, საშინელი და წარმოუდგენელი.

პატიმრები მუშაობენ განაკვეთებზე, განაკვეთის დროს ყურადღება არ ექცევა ინდივიდუალურ შესაძლებლობას. სამუშაოს უმატებენ ზედა ხედველების შეხედულების მიხედვით. ამრიგად არის შემთხვევა, როდესაც განაკვეთის დამუშავებას ვერ ასწრებს პატიმარი, მას სჯიან... ის ისჯება მანამ, სანამ საკანიდან საავადმყოფოში არ წაიღებენ უგრძნობელს და ცოცხალ მკვდარს. აქედან ის ბრუნდება, აძლევენ დაკლებულ განაკვეთს, ან სრულიად ანთავისუფლებენ სამუშაოდან... სამაგიეროდ ის უკვე დამახინჯებულია, მოქანცული და სასიცოცხლო ნიშან-

იმ ხანებში, როდესაც მე ვმუშაობდი კლერვოსკის ციხის ჩულქის საქსოვ სახელოსნოში, 154 ამხანაგიდან, რომლებიც ჩემთან ერთად მუშაობდენ, 112 იყო დასჯილი ნაკლებ ნაყოფიერად მუშაობის გამო. ყველა ისინი დასჯილი იყვნენ სამხედრო სასამართლოს მიერ. ვერავინ ვერ დაიჯერებს, რომ ასეთი ხერხები თითქმის ყველა ციხეში არ იყოს შედეგი შეგნებით გატარებულ წესის, რისი აზრია: **„რაც ნაკლები გამოვა პოლიტიკურთაგანი ციხიდან, მით უკეთესი“.**

არც ერთ შრომის ინსპექტორს არ შეუხედნია ციხის სახელოსნოებში. ცხოველთათვის არსებობს: **ცხოველთა მფარველი ხაზოგადოება,** პატიმართათვის მხოლოდ ერთი „დამცველი“, ეს არის ცენტრალური ციხის კანტროლი, მოხელე, რომელიც ყოველთვის იქ იმყოფება. მის მოვალეობას შეადგენს გასწიოს პატიმრების მაგიერ შუამდგომლობა ციხის უმფროსთან, იყოს მათი დამცველი; მაგრამ ამავე დროს ის არის მისი (უფროსის) თანაშემწე და მოადგილე. როგორც ასეთი, უფროსის არ ყოფნის დროს, ის მეტ სიმკაცრეს იჩენს და უმოწყალოდ სჯის პატიმრებს.

ერთ-ერთი თვალსაჩინო საწარმოო ციხეში იყო ფოლაქების დასამზადებელი სახელოსნო. მუშაობის დროს დგება ისეთი საშინელი მტვერი, რომ საბრალო ტუსაღებს მთელი კვირაობით ახველებთ. მართალია, ამ სახელოსნოებში ათავსებენ ე. წ. **„მტვრის მყლაპავებს“,** მაგრამ ისინი იმდენად სუსტი გამოდგენ, რომ საქმეს ვერაფერს შველიან. იცის რა ყველაფერი ეს, კლერვოსის ციხის უფროსი აქ აგზავნის ყველა ახალგაზრდა პატიმარს ე. ი. ყველა იმათ, ვინც უფრო ჩქარა და ადვილად ითვისებს ჭლექს.

თითქმის ყველა დაპატიმრებულთ, რომლებიც თვალსაჩინო როლს თამაშობენ სინდიკატებში ან რევოლიუციონურ ორგანიზაციებში, გზავნიან ამ დამღუპველ და გამანადგურებელ სახელოსნოში. აქვე სრულიად შემთხვევით (ყველაფერი შემთხვევით?) მოხვდენ ჩემი საუკეთესო ამხ. მეზღვაურები და რამოდენიმე ჯარის-კაცები, რომლებიც მონაწილეობდენ ადესის აჯანყებაში.

მექანქანეებად ირჩევენ ჯაშუშებს, მათ პროფესიონალურ უვარგისობას ყურადღება არ ექცევა, ასე რომ მუშაობა მიმდინარეობს სერიოზულ მუქარის, უბედურებისა და შიშის ქვეშ.

ციხის კედლებს ამშვენებს შემდეგი განცხადება: პატიმარი, რომელმაც სახელოსნოში მუშაობის დროს მიიღო ჭრილობა, ან დასახიჩრდა, საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ სასტიკად იქნება დასჯილი!!! თავის-თავად ცხადია, არც სახელმწიფო, არც მწარმოებელი მილიონერი გროშსაც არ იხდის დასახიჩრებულთა სასარგებლოდ. გონივრულად შედგენილი ოქმი, ცრუ მოწმეების მიერ ლაბაზად ხელმოწერილი, ყოველთვის აკანონებს და ადასტურებს, რომ ტუსაღმა წინასწარი მოფიქრებით შეიძინა ისეთი მშვენიერება, როგორიც არის ხელის თითების წაგლეჯა, ან მკლავის სავსებით მოჭრა...

სადილობის დროდ დაწესებული იყო დილის 9 და საღამოს 4 საათი. ციხის უფროსები, მწარმოებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, აგრძელებდენ ამ დროს დილის 12 საათამდე და საღამოს 6-დე, რათა გაედიდებიათ სამუშაო საათები. მიუხედავად იმისა, რომ საბრალო ტუსაღები 12 საათის განმავლობაში მშიერი კუჭით

ციხის მუშაობის მთელი ორგანიზაცია აშენებულია შემდეგ პრინციპზე: **გამოსწოვონ პატიმრებს რაც კი შეიძლება მეტი ძალლონე, თუნდაც ეს მათ დალუპვისაკენ მიაქანებდეს.**

1915 წ. საფრანგეთის ციხეები გაივსო სამხედრო სასამართლოს მიერ გასამართლებულებით. ისინი სრულიად განსაჭვრეტელი, წინასწარ დაწესებულ ვადით ისხდენ, მაგრამ სატუსაღო გადაიქცა მონების ყაზარმად. ტყვეებიდან ცდილობდენ გამოეწუწკნათ მეტი სარგებლობა, სანამ მათ ან ავადმყოფობა, ან განთავისუფლება არ გამოგლეჯდა ხელიდან ციხის ადმინისტრაციას.

მე ხშირად ვესაუბრებოდი სისხლის სამართლის დანამშავეებს, რეციდივისტებს. ისინი ერთხმად ადასტურებდენ უკანასკნელ ხანებში ძველად ციხის ჯოჯოხეთად გადაქცევას. დოვსენს ციხე სანატორიას წარმოადგენდა სხვა დანარჩენ ციხეებთან შედარებითო მიპასუხებდენ ისინი.

ამრიგად, თუ ომამდე სისხლის სამართლის დამნაშავეს შეეძლო ეფიქრა სასჯელის მოხდის შემდეგ განთავისუფლებაზე, ახლა პოლიტიკური, რომელსაც მისჯილი აქს კატორღა, თუ ცოცხალი გამოვიდა ციხიდან, გამოვა სავსებით გახრწნილი, შელახული ორგანიზმით, რომელსაც გამშრალი აქვს სიცოცხლის ნიშან-წყალი...

ა. მარტი.

—:—

ოსმალეთი

გაძლიერებული ბრძოლის დროს, როდესაც ოსმალეთის ახალგაზრდა ბურჟუაზია ძალა-უფლებისაკენ მიისწრაფოდა, ბურჟუაზია სოციალისტური ორგანიზაციების ლეგალური მუშაობის „თავისუფლებას“ იძლეოდა. ოსმალეთის მუშები თავიანთი რევოლიუციონური პროფკავშირებისა და პარტიული (კომუნისტური) ორგანიზაციების სახით გამოდიოდენ ბურჟუაზიასთან ერთად რეაქციის საწინამდეგოდ, ქვეყნის ნაციონალურ აღორძინების დროშის ქვეშ.

მუშათა ორგანიზაციებმა მრავალი შრომა და ენერგია შესწირეს დღევანდელ ოსმალეთის მმართველთა განმტკიცებას. როდესაც ბურჟუაზია იმყოფებოდა გადამწყვეტ მომენტში-დაპირებებს იძლეოდა, მაგრამ როდესაც რეაქცია იქნა დაძლეული, ბურჟუაზია დარწმუნდა, რომ კომუნისტებისა და მუშებისაგან ვერავითარ სიკეთეს ვერ მიიღებდა... მთავრობის პოლიტიკა თვალსაჩინოდ შეიცვალა. დაპირება დაპირებად დარჩა, სინამდვილეში კი კომუნისტები გამოაცხადეს „სახელმწიფოს მოღალატეებად“. შეუდგნენ წითელ პროფინტერნის სექციების ლიკვიდაციას, კიდევ მეტი, დაიწყო კომუნისტების საშინელი დევნა.

ჯერ კიდევ 1921 წელს ოსმალეთის ბურჟუაზია თავს დაესხა მხეცური რეპრესიებით კომპარტიას ანგორაში და მცირე აზიაში შეიპყრეს 300 მეტი კომუნისტი. შემდეგ **„ნაციონალურ ზეიმის“** ქალაქში—სტამბოლში შეიპყრეს 16 კომუნისტი, რომლებიც ზღვაში დაახრჩვეს. ბერძნებზე გამარჯვების შემდეგ რეპრესიების უკანმობელი ტალღები ეკვეთა სმირნის ფრონტზე მოღუშავე კომუნისტებს. ჩაყარეს ციხეებში 90 ამხანაგი, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ამხ. **ხაგლუ იგლუ სამოხი.**

ქემალის მიერ სტამბოლის აღება დაკავშირებული იყო მთელ რიგ მკაცრ ზომებთან, რომლებიც შემოშალეს

ზაციებისაგან გასაწმენდად. მოსპეს პროფინტერნის სექცია, რომელიც აკავშირებდა სტამბოლის 30.000 მუშას. 1923 წ. მაისში მომხდარ აფეთქების მსხვერპლი გახდა პროფინტერნისა და კომუნისტურ ბიუროს 20 აქტიური მომუშავე. დაპატიმრებულთ ულეტდნენ. შექმნეს „სახელმწიფოს მოღალატეების“ უდიდესი პროცესი. მრავალი პატიმრები გამოუძიებელნი და გაუსამართლებელნი წლობით სხედან.

ქემალის თეთრი ტერორი დღესაც გრძელდება. მისი სიმხეცე დღითი-დღე იზრდება და მატულობს. სრულიად არ არსებობს მუშათა კანონმდებლობა. დანგრეული და განადგურებულია წითელი ფროფკავშირები. სამაგიეროდ ამსტერდამის ყვითელ ინტერნაციონალის (ბურჟუაზიის ერთგ ლ მეგობრების) პროფკავშირები სარგებლობენ ხელისუფალთა მხრით განსაკუთრებული ყურადღებით.

მუშებისათვის 10 კაცამდე ერთად თავის მოყრა სასტიკად აკრძალულია. ყველა აქტიური მომუშავეები იმყოფებიან პოლიციის სასტიკ ზედამხედველობის ქვეშ, გაფიცვებს აქრობენ შეიარაღებული ძალით. სასტიკად იდევნება ნაციონალიზმის საწინააღმდეგოდ წარმოებული ყოველგვარი აგიტაცია—პროპაგანდა. მუშათა ინტერესების დამცველი ჟურნალ გაზეთები სრულიად არ არსებობს, დახურულია.

ღარიბ-ღატაკთა მასსებით გაჭედილი ციხეები წარმოადგენენ ისეთ საშინელებას, რომლის მსგავსი დედამიწის არც ერთ კუთხეში არ მოიპოება. ციხე ნაგავთა და სიდამპლეთა ნამდვილი საკუჭნაოა. ასეთი ციხეებით მოფენილია ოსმალეთის ყველა სამაზრო და საგუბერნიო ქალაქები. ციხის „კამერა“ ვიწროა, ბნელი და ნესტიანი. იატაკზე, ტალახში და სიბინძურეში ყრია პატიმრები. დღიური საზრდოა მხოლოდ 500 გრამი პური. აბანოს ორ თვეში ერთხელ აღირსებენ, ზოგჯერ ისიც სანატრელია. საიზოლიაციო კამერები წარმოადგენენ ნაგავთა ორმოს, ბაღლინჯოების ბუდეს. აი ის მშვენიერი „ოთახები“, რომლითაც უმასპინძლდება ბურჟუაზია მებრძოლ რევოლიუციონერებს.

ოსმალეთის ბურჟუაზია ძლიერ მკაცრად ეპყრობა მუშათა მოძრაობას, ხშირად თავისი სისასტიკითა და ველურობით ძალზე აჭარბებს ევროპის კულტურულ სახელმწიფოების „განათლებულ“ ჯალათებს.

„ნახევარი მთვარის“—ოსმალეთის ქვეყნის პროლეტარიატი, ოსმალეთის მუშათა კლასი იმედებს მაინც არ კარგავს. იცქირება აღფრთოვანებით და იმედებით ჩრდილოეთისაკენ, წითელ ვარსკლავის შუქით მოვარაყებულ ქვეყნისაკენ... ბედნიერებისა, ნეტარების და განთავისუფლების მოლოდინში მხნედ, მტკიცედ, შეურყეველის ნებით, ერთის რწმენით ემზადებიან კაპიტალზე მომავალ ბრწყინვალე გამარჯვებისათვის.

გ. კი.

—:—

ესტონეთი.

„149“ და ესტონეთის ჯალათები.

რეველის საოლქო სასამართლოში ირჩევა 149 ბრალდებულთა საკითხი, მათ ბრალდებათ კომუნისტურ პარტიის წევრობა და „კომინტერნის დირექტივების გატარება“.

საქმის „გარჩევა“ სწარმოებს ყოველგვარ დამცველ-

დანიშნა თვით სასამართლო უწყებამ, ბრალდებულებმა უარი სთქვეს, ს. ს. რ. კ.-დან მათ მიერ მოწვეული დამცველები კი სასამართლომ არ დაუშვა.

საქმე სწარმოებს თითქმის დახურულ კარებში. ესწრებიან მხოლოდ ბრალდებულთა ნათესავები 120 კაცის რაოდენობით.

პროცესის დასაწყისში ერთ-ერთმა ბრალდებულმა **იან ტომპმა** (სახელმწიფო კრების ყოფ. წევრია) განაცხადა, რომ ის არ სცნობს ამ სასამართლოს და რომ შორს არ არის ის მომენტი, როდესაც ეს „სასამართლო“ თვით წარსდგება ნამდვილ რევოლიუციონურ სასამართლოს წინაშე. ამის გამო აბხ. ტომპი დაუყონებლივ გადაცემულ იქნა სამხედრო-საველე სასამართლოზე, რომელმაც მიუსაჯა მას სიკვდილით დასჯა. განაჩენი ორ საათში დამტკიცებულ იქნა სამხედრო მინისტრის მიერ და მოიყვანეს კიდეც სისრულეში.

ეს წარმოადგენს ისტორიაში ჯერ გაუგონარ დარღვევას კანონმდებლობისას არა მარტო დემოკრატიული თვალსაზრისით, არამედ იმ მეფის კანონების თვალთახედვითაც, რომლებიც დღესაც მოქმედებენ ესტონეთში. პროცესუალური წესის ეს დარღვევა არ შეიძლება აიხსნას სხვა გვარად, თუ არა აბხ. ტომპის მოცილების სურვილით, რომელსაც შეეძლო თავისი ჩვენებებით ბურჟუაზიულ სასამართლოს არა-სასიამოვნო მდგომარეობაში ჩაყენება.

ასეთი შემთხვევები ესტონეთში ხშირია.

არც ისე დიდი ხნის წინ ესტონეთის მთავრობამ, აშკარათ, მთავრობის ტრიბუნიდან გამოაცხადა კომუნისტ **კრეუკსის** დახვრეტა ოხრანკის აგენტის მიერ „მალალ პატრიოტულ“ აქტათ. გასული წლის აპრილში მოკლულ იქნა კომუნისტი ტომსონი, რომელიც ს. ს. რ. კ.-სა და ესტონეთის მთავრობის შორის მიღწეულ შეთანხმებით ექვემდებარებოდა ამნისტიას და უნდა ყოფილიყო გადაცვლილი ჩვენ მიერ დატყვევებულ ესტონეთის თეთრგვარდიელზე.

უკანასკნელი დეპეშები გვაცნობებენ მთელ ესტონეთში მუშების მასიურ დაჭერებზე, რომელიც ხდება შინაგან საქმეთა მინისტრ ეინბუნგის განკარგულებით. მზადდება ახალი პოლიტიკური პროცესები.

—:—

ჩვენ ღამეგულ ამხ. ტომპის ბიოგრაფია

ესტონეთის კომპარტიის წარმომადგენელი ამხ. რიასტასი, რომელიც პირადათ იცნობდა წასულ კვირეებში ესტონეთის ბურჟუაზიის მიერ დახვრეტილ ამხ. იან ტომპს, შემდეგ დაწვრილებით ცნობებს გვაძლევს ამ გმირის ცხოვრების შესახებ:

ტომპი იყო 29 წლის კაცი. მან გაათავა პირველდაწყებითი სკოლა. ამხ. ტომპი პირველად სოფლის მუშა იყო. შემდეგ მუშაობდა ქ. ფელინის (ესტონეთი) ქარხნებში მელითონეთ. 1918 წლამდე ამხ. ტომპი პოლიტიკაში არ ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას. მისი რევოლიუციონური მუშაობის დასაწყისი უკავშირდება ესტონეთის დამოუკიდებლათ არსებობის პირველ ხანებს. 1920 წ. ის წამოყენებულ იქნა ფელინის პროფორგანიზაციების მიერ კანდიდატათ სამაზრო თვითმართველობაში. ამის შემდეგ ის დატუსაღებულ იქნა და იყოფებოდა ციხეში ერთი წელი გამოძიების დამთავრებამდე. 1921 წ. ამხ. ტომპს

ში, არსებული წესწყობილების ჩამოგდების ცდაში და სხ. მაგრამ სასამართლომ ეს ვერ დაამტკიცა და გაანთავისუფლა.

1922 წ. ამხ. ტომპი წამოაყენეს რეველის მუშებმა ესტონეთის პარლამენტში (სახელმწიფო კრება) კანდიდატათ. ტომპი არჩეულ იქნა. ე. წ. „მშრომელთა გაერთიანებულ ფრონტის“ (მუშათა, მოსამსახურეთა და სხ. კოა-

ამხ. ი. ტომპი.

ლიცია) სიით. პარლამენტში ტომპმა, ალიკმა და რეზენმა დააარსეს კომფრაქცია. ტომპი იყო ამ ფრაქციის თავმჯდომარე და იმავე დროს პროფკავშირების საბჭოს თავმჯდომარეც ესტონეთში.

უკანასკნელ პროცესის დროს ტომპს ბრალს სდებდენ იმაში, რომ ვითომ მან სხვასთან ერთად „მიიღო მონაწილეობა კონგრესებზე, კონფერენციებზე და სხ. ესტონეთში პროლეტარული რევოლიუციის შეგნებულად მომზადებისათვის, თანახმად კომინტერნის და ესტონეთის კომპარტიის დადგენილებისა“. გარდა ამისა მას ბრალი ედებოდა იმაში, რომ „მონაწილეობას ღებულობდა ესტონეთის პროფკავშირების ყრილობაზე, სადაც საფუძვლად ღებულობდა პროფინტერნის თეზისებს, რომლის თანახმად (ყურადღება მიაქციეთ ბურჟუაზიულ სასამართლოს ფორ ულიროვკას) არა კომუნისტურ სახელმწიფოებში, მათ რიცხვში ესტონეთშიდაც, ძალით უნდა იქნეს ჩამოგდებული არსებული წესწყობილება და დაწესდეს პროლეტარიატის დიქტატურა“.

პროცესის დროს სასამართლოს თავმჯდომარის პასუხზე—სთვლის თუ არა ის თავს დამნაშავედ—ამხ. ტომპმა უპასუხა: „ბურჟუაზიულ არამზადების სასამართლოს წინაშე მე თავს დამნაშავედ არ ვცნობო“. თავმჯდომარემ მაშინვე გასცა განკარგულება გაეყვანათ ის დარბაზიდან. დარბაზიდან გასვლის წინ ამხ. ტომპმა დაიძახა: „გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებასო“. ამხ. ტომპი დახვრიტეს 14 ნოემბერს ღამით.

ესტონეთის ბურჟუაზიამ სწორეთ მიაგნო თავის მსხვერპლს. ამხ. ტომპი ნამდვილი პროლეტარული მებრძოლი იყო. მან თუმცა დაბალი განათლება მიიღო, მაგრამ კლასიური ინსტიქტი იქამდე ქონდა განვითარებული, რომ თავის გადაწყვეტილებებში ის არასოდეს არ ცდებოდა. ამხ ტომპის მიერ აღებული ხაზი ყოველთვის მტკიცე-კლასიური იყო და არ გავდა მასზე უფრო განათლებულ რევოლიუციონურ ინტელიგენციის ხაზს.

ამხ. ტომპი იყო, უფრო მეტად. კარგი ორგანიზატორი და დიდი გავლენა ჰქონდა მუშათა წრეებში. ერთ ხანს რეველის მუშები ყოველ საქმეში მას მიმართავდენ ხოლმე. ორატორი არ იყო, მაგრამ მისი ერთი სიტყვა საკმაო იყო საქმის გადასაჭრელად. იგი დაჯილდოებული იყო ბუნების მიერ ღრმა ტალანტით. მან ყველა გააკვირვა თავის სწრაფი განვითარებით რამდენიმე წლის განმავლობაში. ის იყო მუშათა კლასის საყვარელი ამხანაგი და მისი მომავალი რევოლიუციონური ბელადი. ტყუილად არ სძულდა ის ბურჟუაზიას და უწოდებდა მას პარლამენტში და პრესაშიდაც „ფანატიკოსს“.

რუმინეთის ერთ-ერთი ციხის კარცერი.

საფრანგეთი.

საფრანგეთის სექცია ენერგიულად შეუდგა საფრანგეთში **რემედას**-ის მასიურ ორგანიზაციის მოწყობას, საოლქო და ადგილობრივ კომიტეტების დაარსებას. ახლო მომავალში ის გამოსცემს ფრანგულ ენაზე ბიულეტენს ალმასკომის მუშაობის შესახებ და სხვა და სხვა წიგნაკებს საბჭოთა რუსეთში **რემედას**-ის მუშაობაზე, **რემედას**-ის მიზნებზე, თეთრ-ტერორზე და სხვ.

ამ ჟამად სექციის მოღვაწეობა ვრცელდება ბელგიაზედაც, მაგრამ ახლო მომავალში ბელგიაშიც იქნება დაარსებული **რემედას**-ის დამოუკიდებელი სექცია.

საფრანგეთის სექციის მთავარი ლონისძიება მოხმარდა იტალიის, ბელგიის, სამხრეთ სლავიის, პოლონეთის და სხვა მხრებიდან თეთრი ტერორის საშინელებით გამოქცეულ პოლიტ-ემიგრანტების მოწყობასა და მფარველობას. ამასთან ერთად საფრანგეთის სექციამ დახმარება გაუწია საფრანგეთის რეაქციის მსხვერპლთ გერმანელების ოკუპაციურ ოლქებში.

რემედას-ის საფრანგეთის სექციის ლოზუნგია: 1925 წლისათვის 200 ათასი წევრი და ათასი ადგილობრივი კომიტეტი. დარწმუნებული ვართ, რომ ეს ლოზუნგი გატარებული იქნება ცხოვრებაში.

ბალკანეთი.

ბალკანეთის კომუნისტურ ფედერაციის VII ყრილობაზე, რომელიც შეიკრიბა ივლისში, იქნა ამორჩეული **რემედას**-ის ბალკანეთის ბიურო, რომელსაც დაევალა შემდეგი: 1) იყოს შემაერთებელი ორგანიზაცია **რემედას**-ის ალმასკომსა, ფედერაციასა და ბალკანეთის კერძო ქვეყნებთან, 2) მუშაობა კომუნისტური ფედერაციის პრეზიდიუმის თანამშრომლობით და კანტროლით. უნდა მიიღოს და დროზე გადააგზავნოს დახმარება საერთანადო ორგაონების განკარგულებაში, 3) დევნილ რევოლიუციონერთა შორის დახმარების განაწილებას გაუწიოს კანტროლი, 4) შეიძინოს და გაავრცელოს **რემედას**-ის ლიტერატურა ბალკანეთის ენაზე მხარეებში, 5) აწარმოოს მუდმივი ორგანიზაციული მუშაობა ბალკანეთის ქვეყნების **რემედას**-ის სექციებში.

ბიურომ უკვე დაიწყო მუშაობა.

სლავია

ივლისში შესდგა **რემედას**-ის საოლქო კომიტეტი. შექმნას ადგილობრივი კომიტეტები იქ, სადაც ასეთები ჯერ არ არსებობენ; შეაკავშიროს ფაბრიკა-ქარხნების **რემედას**-ის უჯრედები, გახადოს სავალდებულოდ დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წევრებისათვის **რემედას-ის** წევრობა.

მიუხედავად ყველა სიძნელეთა და რეპრესიებისა, სლავიის **რემედას**-ი იზრდება, რასაც ამოწმებს ის ფაქტი რომ შემოწირულებათა რაოდენობა დღითი დღე მატულობს.

ბულგარეთი

უკანასკნელ ხანებში **რემედას**-ის სექციას დასჭირდა ძლიერ გაეფართოებია შუშაობა, აჯანყებაში დახოცილთა ოჯახებისთვის და მრავალ-რიცხოვან პატიმრებისათვის—კომუნისტებისათვის და გლეხთა კავშირის წევრებისათვის დახმარების გაღებით.

ეს ამოცანა იყო მეტად მძიმე იმ ქვეყანაში, სადაც მძვინვარებს რეაქცია და სადაც საჭიროა დახმარების გაცემა არა მარტო ფულის სახით, არამედ თავშესაფარის მიცემა დევნილ ამხანაგებისათვის, დახმარება მრავალრიცხოვან ემიგრანტებს, მთელი ოჯახების გადასახლება, მთავრობის ჯარების მიერ დახოცილ გლეხების ოჯახებისათვის დანგრეულ ქონების აღდგენა და სხვ. ყველაფერი ეს კეთდება ბულგარეთის სექციის მიერ, მაგრამ, რასაკვირველია, არა სავსებით, რადგანაც არაა იმის საკმაო შეძლება, რომ დაკმაყოფილებულ იქნეს ყველა მოთხოვნილებები.

ამიტომაც მოხდა, რომ **რემედას**-ის ალმასკომმა გადასწყვიტა ბულგარეთისათვის განზრახულ თანხის 8.000 დოლარამდე გადიდება, ხოლო ერთდროულად 2.000 დოლ. გაგზავნა.

პალესტინა.

პალესტინაში ინგლისელ მმართველთა რეპრესიების გამო „მუშათა ფრაქციის“ წინამდეგ, დაარსდა **რემედას**-ის სექცია, რომელმაც ჩაატარა პოლიტიკურ ტუსაღთა დასაცავად მასსიური კამპანიები. ორი თვის განმავლობაში სექციამ მოაგროვა 50 გირ. სტერლინგი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანხა მხოლოდ მუშათა შორის შეიკრიბა. შემდეგ, **რემედას**-ის სექციის მუშაობის წყალობით, „მუშათა ფრაქციის“ დატყვევებულ წევრებმა, რომელთაც მისჯილი ქონდა პალესტინიდან გადასახლება, მოიგეს პროცესი მეორე ინსპექციაში.

სამართლების პროცესი დაიწყება ახლო მომავალში და რომელსაც ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა მუშათა მოძრაობის გაღრმავებისათვის

ი ტ ა ლ ი ა.

1923 წ. აპრილიდან არსებული **რემედას**-ის იტალიის სექცია მუშაობს ნახევრად ლეგალურ პირობებში. ყველა მთავარ და ღირსშესანიშნავ სამრეწველო ცენტრებში მან დააარსა საოლქო კომიტეტები, რომლებიც აგროვებენ ფულს და ანაწილებენ დაპატიმრებულთა და მათ ოჯახებს შორის.

მიუხედავად სასტიკი ეკონომიური კრიზისისა და უმუშევრობისა—უკანასკნელ ხანებში კომიტეტებმა შეაგროვეს საკმაო თანხები, მაგ. ტურინის კომიტეტმა შეაგროვა—14.500 იტ. ლირა, მილანის კომიტეტმა—15.000 იტ. ლირა—ეს ივნისში და ივლისში. ახლა ხდება იტალიაში სექციების რეორგანიზაცია ახალ საფუძველზე,—რომელიც გამოიმუშავა **რემედას**-ის საერთაშორისო 1-მა კონგრესმა. არის მუდმივი საწევრო გადასახადების შეტანა, ეწყობა ყველგან კომიტეტები და ფაბრიკა-ქარხნების უჯრედები. კომპარტიამ, რომელიც ძლიერ სერიოზულად ეპყრობა **რემედას**-ის მუშაობას და მთელი ძალღონით ეხმარება მას, გამოყო პარლამენტის კომუნისტურ ფრაქციიდან დეპუტატი, რომელსაც დაავალა იმგზავროს ყველა კომიტეტებში მათი მუშაობის საკანტროლოდ, შეიაროს ციხეებში, სადაც სხედან პოლიტ-ტუსაღები, გამოიკვლიოს, ღებულობენ თუ არა ტყვეები გადაგზავნილ დახმარებას.

რემედას-ი საქართველოში

რემედას-ის სრულიად საქართველოს პირველი კონფერენცია.

1924 წ. 15—17 ოქტ.

რემედას-ის სრულიად საქართველოს პირველი კონფერენცია გაიხსნა რუსთაველის თეატრში.

გახსნას დაესწრენ: სრულიად საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრები, რემედას-ის აღმასკომის წარმომადგენელი ამხ. **კრამაროვი** და ინსტრუქტორი ამხ. **ბლუმენაუ**, პარტიული, პროფესიონალური, საბჭოთა და მუშათა ორგანიზაციების ათი წარმომადგენელი და პრესის წარმომადგენლები.

იყვნენ დელეგატები 20 მაზრიდან. კონფერენციაზე არ იყვნენ წარმოდგენილი: აბხაზეთის, რაჭის და ახალციხის ორგანიზაციები.

კონფერენცია გახსნა რემედას-ის საქართველოს რწმუნებულმა ამხ. ა. კვირიკაძემ, რომელმაც მოუწოდა დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი ეცათ რევოლიუციისათვის მებრძოლ გმირებისა და **ლენინის** ხსოვნისათვის.

არჩეულ იქნა კონფერენციის პრეზიდიუმი: ამხ. გეგეჭკორი, რუხაძე ლენტორ, კვირიკაძე არტემი, ესსენი, რუხაძე არჩილ, პაპოვი, მუშიშვილი გ., ხახანო ი, ჯაიანი, კოსტანიანი, ბლუმენაუ, გალიპხაევ, ვასილენკო, სოლოგაშვილი ტფილისიდან, ადგილებიდან: ჯიჯაძე, ჭანკვეტაძე, გულუა, მამფორია, ჟღენტი, ვერზეული, ბახტაძე, მოსიაშვილი, მესროპოვი, ჭანკიევი და პოპოვასი.

პრეზიდიუმის საპატიო წევრებად არჩეულ იქნენ ამხანაგები: ზინოვიევი, ტროცკი, სტალინი, კრამაროვი, ლეპეშინსკი, მარტი, მიუზამი, კაბაკჩიევი, კირკოვი, ცხაკაია, მახარაძე, ორჯონიკიძე, სტურუა ვ., ორახელაშვილი მამია, ჩოდრიშკილი მიხა, რუბენ, ცეტკინა კ. და მ. კახიანი.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ გამომუშავებულ იქნა რეგლამენტი. რეგლამენტის მიხედვით კონფერენციის მუშაობა სწარმოებდა დილის 10 ს-დან 3 საათამდე და საღამოს 6-დან 9 საათამდე.

კონფერენციას მიესალმენ: 1. ამხ. კრამაროვი—რემედას-ის აღმასკომი, 2. ამხ. ... ქართვ. კომ. პარტიის ცეკას, ცენტრალურ აღმ. კომიტეტის და საქ. სახ. კომისართა საბჭოს სახელით, 3. რუხაძე ღ.—საქ. განათლების სახალხო კომისარიატის სახელით. 4. რუხაძე არჩ.—პოლიტკატორღელების სახელით, 5 ელისაბედაშვილი—ტფილისის კომიტეტის სახელით, 6. ნუცუბიძე გალ.—სახელმწიფო უნივერსიტეტისა და წითელ ჯვრის საზოგადოების სახელით, 7. იორამაშვილი—ქალაქის აღმასკომის სახელით, 8. ბერიძე—მუშკორების სახელით, 9. ცინცაძე კულტმომუშავეთა—კავშირის სახელით, 10 გალიპხაევი და ზაკსი—მთავარსახელოსნოების მუშების სახელით, 11. კაზაროვი და მუხაძე—პიონერების სახელით.

შემდეგ კონფერენცია შეუდგა თავის მუშაობას იმ გეგმით, რომელიც გამომუშავებული იყო რემედას-ის სრულიად საქართველოს პრეზიდიუმის მიერ და რომელიც იქნა კონფერენციის მიერ დამტკიცებული, სახელდობრ: 1. მოხსენება რემედას-ის აღმასკომის წარმომადგენელისა, 2. რემედას-ის სრულიად საქართველოს ანგარიშები, 3 მოხსენება ადგილებიდან, 4. რემედას-ის სრულიად საქ. განყოფილების მორიგი ამოცანები, 5. ცენტრალურ ორგანოების არჩევნები, 6. მიმდინარე საკითხები.

თავის მოხსენებაში საერთაშორისო მდგომარეობაზე და რემედას-ის საერთო ამოცანებზე, **რემედას**-ის აღმასკომის წარმომადგენელმა ამხ. **კრამაროვმა** ნათლად და ასურათა მუშათა კლასის, კერძოთ რევოლიუციისათვის მებრძოლთა და ოჯახების მძიმე და აუტანელი პირობები კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამხ. კრამაროვის განცხადებით, ბურჟუაზიულ ციხეებში დამწყვდეულ მებრძოლთა რიცხვი უდრის 100,000. მათი ოჯახის წევრთა რაოდენობა აღემატები 100,000 სულს.

საერთო ამოცანებზე გადასვლის დროს ამხ. კრამაროვმა აღნიშნა, რომ მატერიალური დახმარება რემედას-ის ნაწილობრივი ამოცანაა, ძირითადი მუშაობა კი იდეიური დახმარებაა, გამხნევებაა რევოლიუციისათვის მებრძოლების. ამისათვის საჭიროა ჩვენს ორგანიზაციებში ფართე მასსის ჩათრევა, პროპაგანდა-აგიტაციის საშუალებით. შემდეგ ამხ. კრამაროვმა ილაპარაკა რემედას-ის აპარატზე. მომხსენებელმა გააცნო დელეგატებს, რემ...

ორგანიზაციულ ხარჯებს, სხვა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნების ციხეებში დაპატიმრებულ ამხ. დასახმარებლად გადაგზავნილ ფულის რაოდენობას, რემედას-ის აღმასკომის გამომცემლობას. ამხ. კრამაროვმა აღნიშნა ორი მომენტი: საპროტესტო კამპანია თეთრი ტერორის წინააღმდეგ და რემედას ის კვირეულის ჩატარება.

მოხსენების შემდეგ ამხ. კრამაროვს მისცეს რამოდენიმე შეკითხვები; მაგ.—აქვს თუ არა II ინტერნაციონალს ისეთი ორგანიზაცია, როგორიცაა რემედას-ი; რამდენია დაპატიმრებული თითოეულ ქვეყანაში; როგორი წესით იგზავნებათ კაპიტალის ტყვეებს დახმარება; აღწევს თუ არა ის დანიშნულ ადგილებს; იციან თუ არა ბურჟუაზიულმა მთავრობებმა ამის შესახებ რამე, თუ იციან, როგორ უყურებენ ამას და სხ. ყველა შეკითხვებზე ჯეროვან პასუხის მიღების შემდეგ კონფერენციამ დაადგინა გაეგზავნოს კომინტერნს და რემედას-ის აღმასკომს შემდეგი შინაარსის დეპეშა:

მოსკოვი. კომინტერნს. რემედას-ის აღმასკომს.

„რემედას-ის სრულიად საქ. პირველი კონფერენცია უგზავნის რევოლიუციისათვის მებრძოლთ, რომლებიც იტანჯებიან კაპიტალის ციხეებში, მხურვალე სალამს. ჩვენ, საქართველოს მუშები და გლეხები, დარწმუნებული ვართ, რომ მალე დადგება დრო, როდესაც რევოლიუციონური პროლეტარიატის და გლეხობის შეტევით დაემხობა ბურჟუაზიული წესწყობილება. ყველა ქვეყნებში დაინგრევა ციხის კედლები და მუშათა კლასი კვლავ დაინახავს თავის ფოლადის რიგებში იმ ამხანაგებს, რომლებიც სულს ღაფავენ კაპიტალის ნესტიან ციხეებში. ზიზღი მუშათა კლასის გამყიდველს II ინტერნაციონალს! გაუმარჯოს კომინტერნს! გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების მჭიდრო კავშირს! გაუმარჯოს რემედას-ს!“

ამხ. კრამაროვის მოხსენების გამო კონფერენციამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა მოხსენება ამხ. კრამაროვისა რემედას-ის ამოცანებისა და აღმასკომის მუშაობის ანგარიშების შესახებ, სრულიად საქართველოს კონფერენცია აღნიშნავს დიდს მიღწევებს რევოლიუციისთვის მებრძოლთა დახმარების საქმეში და რევოლიუციონურ სიმტკიცის გამოჩენას მთელი ქვეყნის მუშებში და გლეხებში. კონფერენცია დარწმუნებულია იმაში, რომ რემედას-ის იდეები მიაღწევენ ქვეყნის ყველა კუთხეებამდე და არ დარჩება არც ერთი მშრომელი, რომელიც არ იქნება ჩათრეული რევოლიუციის მებრძოლთა ორგანიზაციაში.

„დეე, იცოდეხ მთელი ქვეყნის ტანჯულ ამხანაგებმა, რომ რემედას-ი დღითი-დღე ძლიერდება, რომ ჩვენ მოვახმართ მთელს ღონისძიებას დავაახლოვოთ საათი, როდესაც დაიმსხვრევა ბორკილები ტყვეებისა და ისინი დადგებიან ჩვენს რიგებში, ახალი სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად.

„ჩვენ წყევლით, ღიზღით და კრულვით ვიხსენიებთ II ინტერნაციონალს, გამცემელს, გამყიდველს—რომელიც ბურჟუაზიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობს მუშათა მოძრაობის ჩასაქოლად.

რემედას-ის სრულიად საქართველოს კონფერენცია მოითხოვს კაპიტალის ტყვეების დაუყონებლივ განთავისუფლებას!

გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების საერთაშორისო სოლიდარობას რემედას ის სახით.“

თეთრი ტეროორის საკითხის შესახებ კონფერენცია მიმართავს საერთაშორისო პროლეტარიატს შემდეგი მოწოდებით:

„რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის სრულიად საქართველოს პირველი კონფერენცია, რომელიც შეიკრიბა ქ. ტფილისში 1924 წ. 15 ოქტომბერს, უგზავნის თავის მხურვალე სალამს კაპიტალისტურ ციხეებში მომწყვდეულ ტყვე რევოლიუციონერებს და საერთაშორისო პროლეტარიატს, რომელიც იბრძვის გაანთავისუფლოს მშრომელი კაცობრიობა კაპიტალის მძიმე უღლისაგან.

„გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის, პოლონეთის ციხეები სავსეა მუშებით და გლეხებით, რომლებიც იბრძვიან გაანთავისუფლონ შრომა კაპიტალის მტაცებლურ თავდასხმისა და კლანჭებისაგან.

„კაპიტალისტები, II ინტერნაციონალის ცრუ სოციალისტების დახმარებით, მიმართავენ სასტიკ ტეროროს ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც იბრძვის მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის და კაპიტალის ბორკილების დასამსხვრევად. მაგრამ ეს ტეროორი, ეს მხეცური მოპყრობა კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენ სიძულვილს საერთაშორისო კაპიტალისადმი.

„მხოლოდ ს. ს. რ. კავშირშია მუშები და გლეხები თავისუფალი. მხოლოდ აქ განთავისუფლდა მუშათა კლასი კაპიტალიზმის ბატონობისაგან. საერთაშორისო კაპიტალიზმი და მისი მაჩანჩალა II ინტერნაციონალი არ ზოგავს არც ფულს, არც ენერგიას, რომ კვლავ მძიმე ჯაჭვებით შეკრან ს. ს. რ. კავშირის განთავისუფლებული პროლეტარიატი. გრძნობენ რა საბჭოთა კავშირის ძალას და მნიშვნელობას კაპიტალისტურ წესწყობილების დამხობის საქმეში, ისინი არ ერიდებიან არავითარ ზომებს, რათა კვლავ დაადვან პროლეტარიატს მონობის მძიმე ბორკილები.

„რემედას ის სრ. საქ. კონფერენცია სასტიკ პროტესტს აცხადებს იმ ტანჯვა-წამების გამო, რომელსაც მიმართავენ კაპიტალისტები და ყვითელი სოციალისტები რევოლიუციის მებრძოლთა წინააღმდეგ. კონფერენცია პროტესტს აცხადებს აგრეთვე II ინტერნაციონალის გმირების მოღალატურ მოქმედებისა და პროვოკაციულ გამოსვლების გამო ს. ს. რ. კ. მუშებისა და გლეხების საწინააღმდეგოდ.

„ჩვენ მოუწოდებთ საერთაშორისო მუშათა კლასს მჭიდროდ შეკავშირებისაკენ, რომ მივიტანოთ ძლიერი და გადამწყვეტი იერიშები მთელი ქვეყნის მუშებისა და გლეხების მოსისხლე მტრებზე.

„ამ ბრძოლაში რემედას-ის სრ. საქართვ. ორგანიზაციები ს. ს. რ. კ. პროლეტარიატთან ერთად იქნება წინა რიგებში, რომ მთელი თავისი ძალღონით დაეხმაროს ყველა ქვეყნის რევოლიუციონერებს კაპიტალიზმსა და მის ლაქიებთან ბრძოლაში. ბურჟუაზიული ქვეყნების მკაცრი და საშინელი სამართალი, ფაშისტური ბანდები, რომლებიც ჟლეტავენ მუშებსა და გლეხებს, უდიდესი დანაშაული ბურჟუაზიულ ხელისუფალთა და II ინტერნაციონალის მუშათა კლასის წინაშე, ყველა ის შურისძიებანი, რომელსაც მიმართავს საერთაშორისო ბურჟუაზია, გვაძლევს საბაბს ფოლადისებური მტკიცე რიგებით წა-

„ჩვენ მოუწოდებთ მთელი ქვეყნის მუშათა კლასს შეამჭიდროს თავისი რიგები კაპიტალიზმთან საბრძოლველად, მის დასამხობად. გვწამს ხალე დაინგრევა საპყრობილეთა კედლები და დაიმსხვრევა კაპიტ. ქვეყნებში მონობის მძიმე ბორკილები.

„ჩვენ მოუხმობთ ყველა მშრომელს დაეხმარონ ყოველმხრივ ტყვე—რევოლიუციონერებს, რომლებიც იტანჯებიან ციხეებში, და განაგრძონ ურყევის ნებით მათი საქმე. ჩვენ მოვითხოვთ კაპიტალის ტყვეების განთავისუფლებას.

ზიზღი II ინტერნაციონალის გაიძვერა ცრუ-სოციალისტებს! ძირს ბურჟუაზიის დიქტატურა! გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომელთა ძმურს კავშირს! გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას! გაუმარჯოს რევოლიუციის მებრძოლთა საერთაშორისო ორგანიზაციას!“

სრულიად საქართველოს განყოფილების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ა. კვირიკაძემ. სრულიად საქ. გ ნყოფილებამ ფაქტიურად 1924 წლიდან დაიწყო მუშაობა. მიუხედავად ზოგიერთი დეფექტებისა მუშაობაში, განყოფილებამ შესძლო იქამდე განევითარებია თავისი მუშაობა, რომ ამ მცირე ხნის განმავლობაში საერთო რიცხვი რემედას-ის წევრებისა აღწევს 40 000 ს. სამაზრო და სარაიონო განყოფილების რიცხვი აღწევს 25-მდე. განყოფილებების შემოსავალი გამოიხატება 70.000 მან-ში. საიდანაც რემედას ის აღმასკომში გადაგზავნილია 62.482 მ. ადგილებს ეგზავნებოდა ინსტრუქციები, ცირკულიარები, ინსტრუქტორები მუშაობს დასათვალიერებლად და აუცილებელ დარიგებების მისაცემად. გამოცემულია პლაკატები, ჟეტონები, საწევრო და საქვითარო წიგნაკები, მოწოდებები, [illegible] 3 № [illegible]

„მედას“-ი 9.000 ეკზემპლიარი. დაიბეჭდა 2 000 ცალი წიგნაკები, 2.000 ბიულეტენი და სხვ. ჩატარებულია 4 კამპანია, სამაზრო კონფერენციები და მოწვეულია პირველი სრულიად საქართველოს კონფერენცია.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მიუხედავად მიღებულ ზომებისა ადგილებმა ვერ შესძლეს რემედას-ის მუშაობაში ჩაეთრიათ საკმაო რიცხვი ახალგაზრდათა, კომკავშირელებისა და აგრეთვე ქალებიც. მომხსენებელი მოუწოდებს დელეგატებს გააძლიერონ მომავალში რემედასის მუშაობა. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს რემედასის აქტიურ მუშაობაში როგორც ქალებისა და კომკავშირელების, ისე ინტელიგენციის ჩაბმასაც.

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა მოხსენება ადგილების მუშაობაზე. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ მუშაობა ფაქტიურად დაწყებულა 1924 წელს, დაახლოებით 6—7 თვით ადრე, ვიდრე კონფერენცია იქნებოდა მოწვეული.



რემედას-ის საქართველოს პირველი კონფერენცია.

მუშაობის შემაფერხებელი იყო მომუშავეების უყოლობა, ლიტერატურის უქონლობა, ზაფხულის პერიოდი (როდესაც გლეხები მუშაობენ), მუშაობაში გამოუცდელობა, ზოგიერთ ადგილებში კი ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოების სიმცირე, უკანასკნელ ხანებში მენშევიკური ავანტიურა და სხ. მიუხედავად აღნიშნულ დაბრკოლებებისა, ადგილებმა მაინც შესძლეს რამოდენიმე კამპანიის და მოხსენებების ჩატარება, შემოწირულებათა შეგროვება, როგორც ფულით, ისე ნატურით, სიტყვიერი თუ ბეჭდვითი აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება.

კონკრეტიულად მაზრების მუშაობა გამოიხატა შემდეგ ციფრებში: რემედას-ის რაიონები—36, იაჩეიკები 237, წევრები—35.240, რომლიდანაც 980 გლეხობაა,

წავლებლობა—341, დანარჩენები კი მუშები და მოსამსახურეებია. შემოვიდა ფულად დაახლოვებით 10.000 მანეთამდე.

ამხ. კვირიკაძესა და ადგილებიდან მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, სადაც გამოირკვა ჯეროვანი კავშირის უქონლობა ადგილებთან, საწევრო გადასახადის სხვადასხვაობა ადგილებში, კომკავშირელებისა და ქალების სუსტი მუშაობა რემედას-ში, ორგანიზაციული ხარჯების სიმრავლე, საკმაო ლიტერატურის უქონლობა, ანგარიშების მოუწესრიგებლობა, რემედას-ის აღმასკომში ფულის გადაგზავნის შეჩერება.

კამათის დასრულების შემდეგ კონფერენციას გამოაქვს შემდეგი რეზოლიუცია:

„რემედას ის საქართველოს კონფერენციამ, მოისმინა რა ამხ. კვირიკაძის მოხსენება რემედას-ის საქ. ცეკას მუშაობის შესახებ, მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად. მომავალში მუშაობის გასაფართოებლად და გასაძლიერებლად კონფერენცია საჭიროდ სცნობს შემუშავეს ცენტრალურ ორგანოს შექმნას, სადაც ჩათრეულ უნდა იქნეს მუშაკები ადგილებიდან, ადგილებთან კავშირის გაძლიერებას, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც პარტიული, ისე პროფკავშირების და საბჭოთა ორგ. აპარატები. საჭიროა მუშაობის გაღრმავება, მისი ორგანიზაციულად წყვანა წინასწარ შემუშავებული გეგმით. საჭიროა მოწესრიგება ხარჯების, როგორც ადგილებში, ისე ცენტრში, გაძლიერება აგიტ-პროპაგანდისა მოხსენებების დაგზავნით, კუთხეების მოწყობით და ლიტერატურის გავრცელებით".

რემედას-ის საქართველოს მომავალ ამოცანების აღნიშვნის დროს მომხსენებელ ამხ. კვირიკაძემ ხაზი გაუსვა ორგანიზაციების არა მარტო მატერიალურად გაძლიერებას, არამედ უმთავრესად წევრების პოლიტიკურად აღრზდას. ის აღნიშნავს, რომ რემედასი არის უპარტიო და დამოუკიდებელი ორგანიზაცია თავის მოქმედებაში.

რემედას-ის წევრებად შეიძლება იყოს ყველა მშრომელი, შემჩნეული პირების, ბურჟუების, მღვდლების, თავადების, მოუსვენარ ელემენტების, თვითმშრომელთა და სხვ გამოკლებით. თავისი სტრუქტურით რემედასის ორგანიზაცია აშენებულ უნდა იქნეს შემდეგ ნაირად: საერთაშორისო მასშტაბით ცენტრალურ ორგანოთ ითვლება აღმასკომი, საქართველოში ცენტრალური ორგანო იქნება რემედას-ის საქართველოს ცენტრალური კომიტეტი, შემდეგ სამაზრო კომიტეტები, რაიონული კომიტეტები, უჯრედები აღმასრულებელი ბიუროებით. სრულიად საქართველოს მასშტაბით კონფერენცია მოიწვევა წელიწადში ერთხელ, მაზრაში ორჯერ. უჯრედების კრება თვეში ერთხელ. პრეზიდიუმის სხდომა უნდა იქნეს მოწვეული კვირაში ერთხელ. საქ რთველოს განყ. ცეკას აქვს უფლება გამოყოს დიდი რაიონები მაზრებიდან და იქონიოს მასთან უშუალო დამოკიდებულება. ანგარიშები წარდგენილ უნდა იქნეს უმაღლეს ორგანოებში შემდეგი სახით: უჯრედები და რაიონები—ყოველთვიურად, მაზრა-მოკლე ანგარიშებს წევრთა მოძრაობაზე და შემოსავალზე ყოველთვიურად, დაწვრილებითი ინფორმაციას კი ორ თვეში ერთხელ. საქართველოს ცეკა უდგენს ანგარიშებს აღმასკომს სამ თვეში ერთხელ.

ყველა მაზრებში უნდა იყოს თითო ტეხნიკური მოქართული წითელი ჯარი უნდა იქნეს გამოყოფილი და უშუალოდ დაემორჩილოს საქართველოს ცეკას.

აგიტ-პროპაგანდის ნაწილში საჭიროა მოეწყოს რემედას-ის კუთხე ბიბლიოტეკა-სამკითხველოებში, აგრეთვე მსხვილ წარმოებებში და დაწესებულებებში. ადგილებში უნდა ხდებოდეს მუშაობის გაშუქება პრესით, რისთვისაც ყოველ განყოფილებაში უნდა იქნეს გამოყოფილი სპეციალურად კორესპონდენტი. საჭიროდ იქნას ცნობილი მონაწილეობის მიღება ყველა კამპანიებში და დემონსტრაციებში, აგრეთვე მოეწყოს საკუთარიც. უნდა გამოიცეს ქართულ ენაზე ჟურნალი ორთვეში ერთხელ, ბიულეტენები თვეში ერთხელ, აგრეთვე წიგნაკებიც ქართულ ენაზე. რუსულ ენაზე ლიტერატურა უნდა იქნეს გამოწერილი მოსკოვიდან. საჭიროა გაძლიერებული მუშაობა კომკავშირელებში, მათგან 100 პროც. უნდა იქმნეს ჩათრეული რემედას-ის მუშაობაში, აგრეთვე ქალები და სოფლის ინტელიგენციაც.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. წამოყენებულ დებულებებში შეტანილ იქნა ზოგიერთი ცვლილებები.

დასასრულ კონფერენცია შეუდგა რემედას-ის საქართველოს ცეკას და სარევიზიო კომისიის არჩევნებს.

ცეკაში არჩეულ იქნენ:

1. ცხაკაია მიხა, 2. სტურუა ვანო 4. გეგეჭკორი ალ. 5. ჩოდრიშვილი მიხა, 6. ოქუაშვილი არაქელა, 7. კოსტანიან გაიკაზ, 8. რუხაძე არჩილ, 9. ჭელიძე, 10. გეურქოვი, 11. ორახელაშვილი მარია, 12. მგელაძე, 13. არაბელოვისა, 14. ბობოხიძე ალექ. 15. მუშიშვილი გ. 16. კვირიკაძე არტემ, 17. ესსენი, 18. პაპოვი, 19. არზუმელაშვილი, 20. ზაკს, 21. ენუქიძე, 22 ბაგდატიევისა, 23. ჯიჯაძე, 24. ზაქარიანი, 25 ჭანკიევი, 26. მამფორია, 27. ფირცხალავა, 28. გურგენიძე, 29. მოსიაშვილი, 30. ალი-ტაგი ზადე, 31. მეიშვილი, 32. გიგოიანი.

კანდიდატებათ:

1. გველესიანი, 2. ვარძიელი, 3. შავლოხოვი, 4. გულუა.

ცეკას პრეზიდიუმში შედიან შემდეგი ამხანაგები: 1. ჩოდრიშვილი მიხა—თავმჯდომარე; 2. კვირიკაძე არტემ—თავმჯდ. ამხანაგი; 3. მუშიშვილი გ.—პასუხისმგებელი მდივანი; 4. ესსენი, 5. ორახელაშვილი მარიამ 6. კოსტანიანი, 7. პოპოვი, 7. რუხაძე, 9. გეურქოვი, 10. ჭელიძე, 11. ზაკსი.

რემედას-ის საქართველოს ცეკას მუშაობის საორგანიზაციო გეგმა და კონკრეტიული ამოცანები.

1. **რემედას**-ის საერთო პრინციპებისა და ამოცანების მიხედვით, საქართველოს ორგანიზაცია თავის ამოცანად ისახავს გაუწიოს მატერიალური და მორალური დახმარება რევოლიუციონურ-კლასიური ბრძოლის მსხვერპლთ ყველა ქვეყნებში, რისთვისაც იგი ცდილობს გააღვიძოს და აქტიურად განავითაროს მშრომელ მასსაში საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობა.

2. ორგანიზაციული მხრით რემედას-ი წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას. თავის მუშაობის დროს იგი ემყარება საკუთარ ორგანიზაციებს და აგრეთვე მშრომელ [illegible] ორგანიზაციებს.

შენიშვნა: რემედას-ის საქართველოს ცეკას აქვს თავისი საკუთარი ბეჭედი. ბეჭედი აქვთ აგრეთვე რემედას-ის სამაზრო კომიტეტებს.

3. **რემედას**-ის მუშაობას საქართველოში საერთო ხელმძღვანელობას უწევს ცენტრალური კომიტეტი. ყველა სამაზრო ცენტრებში არსდება სამაზრო კომიტეტები და, ამ უკანასკნელთა შეხედულებით, რაიონული კომიტეტები. წარმოებებში და დაწესებულებებში არსდება რემედას-ის უჯრედები; ასეთივე უჯრედები არსდება სოფლებშიდაც.

შენიშვნა: ვრცელი დებულება რემედას ის უჯრედების მუშაობის შესახებ ცალკე დაეგზავნება ადგილებს.

4. **რემედას**-ის საქართველოს კონფერენცია უნდა შეი რიბოს წელიწადში ერთხელ, ხოლო სამაზრო კონფერენციები — წელიწადში ორჯერ.

5. **რემედას**-ის საქართველოს ცეკა უდგენს ანგარიშს თავის მოქმედების შესახებ რემედას-ის აღმასკომს 3 თვეში ერთხელ. სამაზრო კომიტეტები კი ვალდებული არიან წარუდგინონ ან არიში საქართველოს ცეკას ყოველთვიურად. უჯრედებიც ვალდებული არიან მიაწოდონ ანგარიში სამაზრო კომიტეტებს ყოველთვიურად ცეკას მიერ შემუშავებულ ფორმის მიხედვით.

6. **რემედას**-ის საქართველოს ცეკას უფლება აქვს დახარჯოს თავის საორგანიზაციო საჭიროებებზე 50% ყველა შემოსავლებისა, გარდა საწევრო გადასახადებისა და შემოწირულებებისა.

სამაზრო კომიტეტებს არა აქვთ უფლება დახარჯონ რაიმე თანხა თავის საშვალებებიდან ცეკას ნება დაურთველად. ამ მიზნით სამაზრო კომიტეტები აღგენენ ხარჯთაღრიცხვას და უდგენენ ცეკას დასამტკიცებლათ.

7. ცეკას უფლება აქვს იყოლიოს თავის აპარატში არა უმეტეს ორი მომუშავისა. სამაზრო კომიტეტებს-კი — არა უმეტეს ერთი ტეხნიკური მომუშავისა, რომელიც წინასწარ უნდა დამტკიცოს ცეკამ.

8. პოლიტ-ემიგრანტებს დახმარება გაეწევათ თანახმად რემედას-ის აღმასკომის მიერ შემუშავებულ დებულებისა. საერთოდ ემიგრანტებს უნდა გაეწიოთ ყოველგვარი დახმარება მათთვის საცხოვრებელი ბინის მიცემით და სამუშაოს მოძებნით.

9. უმუშევრები, რომელნიც ჩაეწერებიან რემედასში, იხდიან საწევრო გადასახადს ერთ კაპიკს.

„თვითშრომ"-ის კავშირის წევრები მიიღებიან რემედას-ის წევრად იმ შემთხვევაში, თუ ისინი ითვლებიან პროფკავშირის წევრად.

II.

1. საქართველოში **რემედას**-ის მუშაობის საორგანიზაციო მხარე ჯერ კიდევ არ არის სრულიად ჩამოყალიბებული. ამიტომ რემედას-ი მომავალ თავის მუშაობას საფუძვლად უდებს შემდეგს: არც ერთი მშრომელი არ უნდა დარჩეს ჩვენი ორგანიზაციის გარეთ.

2. პარტორგანიზაციებს ჯერ კიდევ არა აქვს საკმარისებით შეკნებული რემედას ის მუშაობის კოლოსალური მნიშვნელობა. უნდა ვეცადოთ, რომ პარტიული აპარატისა და პარტიული მასის თვალში რემედას-მა დაიჭიროს თავის შესაფერი ადგილი.

რემედას-ის ცენტრალურმა და სამაზრო კომიტეტებმა უნდა [illegible]

შესახებ პარტკომების სხდომებზე და პარტიის წევრების საერთო კრებებზე.

3. დღემდის რემედას-ის ორგანიზაციის წევრები უმთავრესად მუშები და წითელ-არმიელები ია, მომავალში საჭიროა მაქსიმალურად იქნეს გაძლიერებული მუშაობა მუშების ჩასაბმელად ამ ორგანიზაციაში, გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ რემედას-ის უჯრედების დაარსება წარმატებით მიმდინარეობს წითელ არმიელებში, ამიტომ მათთვის მინიმალური საწევრო გადასახადის (ერთი კაპიკი) დაწესება ჩაითვალოს მიზანშეწონილად.

4. ახალგ. კომკავშირი სუსტადაა ჩაბმული რემედასის მუშაობაში. თავის მიზნებით და ამოცანებით რემედას ი წარმოადგენს ახალგაზრდობის რევოლიუციურად აღმზრდელ ორგანიზაციას. რემედას ის ცენტრალურ და სამაზრო კომიტეტებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ არც ერთი წევრი კომკავშირისა არ დარჩეს რემედას-ის გარეთ.

შენიშვნა: რემედას-ის რიგებში ჩაბმულ უნდა იქნენ აგრეთვე პიონერები, რომელნიც შემოდიან ორგანიზაციაში კოლექტიურად და ეწოდებათ **„რემედას-ის მეგობრები"**. დებულება „რემედას-ის მეგობართა" მუშაობისა და ფორმის შესახებ გამომუშავებულია ცალკე.

5. ძალიან ცოტა გვაქვს დღეს რემედას-ის გლეხთა უჯრედები. გლეხების ჩაბმას რემედას-ის მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ციხეში მყოფ რევოლიუციონერთათვის, არამედ თვით გლეხებისათვისაც. ჩვენი უჯრედები პოლიტიკურ სკოლად უნდა გადაიქცენ გლეხებისათვის.

ძლიერი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლად რემედას-ის უჯრედების დაარსებას; ამ მხრივ, გარდა პარტიისა და კომკავშირისა, საჭიროა ფაბრიკებში და წარმოებებში არსებულ კულტშეფბიუროების დახმარება. ყოველთვის, როდესაც სოფელში წავლენ კულტშეფკომისიები, რემედას-ის უჯრედებმა უნდა გააყოლონ მათ თავის წარმომადგენელი, რომელმაც სოფლად ფართო აგიტაცია უნდა გასწიოს რემედას-ის რიგებში გლეხების ჩასაბმელად.

6. რემედას-ში ინტელიგენცია ჯერ არ არის ჩაბმული. მშრომელი ინტელიგენციის ჩაბმამ რემედას-ში უნდა გამოიღოს სასურველი ხაყოფი. მშრომელი ინტელიგენცია უნდა შემოვიდეს ორგანიზაციაში და მით დაამტკიცოს თავის ერთგულება საერთაშორისო რევოლიუციის ინტერესებისადმი.

ჩვენი მწერლები, მხატვარნი, მასწავლებელნი, აგრონომები უნდა შემოვიდენ ორგანიზაციაში და მით დამტკიცონ, რომ ისინი ერთგულათ ემსახურებიან კომუნისტურ იდეალებს.

სოფლის ინტელიგენცია არამც თუ თვით უნდა ჩაეწეროს რემედას ში, არამედ ის უნდა წარმოადგენდეს დასაყრდენს სოფლად რემედას-ის უჯრედების დაარსებისათვის.

7. არ არის საკმაოდ ჩაბმული რემედას-ში ჯერ-ჯერობით მუშა და გლეხი ქალებიც. მათ ჩაბმას ორგანიზაციაში ისეთივე უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც გლეხთა ჩაბმას.

აუცილებლათ უნდა მოვიზიდოთ რემედას-ში რო-

სააგიტაციო საპროპაგანდო მუშაობა.

1. წარსულ წელში უმთავრესი ყურადღება მიქცეული ქონდა სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას, საჭიროა მომავალშიაც სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გაღრმავება და გაფართოება როგორც რემედას-ის წევრებში, ისე მთელ მუშურ-გლეხურ მასაში.

2. რემდასი-ის სამაზრო და რაიონულმა კომიტეტებმა და აგრეთვე უჯრედებმაც მჭიდრო კავშირი უნდა დაიჭირონ მუშურ-გლეხურ კლუბებთან, სამკითხველოებთან, სახალხო სახლებთან და ყველა პოლიტ-განმანათლებელ დაწესებულებებთან, სადაც პარტორგანიზაციებთან ერთად სისტემატიურად უნდა აწარმოონ სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა მოხსენებების, ლექციების, საუბრების გამართვით და სხვ.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მუშურ-გლეხურ მასას ჩავუნერგოთ მუშათა კლასის პროლეტარული სოლიდარობის იდეები და ბურჟუაზიულ ციხეებში გამომწყვდეულ რევოლიუციონერებისადმი მატერიალურ-მორალური დახმარების გრძნობა.

3. კლუბებთან, ბიბლიოთეკებთან, სახალხო სახლებთან, წარმოებებში და დაწესებულებებში უნდა მოეწყოს **რემედას ს კუთხეები**, ოომელნიც უზრუნველყოფილი უნდა იქნენ სათანადო ლიტერატურით, პლაკატებით, ციხეებში მყოფ რევოლიუციონერების სურათებით, ბურჟუაზიული ციხეების სურათებით და სხვ.

4. გამოყოფილ იქნეს უჯრედებში კორესპონდენტები, რომელთაც უნდა დაევალოთ რემედას-ის მუშაობის სისტემატიური გაშუქება საბჭოთა პარტიულ პრესაში და აგრეთვე კედლის გაზეთებში.

5. უჯრედებმა სისტემატიურად უნდა მოაწყონ საპროტესტო მიტინგები თეთრი ტერორისა და ბურჟუაზიულ ციხეებში გამომწყვდეულ რევოლიუციონერების ტანჯვა-წვალების წინააღმდეგ; ჩაატარონ სხვადასხვა კამპანიები კაპიტალისტურ ციხეებში მყოფ რევოლიუციონერებისათვის ამნისტიის გამოსაცემად.

6. კედლის გაზეთში, ანუ სპეციალურ უწყებებში, წარმოებებში და დაწესებულებებში რემედას ის უჯრედები ათავსებენ ქრონიკას თეთრი და შავი ტერორის შესახებ. შეძლების დაგვარად უნდა დაიხატოს რუქები, სადაც აღინიშნება ის ქალაქები, რომლებშიდაც აშენებულია ციხეები, სადაც იტანჯებიან რევოლიუციონერები.

ყველა ამ პლაკატებში და კედლის გაზეთებში ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მე-II ინტერნაციონალი ხელს უწყობს სისხლიანი ბურჟუაზიის აგენტების მიერ საუკეთესო რევოლიუციონერების წამებასა და ჟლეტას.

აქ საჭიროა მოყვანა სხვადასხვა გვარ ილიუსტრაციებისა, კარიკატურებისა და სხვ.

საგამომცემლო მუშაობა.

1. ზეპირ აგიტაციასთან ერთად რემედას-ის იდეების პოპულიარიზაციის საქმეში დიდი მნიშვნელობა ეძლევა **ბეჭდვითი აგიტაციას**. ცეკამ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს სათანადო ლიტერატურის გავრცელებას ქართულ, სომხურ, რუსულ, თურქულ ენებზე. საერთოდ კი უნდა დააკმაყოფილოს ორგანიზაციის წევრები ეროვნული ლიტერატურით.

მიტეტმა ბიულეტენი ქართულ და რუსულ ენაზე თვეში ერთხელ.

ლიტერატურა სომხურ და თურქულ ენაზე მიღებულ უნდა იქნეს რემედას-ის სომხეთისა და აზერბეიჯანის ც. კომიტეტებიდან ქართულ ლიტერატურაზე გადაცვლით.

რემედას-ის საქართველოს ცეკას უფლება აქვს გამოსცეს სააგიტაციო ბროშურები, თეთრი და შავი ტერორის მოქმედების გაშუქებით და სხვ.

2. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს რემედასის ნიშნების გამოცემას, რომელთაც უნდა ჰქონდეთ კარგი მხატვრული სახე, იყოს კარგი სატარებელი და ფასის მხრივ ხელმისაწვდომი. მიღებულ უნდა იქნეს ზომები მათ გასაღებლათ რემედას-ის ყველა წევრებზე.

3. გამოშვებული სააგიტაციო ფურცლები—„ხურდა ფული“ გასაღებულ უნდა იქნეს სამი თვის განმავლობაში. მომავალში ამგვარი ფურცლები გამოშვებულ იქნეს საჭიროების მიხედვით

4. ცეკამ ყურადღება უნდა მიაქციოს ე. წ. თვალსახებ აგიტაციას: პლაკატებს, ფოტოგრაფიულ სურათებს და სხვ. უახლოეს დროში გაიცემულ უნდა იქნეს 2—3 პლაკატი. სასურველია აგრეთვე კინოს გახსნა და სხვ.

მუშაობის აღრიცხვა.

1. მუშაობის არა თავის დროზე და არა სწორად აღრიცხვას ცუდი გავლენა აქვს რემედას-ის მუშაობაზე. ცენტრალურმა და სამაზრო კომიტეტებმა უნდა კარგად გაითვალისწინონ, რომ თავის დროზე და სწორი აღრიცხვა ჩვენი მუშაობის საფუძველია.

აღრიცხვა უნდა სწარმოებდეს ყოველთვიურად დაგზავნილ საღრიცხვო ფორმების მიხედვით №№ 1, 2 და 3.

საწევრო გადასახადის შესახებ.

1. რემედას-ის საქ. რ. I კონფერენციამ დაადგინა: საწევრო გადასახადი იმ მუშა მოსამსახურეთათვის, რომელნიც ღებულობენ თვეში 50 მანეთამდი, დაწესდეს 10 კ.
მუშა მოსამსახურეთათვის, რომელნიც ღებულობენ
თვეში 50 მან. ზევით . . . . 20 კ.
გლეხებისათვის . . . . . 5 კ.
უმუშევართა და წითელ-არმიელებისათვის . . 1 კ.
მოწაფეებისათვის . . . . . 5 კ.

საწევრო გადასახადი შეაქვს წევრს ინდივიდუალურათ.

წევრ-გლეხებს განსაკუთრებულ შემთხვევაში ნება ეძლევათ შემოიტანონ საწევრო გადასახადი ნატურით რამდენიმე თვის ერთად. ნატურით შემოსული საწევრო გადასახადი უნდა გაიყიდოს ადგილობრივ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

რემედას-ის უჯრედების შესახებ ს. ს. ს. რ.-ში (დამტკიცებულია რემედას-ის საქართველოს ცეკას მიერ 1924 წლის 30 ოქტომბერს).

უჯრედის მიზნები და ამოცანები.

I. უჯრედი, როგორც რემედას-ის ძირითადი ორგა-

ძოლებს—თავის წევრებში აქტივობისა და თვითმოქმედების გაღვიძებით.

2. ამ მიზნით უჯრედი:

ა) იკრებს თავის გარშემო ახალ წევრებს,

ბ) აწარმოებს მათში ალმზრდელობითი მუშაობას ინტერნაციონალურ ბრძოლის ნიადაგზე,

გ) აწყობს აგიტკამპანიებს ზეპირი და ბეჭდვითი პროპაგანდის საშუალებით,

დ) მონაწილეობას ღებულობს საპროტესტო დემონსტრაციების მოწყობაში,

ე) ღებულობს ყოველგვარ ზომას რემედას-ის საშუალებათა გასაძლიერებლათ,

ვ) აგროვებს ცნობებს რემედას-ის მოქმედების ფარგლებში და აწვდის მათ უმაღლეს ორგანოებს,

ზ) ატარებს ცხოვრებაში უმაღლეს ორგანოების დირექტივებს და დავალებებს.

3. რემედას-ის უჯრედები არსდება წარმოებებში, დაწესებულებებში, ქოხ-სამკითხველოებში, სკოლებში, სამხედრო ნაწილებში, სოფლებში და სხვა ორგანიზაციებში, სადაც კი თავს მოიყრის რემედას-ის 5 წევრი მაინც.

შენიშვნა 1. თუ წევრთა რიცხვი იქნება 5 ზე ნაკლები, ისინი შევლენ მათთან ახლო მყოფ უჯრედში.

შენიშვნა 2. მსხვილ წარმოებებში შეიძლება დაარსდეს უჯრედები ცალკე ამქრებში, რომელთაც ხელმძღვანელობს წარმოებაში გაერთიანებული ბიურო.

II. წევრთა შემადგენლობა და მოვალეობანი.

4. რემედას-ის უჯრედის წევრად მიიღება ყველა მშრომელი, რომელთაც შეუსრულდათ 16 წელი, არ აქვთ ჩამორთმეული აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება, თანაუგრძნობენ კლასიურ ბრძოლას კომუნიზმისათვის და მონაწილეობას ღებულობენ უჯრედის მუშაობაში.

5. ორგანიზაციულად შეკავშირებული ბავშები (16 წელზე უმცროსნი) შემოდიან რემედას-ში ხოლოდ კოლექტიურად. ამ კოლექტივების სახელწოდება იქნება „რემედას-ის მეგობარნი". მთელ კოლექტივს ეძლევა ერთი საწევრო ბილეთი.

შენიშვნა: დებულება „რემედას-ის მეგობართა" ფორმისა და მუშაობის შესახებ გამომუშავებულია ცალკე.

6. რემედას-ის წევრობას საფუძვლად უდევს: 1) სრული ნებაყოფლობა, 2) ინდივიდუალური ჩაწერა და 3) საწევრო გადასახადის მინიმალური რაოდენობა მშრომელთა მასიური ჩაბმის დროს.

7. წევრები ვალდებული არიან აქტიურად შეუწყონ ხელი უჯრედის ყველა მოქმედებას, გაავრცელონ მასაში რემედას-ის იდეები, მოიზიდონ ახალი წევრები და შეუხრელად შეასრულონ რემედას-ის წესდების ყველა მოთხოვნილებანი.

8. უჯრედის წევრები იხდიან ერთდროულ შესასვლელ და საწევრო გადასახადებს იმ რაოდენობით, რომელსაც განსაზღვრავს რემედას-ის საქართველოს ცეკა.

9. ბავშთა კოლექტივები იხდიან ყოველთვიურ საწევრო გადასახადს იმ რაოდენობით, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს ცეკა.

10. ორგანიზაციის წევრი შეორე რაიონში გადავლისას ჩაირიცხება ამ რაიონის ორგანიზაციაში და ჩაეთვლება მას წინათ შეტანილი საწევრო გადასახადები.

III. უჯრედის ორგანოები.

11. უჯრედის ორგანოებია:

ა) საზოგადო კრება,

ბ) უჯრედის ბიურო და

გ) სარევიზიო კომისია.

12. საზოგადო კრება უჯრედის უმაღლესი ორგანოა და იკრიბება 2 კვირაში ერთხელ მაინც აუცილებლათ.

შენიშვნა: სოფლებში საზოგადო კრება იწვევა საჭიროების მიხედვით, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც აუცილებლათ.

13 საზოგადო კრება

ა) ირჩევს ბიუროსა და სარევიზიო კომისიას,

ბ) ისმენს ბიუროსა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს, მოხსენებებს რევოლიუციური მოძრაობის, თეთრი ტერორის შესახებ და სხვ..

გ) ამტკიცებს ახალ წევრებს და რიცხავს ულორს წევრს თავის რიგებიდან,

დ) არჩევს და ამტკიცებს მუშაობის გეგმას და

ე) ირჩევს სხვა და სხვა კომისიებს კამპანიების ჩასატარებლად, რემედას ის კუთხეების, საღამოების მოსაწყობათ და სხვ.

14. უჯრედი, რომელსაც ყავს არა ნაკლებ 10 წევრისა, ირჩევს ბიუროს 3 წევრისა და 1 კანდიდატის შემადგენლობით; თუ უჯრედში ირიცხება 10 წევრზე მეტი, ბიურო ირჩევა 3—5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით.

შენიშვნა 1: ბიურო გამოყოფს თავის წრიდან თავმჯდომარეს და მდივანს.

შენიშვნა 2: უჯრედი, რომელსაც 10-ზე ნაკლები წევრი ყავს, ირჩევს მხოლოდ მდივანს.

15. ბიუროს სხდომები იმართება არა ნაკლებ ერთისა კვირაში და აგრეთვე მორიგ კამპანიების წინ.

16. სარევიზიო კომისიას უჯრედი ირჩევს 3 წევრის შემადგენლობით.

17. რემედას-ის უმაღლეს ორგანოებს უფლება აქვთ გადააყენონ უჯრედის ხელმძღვანელ ორგანოების წევრები.

18. უჯრედის ბიურო და სარევიზიო კომისია ირჩევა 6 თვით.

19. ბიუროს მოვალეობაა:

ა) ხელმძღვანელობა გაუწიოს უჯრედის მიმდინარე მუშაობას და მოიწვიოს საზოგადო კრება,

ბ) 3 თვიან სამუშაო გეგმის გამომუშავება,

გ) უმაღლეს ორგანოების დირექტივების გატარება ცხოვრებაში,

დ) ახალი წევრების მიღება,

ე) უჯრედის წევრთა ჩაბმა აქტიურ მუშაობაში მათ შორის მოვალეობათა სწორი განაწილებით,

ვ) რემედას-ის აქტიურ მომუშავეთა (აქტივისტები) კადრის შექმნა,

ზ) რემედას-ის კამპანიების მომზადება და ჩატარება („18 მარტი" და სხვა დღეები, თანახმად ცეკას დადგენილებისა),

ი) მოწყობა ლექციების, მოხსენებების, მიტინგების, კონცერტების, წარმოდგენების, კინო-სეანსების და სხვ.,

კ) დაარსება ისეთი წრისა, სადაც წევრები შეისწავლიან თანამედროვე რევოლიუციურ მოძრაობას და პოლიტიკურ პატიმართა ყოფა-ცხოვრებას—პრესაში და რემედას-ის ლიტერატურაში მოთავსებულ მასალების მიხედვით,

ლ) გავრცელება რემედას-ის ლიტერატურისა, ჟეტონებისა, მარკებისა, და ღია ბარათებისა,

მ) მონაწილეობა ადგილობრივ კედლის გაზეთებში და გამოცემა რემედას-ის სპეციალურ გაზეთებისა,

ნ) უჯრედის მუშაობის გაშუქება პრესაში,

ო) გამოყოფა რემედას-ის კორესპონდენტებისა,

პ) წესიერი შეგროვება საწევრო გადასახადებისა და სხვა შემოსავლისა,

ჟ) სწორი აღრიცხვა წევრებისა და საშუალებების,

რ) თავის დროზე წარდგენა მაღლამდგომ ორგანოში ანგარიშებისა და საშუალებების.

20. სარევიზიო კომისიის მოვალეობაა:

ა) თვალყური ადევნოს საწევრო გადასახადების და სხვა საშვალებების თავის დროზე შემოტანას,

ბ) თვალყური ადევნოს საშვალებებისა და ანგარიშების თავის დროზე წარმოდგენას მაღლა მდგომ ორგანოში და საქმის წარმოების სწორ დაყენებას,

გ) რეგულიარულად მიაწოდოს საზოგადო კრებას ანგარიშები უჯრედის მუშაობის შესახებ.

21. სარევიზიო კომისიის წევრებს შეუძლიათ დაესწრონ ბიუროს სხდომებს სათათბირო ხმით.

4. უჯრედის აპარატისა და მისი დამოკიდებულების შესახებ სხვა ორგანიზაციებთან.

22. რემედას-ის უჯრედი თავის მიმდინარე სამუშაოს აწარმოებს ადგილობრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით (რ. კ. პ. და კომკავშირის, ფაბკომები, ადგილკომები, ქალორგანიზ. და სხვ.).

23. უჯრედი სარგებლობს ადგილობრივ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების აპარატით.

24. რემედას-ის უჯრედს არა აქვს თავისი ბეჭედი; იგი სარგებლობს იმ წარმოება-დაწესებულების ბეჭედით, სადაც თვით იმყოფება.

5. წევრთა მიღება და გამორიცხვა.

25. რემედას-ის წევრად მიღება სწარმოებს ინდივიდუალურად.

26. წევრად შესვლისათვის საკმაოა განცხადების შეტანა უჯრედის ბიუროში.

27. რემედას-ის წევრობიდან გამოირიცხება:

ა) ვინც დაარღვევს რემედას-ის წესდებას,

ბ) ვინც არ შეიტანს საწევრო გადასახადს 3 თვის განმავლობაში,

გ) ვინც სახელ გატეხილი იქნება სასამართლოს დადგენილებით, ან ვის გამორიცხვასაც საჭიროდ დაინახავს საზოგადო კრება სხვადასხვა მიზეზებისა გამო.

6. უჯრედის საშვალებანი.

28. უჯრედის მატერიალური საშვალებები შესდგება:

ა) შესასვლელ და საწევრო გადასახადებისაგან,

ბ) ნებაყოფლობითი შემოწირულებისაგან (ნატურით, ფულით, ძვირფ სეულობით და სხვ.).

დ) კვირეულებიდან და რემედას-ის სასარგებლოთ ნებაყოფლობითი დამუშავებულ ადგილებიდან,

ე) ლექციების, მოთხრობების, კონცერტების, წარმოდგენების, საღამოების, კინო-სეანსებისა და სხვ. ასეთების შემოსავლიდან.

29. ყოველგვარი შემოსავალი უჯრედს შეაქვს უშუალოდ მაღლა მდგომ ორგანოში სრულად და დაუყოვნებლივ.

30. შეგროვილ საშვალებების დახარჯვა უჯრედის საჭიროებისათვის არ შეიძლება.

7. დებულებების შეცვლა და შევსება.

31. ამ დებულების შეცვლა ან შევსება შეუძლია რემედას-ის სამაზრო კომიტეტს პირველად ორგანიზაციების წარმოდგენის თანახმად და რემედას-ის საქართველოს ცენკას თახხმობით.

8. უჯრედის ლიკვიდაცია.

32. უჯრედის ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს:

ა) თანახმად მაღლა მდგომ ორგანოს დადგენილებისა,

ბ) იმ წარმოება დაწესებულებების ლიკვიდაციის შემდეგ, სადაც იგი იმყოფება.

33. ლიკვიდაციის წესს იმუშავებს რემედას-ის ადგილობრივი მაღლა მდგომი ორგანიზაცია.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

„რემედასი-ს მეგობართა“ შესახებ

(საქართველოს რემედას ის მუშაობის საორგანიზაციო გეგმის დამატება).

სთვლის რა რემედას ის აქტიურ მუშაკთა ჯგუფის შექმნას საჯეიისო ორგანიზაციულ ამოცანად და აღიარებს რა აგრეთვე, რომ რემედას-ის ახალ, დარაზმულ არმიის შესაქმ ელად ერთ-ერთ საუკეთესო საშუ ლებას წარმოადგენს აგიტაცია-პროპაგანდა მოზარდ თაობაში და ამ უკანასკნელის ჩაბმა რემედას-ის მუშაობაში, ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიმუშავა შემდეგი დებულება:

1) ბავშვები 9 წლიდან 16 წლამდე შემოდიან რემედას-ში კოლექტიურად.

2) კოლექტივის მინიმალური შემადგენლობა უნდა უდრიდეს 10 წევრს.

3) მთელ კოლექტივს ეძლევა ერთი საწევრო ბილეთი.

4) ბავშთა კოლექტივებს შემოაქვთ ყოველთვიური საწევრო გადასახადი 3 კაპ. ოდენობით კოლექტივის თითოეულ წევრზე.

5) კოლექტივები დაკავშირებულია რემედას-ის ადგილობრივ ორგანიზაციასთან რაიონის ანუ უჯრედის საშუალებით.

6) წევრთა მიღება კოლექტივში ან გამორიცხვა ხდება კოლექტივის საზოგადო კრების დადგენილებით.

7) კოლექტივში არსდება საფინანსო და სააგიტაციო კომისიები.

8) საფინანსო კომისია ღებულობს ზომებს რემედასის მატერიალურ საშვალებათა გასადიდებლად.

9) სააგიტაციო კომისია აწარმოებს კოლექტივში [illegible] მუშაობას—ბავშებში [illegible]

შებში უნდა სწარმოებდეს მხატვრულ პედაგოგიურ ფორმებში.

10) კოლექტივი ირჩევს ბიუროს — თავმჯდომარის, მდივნის და ხაზინადრის შემადგენლობით.

11) ბავშთა კოლექტივის წევრს უფლება აქვს ატაროს გულზე ნიშანი შემდეგი წარწერით: „რემედას-ის მეგობარი“.

რემედას-ის კვირეული

1925 წ. 1—7 იანვარი.

ს. კ. პ. ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

იანვრის 1-დან 7-მდე ჩატარებული იქნება რემედასის კვირეული. ვიღებთ რა მხედველობაში ამ კვირეულის დიდს მნიშვნელობას, წინადადება გეძლევათ მიიღოთ აქტიური მონაწილეობა მის ჩატარებაში. გაუწიოთ რემედასის კომიტეტებს დახმარება, როგორც მომხსენებლების გამოყოფით, ისე ორგანიზაციულ მუშაობის შესრულებაში.

ს. კ. პ. ც. კ. მდივანი **ქართველიშვილი.**

ცირკულიარულად № 107

15 დეკემბერი 1924 წ.

რემედას-ის საქართველოს ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

თანახმად რემედას-ის საქართველოს კონფერენციის დადგენილებისა, ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა ჩატარებულ იქნეს 1925 წლ. 1—7 იანვრამდე რემედას-ის კვირეული.

საბჭოთა რუსეთში ეს **კვირეული** უკვე ჩატარდა ა.-წ. 1 დეკემბრიდან. ცენტრალურმა კომიტეტმა განგებ გადასდო ამ **კვირეულის** ჩატარება 1 იანვრისათვის, რომ შეძლება მოგვცემოდა გვესარგებლებია ს. ს. რ. კ-ში ჩატარებულ კამპანიის გამოცდილებით. ამ ჟამად რემედას-ის მუშაობას როგორც ს. ს. რ. კ-ში ისე საქართველოში უნდა მიეცეს ისეთი მიმართულება, რომ რევოლიუციონურ-პატიმრებისათვის დახმარების გაწევა მაქსიმალურად იქნეს გაძლიერებული. ამ კამპანიამ უნდა შეაგნებინოს რემედასის წევრებს და ყველა მშრომელთ იმ ამოცანათა დიდი მნიშვნელობა, რომელიც სდგას დღეს რემედას-ის წინაშე.

როგორც უკვე 1 კონფერენციაზედაც იყო აღნიშნული, რემედას-ის მუშაობა საქართველოში ჯერ კიდევ ვერ არის გაღრმავებული და სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. უნდა აღვნიშნოთ, რომ რევოლუციონურ მოძრაობაში გლეხების ჩასათრევად და რემედას-ის რიგებში ჩასაბმელად ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული. **კვირეულის** ამოცანაა საფუძველი ჩაუყაროს სერიოზულ გეგმიან მუშაობას სოფლად. უნდა მივიღოთ ზომები, რომ ამ კვირეულის განძავლობაში რემედას-ის რიგებში მოვაქციოთ პროლეტარულ მასსის—მუშების, გლეხების და მოსამსახურეების მთელი 100 პროც.

ამ კვირეულის დროს მთავარი მუშაობა უნდა ვაწარმოვოთ ორგანიზაციულ და საგიტაციო სფეროში.

რემედას ის უჯრედის თითოეული წევრი უნდა შეიქნეს **კვირეულის** აქტიური მონაწილე და მეგობრებთან ... ჩვენი ორგანიზაციის მუშაობისა **კვირეულის** ჩასატარებლად.

ყველა მოხსენებებში ხაზი უნდა გაესვას რემედას-ის უდიდეს მნიშვნელობას საერთაშორისო რევოლუციის მოსამზადებლად და დასაჩქარებლად, მაშასადამე, კაპიტალისტური საზოგადოების დასამსხვრევად. იმავე დროს მომხსენებლებმა უნდა აღნიშნონ, რომ „პაციფიზმის“ ხანა დამთავრდა. სისხლიანი კაპიტალი ისევ შეტევაზე გადავიდა. კაპიტალისა და კონტრ-რევოლუციის მსხვერპლთა რიცხვი თანდათან იზრდება. ამიტომ ჩვენც უნდა გავაძლიეროთ ჩვენი მუშაობა და გავაასკეცოთ ენერგია მომენტის სეროიზულობის სრული შეგნებით.

კვირეულის ჩატარების დროს ჩვენი სამაზრო კომიტეტები მჭიდროთ უნდა დაუკავშირდენ, პირველ ყოვლისა, პარტიულ, პროფესიონალურ ორგანიზაციებს და სხ.

სათანადო დირექტივები ს. კ. პ. ცეკას მიერ დაეგზავნება ადგილბრივ პარტორგანიზაციებს.

დანარჩენებში იხელმძღვანელეთ თანდართული გეგმით კვირეულის ჩასატარებლათ, თეზისებით და სხვა მასალებით, რომელნიც უნდა შეუფარდოთ ადგილობრივ პირობებს და თავისებურობას.

გევალებათ ამ ცირკულიარის მიღებისთანავე შეუდგეთ მზადებას კვირეულის ჩასატარებლათ.

რემედას-ის საქართველოს ცენტრალური კომიტეტი.

კვირეულის გეგმა და ამოცანები.

ა. საგიტაციო ამოცანები.

1. რემედას-ის იდეისა და მიზნების პოპულიარიზაცია; ბურჟუაზიულ ქვეყნებში თეთრი ტერორის და მუშათა მოძრაობის გაშუქება ზეპირი და ბეჭდვითი პროპაგანდის საშუალებით.

2. წევრთა მიზიდვა რემედას-ში; მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა, გლეხთა, მოსამსახურეთა, ახალგაზრდობის და წითელარმიელების ჩაბმას რემედას-ის რიგებში.

3. ბურჟუაზიულ ციხეებში მყოფ პოლიტპატიმრებზე შეფობის აზრის განმარტება.

4. მასიური გავრცელება რემედას-ის ყველა გამოცემებისა (ჟურნალები, ბიულეტენები, ბროშურები, პლაკატები, ჟეტონები, ფასიანი ფურცლები და სხ.).

შენიშვნა: კვირეულის განმავლობაში აუცილებლათ სულ უნდა გაიყიდოს ის ფასიანი ფურცლები, რომელიც დაგზავნილია ადგილებზე.

ბ. საორგანიზაციო ამოცანები.

1. რემედას-ის ყველა უჯრედებისა და კომიტეტების მუშაობის გადასინჯვა (ჩატარებულ მუშაობით შეძენილ გამოცდილებების გასათვალისწინებლათ).

მუშაობის გადასინჯვის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:

ა) უჯრედებისა და წევრთა მიერ გამოჩენილ ინიციატივას და თვითმოქმედებას,

ბ) შემოსავლისა და წევრთა სწორ აღრიცხვას ად-

გ) საშემოსავლო წყაროებს (საწევრო გადასახადები, შემოწირულებანი, ჟურნალების, ბროშიურების, ფოტონების, მარკების გაყიდვიდან შემოსული და სხვა თანხები).

დ) ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ ფინანსიურ დარგში თავის ვალდებულებათა სწორ და წესიერ შესრულებას.

2. საზოგადო კრებების და კონფერენციების ჩატარება, რომელზედაც მოსმენილ უნდა იქნეს რემედას-ის ორგანოების ანგარიშები (ანგარიშების მოსმენა და მუშაობის გეგმის დამტკიცება).

3. შეფობის აღება კაპიტალისტურ ციხეებში დაპატიმრებულ რევოლიუციონერებზე.

4. შეფობაზე აყვანილ პატიმრებისათვის საჩუქრების დამზადება.

5. კოლექტიური წერილების დაგზავნა პოლიტპატიმრებისათვის.

6. 1—7 იანვრამდე ყველგან უნდა ჩატარდეს წინასწარ შემუშავებულ გეგმის მიხედვით საზოგადო კრებები რემედას-ის წევრებისა დანარჩენ მშრომელებთან ერთად—მუშებთან, გლეხებთან და სხ.

ეს კრებები უნდა ჩატარდეს დაახლოებით შემდეგი დღის წესრიგით:

ა) საერთაშორისო მდგომარეობა და რემედას-ის ამოცანები,

ბ) ანგარიში რემედას-ის უჯრედის, ან კომიტეტისა.

გ) უჯრედის ანუ კომიტეტის მუშაობის სამი თვის—იანვრის, თებერვლის და მარტის გეგმის დამტკიცება,

დ) ხელახალი არჩევნები რემედას-ის უჯრედების ბიუროსი ანუ მდივნის.

7. 3 იანვარს ყველა თეატრებში, კინოებში და გასართობ ადგილებში უნდა მოეწყოს ფასიანი წარმოდგენები, სალამოები, კონცერტები და სხ.

8. 4 იანვარს მუშათა კლუბებში, ქოხ-სამკითხველოებში უფასოდ უნდა გაიმართოს რემედას ის სალამოები ადგილობრივ უჯრედის ანუ კომიტეტის მიერ შემუშავებული პროგრამის მიხედვით.

9. ადგილობრივ პრესაში ყოველმხრივ უნდა იქნეს გაშუქებული რემედას ის კვირეულის ცხოვრება.

10. იქ, სადაც მოსახერხებელი იქნება, უნდა გადაიღოთ სურათები კვირეულის დამახასიათებელ მომენტებისა და მოაგროვოთ სათანადო მასალები მომავალი გამოფენისათვის (სურათები და მასალები გამოფენისათვის უნდა გამოიგზავნოს საქართველოს რემედას-ის ცენტრში თითო ცალი).

11 კვირეულის ჩატარების ყოველგვარი მასალები მაზრაში უნდა მოგროვდეს და გამოიგზავნოს ცენტრში არა უგვიანეს იანვრის 15-სა.



რემედას-ის ტფილისის პირველი კონფერენცია

ოქტომბრის 12 შესდგა **რემედას-ის** ტფილისის პირველი კონფერენცია. დაესწრო 109 დელეგატი და რემედასის წევრნი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1) რემედას-ის ამოცანები—მომხსენებელი აზხ. ა. კვირიკაძე.

2) რემედას-ის ტფილისის განყოფილების ანგარიში—მომხსენებელი ამხ. მ. ესსენი.

3) არჩევნები—საბჭოსი, სარევიზიო კომისიისა და დელეგატებისა რემედას-ის საქართველოს I კონფერენციაზე გასაგზავნად.

თავის მოხსენებაში საერთაშორისო მდგომარეობაზე ამხ. კვირიკაძემ ხაზი გაუსვა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის ახალ ბრძოლების აუცილებლობას. დაასურათა აგრეთვე ბურჟუაზიის ის სისასტიკე და სიმხეცე, რომლითაც ის ცდილობს ამოხოცოს მუშათა საქმისათვის თავდადებული მებრძოლნი. ამასთანავე ის შეჩერდა მე-2 ინტერნაციონალის საქმიანობაზე, რომელიც ხელს უშლის მუშათა კლასს ბრძოლაში და შეაქვს მის რიგებში განხეთქილება, უკმაყოფილება და უთანხმოება.

მოხსენების გარშემო კონფერენციამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

— „მოისმინა რა ამხ. კვირიკაძეს მოხსენება რემედას-ის ამოცანებზე, რომელშიაც აღნიშნულია, თუ რა მძიმე და აუტანელ პირობებში იმყოფებიან ბურჟუაზიულ ციხეებში პოლიტიკური ტუსაღები, რემედას-ის ტფილისის კონფერენცია უგზავნის მხურვალე სალამს რევოლიუციის მებრძოლ გმირებს. კონფერენცია აცხადებს, რომ ისინი კაპიტალიზმსა და იმპერიალიზმთან მძიმე ბრძოლაში მარტო არ არიან. ს. ს. რ. კ. და კერძოთ საქართველოს პროლეტარიატი ყოველთვის მზათაა ჩადგეს საერთაშორისო რევოლიუციის მებრძოლთა რიგებში, რომ მიიტანონ უკანასკნელი ძლიერი იერიში კაპიტალზე. ამასთან ერთად კონფერენცია ზიზღს უცხადებს მე 2 ინტერნაციონალს, რომლის დახმარებითაც სწარმოებს რევოლიუციონურ მუშების ათი ათასობით განადგურება, რომლებიც იბრძვიან კაპიტალის ბორკილების დასამსხვრევად და კომუნიზმის განსახორციელებლად“.

საანგარიშო მოხსენებაში ამხ. მ. ესსენმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ განყოფილების დაარსებამდე იქმნა ჩატარებული კამპანია გერმანიის მუშების დასახმარებლად, საიდანაც შემოვიდა 34 მილ. მანეთი. ამ კამპანის ჩატარ-

ხელმძღვანელობით ჩვენ შევუდექით რემედას-ის თბილისის განყოფილების ჩამოყალიბებას.

პარტიულ უჯრედების მიერ ჩატარებულმა კამპანიებმა ფართოდ მოიზიდა ტფილისის პროლეტარიატი და რემედას-ის ორგანიზაციამ დაიწყო ზრდა და განვითარება.

განყოფილების მუშაობა გამოიხატა: 1) ახალ წევრების მიღებაში, 2) აგიტაცია-პროპაგანდაში, 3) საშუალებათა შეგროვებაში.

ყოველ რაიონში არსებობს რემედას-ის უჯრედები: სულ ქალაქში არის 113 უჯრედი.

ოქტომბერში განყოფილებამ მიიღო შეფობა ჩერნოგორიის პოლიტიკურ პატიმრებზე. გაეგზავნა მათ მისალმება და ფული რემედას-ის აღმასკომის საშუალებით.

საანგარიშო დროში შეგროვილ იქნა 6 295 მ. 87 კ. რომლიდანაც 4.482 მ. გადაეგზავნა რემედას-ის აღმასკომს

საკმაო ლიტერატურის უქონლობისა და მომუშავეთა სიმცირის გამო რემედას-ის მუშაობის ძირითადი ამოცანები—აგიტაცია-პროპაგანდა საერთაშორისო სოლიდარობის იდეისა და მსოფლიო რევოლიუციონურ ბრძოლის დახმარება-ვერ ტარდებოდა დამაკმაყოფილებლათ, ძლიერ ცოტა ვრცელდებოდა ლიტერატურა და იშვიათად კეთდებოდა მოხსენებები უჯრედებში.

ამხ. მ. ესსენის მოხსენების გამო მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

— „მოისმინა რა ამხ. ესსენის მოხსენება რემედას-ის ტფილისის განყოფილების მუშაობის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში ამ ორგანიზაციის არსებობის მოკლე დრო (აპრილი-სექტემბერი), ტფილისის განყოფილების მუშაობას კონფერენცია სთვლის დამაკმაყოფილებლად“.

ახლად არჩეულ საბჭოს კონფერენცია წინადადებას აძლევს:

1) გააფართოვოს და გააღრმავოს მუშაობა და განამტკიცოს ორგანიზაციულად.

2) სათანადო ორგანიზაციების საშუალებით ჩააბას მუშაობაში ქალები და ახალგაზრდობა.

3) მიაქციოს ყურადღება უჯრედების აქტიობის გაძლიერებას საშუალებათა გამონახვაში, წევრთა მოზიდვაში და საagიტაციო-პროპაგანდო მუშაობაში.

შემდეგ კონფერენცია შეუდგა საბჭოს, სარევიზიო-კომისიისა და რემედას-ის საქართველოს

რემედასის თბილისის პირველი კონფერენცია.

საბჭოში არჩეულ იქნენ: 1) ესსენ მ., 2) კვირიკაძე, 3) მთვარელიძე, 4) ადამიანი, 5) ხახანოვი, 6) სერებრიაკოვი, 7) ჯაიანი, 8) რინენბერგი, 9) პოლიანსკი, 10) ტოფიაშვილი, 11) სოლოლაშვილი, 12) არაქელოვი, 13) ნერსესოვი, 14) მაისურაძე, 15) ტარამანოვა, 16) დარახველიძე, 17) ბელიაევი, 18) პოპოვი, 19) გრიადუნოვი, 20) ჯოხაძე, 21) კობერიძე, 22) ალიხანოვი, 23) დვორიანოვი, 24) მარეევ, 25) ხმალაძე, 26) გივი, 27) რუდნიკოვი, 28) გამანოვი, 29) კუზნეცოვი, 30) ბაგრამოვი, 31) მაიერ, 32) ხელაევი, 33) ასატუროვი, 34) ბარტაშევსკი, 35) ჩიხლაძე, 36) კაეე ვიკტ. 37) აკოდკოვა, 38) ენუქიძე, 39) ცინცაძე, 40) ოქუაშვილი, 41) ატოევი, 42) ადოლინი, 43) გრიგორიანი, 44) გამბახანოვი, 45) ზაკს, 46) დიმიტრიაშვილი, 47) ტატიანი, 48) აგაიანი, 49) ორლოვი.

პრეზიდიუმში: თავმჯდომარეთ—ამხ. მ. ესსენი, პასუხისმგებელ მდივნად ამხ. სერებრიაკოვი.

წევრებათ: მთვარელიძე, გამახანოვი, ადამიანი, ხახანოვი, პოპოვი, ზაკს, ხმალაძე და მარეევი.

კანდიდატებათ: გიკ, აბაიანი, ალიხანოვი, გალიპხაერ, კაეე და სოლოლაშვილი.

სარევიზიო კომისიაში: 1) სლობოდა, 2) სტლერჩუკი, 3) გონჩაკი, 4) პოლიაკოვი, 5) კალატოზოვი, 6) არიზაშვილი.

რემედას ის საქართველოს I კონფერენციაზე დელეგატებად წამოყენებულ იქნა საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ყველა წევრები.

ქ უ თ ა ი ს ი.

12 ოქტ. ქალ. ქუთაისში შესდგა რემედას-ის მეორე კონფერენცია. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ 1) გველესიანი, 2) ხობუა, 3) ჯიჯაძე და 4) ჩანკოტაძე.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) გამგეობის მუშაობის ანგარიში, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) სამაზრო კომიტეტის, სარევიზიო კომისიის და სრ. საქ. კონფერენციის დელეგატების არჩევნები.

გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს [illegible]ლაშვილი, რომელიც აცნობს კონფერენციას კომისიის მუშაობის ნაყოფიერებას.

სამაზრო კომიტეტში ამორჩეულ იქნა 11 ამხანაგი 1) ჯიბლაძე, 2) ზარდალიშვილი, 3) ბარამიძე, 4) კობახიძე, 5) ჩანკოტაძე, 6) კუკულავა, 7) გველესიანი, 8) მაისურაოვი, 9) ხობუა და 10) ვიონოვი.

სარევიზიო კომისიაში: 1) ლეკიშვილი, 2) ლაბერკინი და 3) შეყლაშვილი. კანდიდატად—ი. დოლიძე.

რემედას-ის სრ. საქ. პირველ კონფერენციაზე გასაგზავნად არჩეულ იქნა შემდეგი ამხ.: 1) გველესიანი, 2) ჩანკოტაძე, 3) ხობუა, 4) რუხაძე, 5) მაისუროვი, 6) კუკულავა, 7) სტურუა, 8) აბზიანიძე, 9) ბარამიძე, 10) კორობკოვი, 11) ჟუკოვი, 12) ჩხენკელი და 13) ლისენკო.

ქუთაისელი.

ქ. ახალ-სენაკი

საქ. კომპარტიის სენაკის სამაზრო კომიტეტის დარგაზში 13 ოქტომბერს შესდგა რემედას-ის სენაკის მაზრის ორგანიზაციების, რაიონებისა და ქალაქში არსებულ უჯრედების პირველი კონფერენცია. ადგილებიდან დაესწრო 28 დელეგატი და წარმომადგენელი. თავმჯდომარეობდა ამხ. ე. შალამბერიძე, მდივნობდა ამხ. მ. ფირცხალავა.

საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობაზე და რემედას-ის მიზნებსა და ამოცანების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა რემედას-ის საქ. ცეკას წარმომადგენელი ამხ. გ. მუშიშვილი, რომელმაც გადაუშალა კონფერენციას საერთაშორისო ვითარების სურათი, მსოფლიო რევოლიუციის შემფასებელი მიზეზები და ის ღონისძიებანი, რომელთაც მიმართავს კომუნისტური ინტერნაციონალი. მოხსენების მეორე ნაწილში ამხანაგი დაწვრილებით შეეხო რემედას ს და მის საერთაშორისო მნიშვნელობას პროლეტარულ როვოლიუციის გამარჯვების საქმეში. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„კონფერენცია, გაითვალისწინა რა კაპიტალისტური ქვეყნების და მათი ლაქიის II ინტერნაციონალის უდიდე- [illegible] ... ბრძოლის წინაშე, აცხადებს სასტიკ

პროტესტს იმ სამარცხვინო როლის შესახებ, რომელიც ითამაშა ყვითელმა მეორე ინტერნაციონალმა ბურჟუაზიასთან ერთად მსოფლიო მუშათა კლასის მოძრაობის ისტორიაში. აგრეთვე აცხადებს სასტიკ პროტესტს თეთრი ტერორის წინააღმდეგ, რომელიც მძვინვარებს ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში კაპიტალის სადიდებლად. კონფერენცია მოითხოვს საქ. საბ. რესპუბლიკის სენაკის მაზრის მშრომელთა სახელით რემედას-ის აღმასკომის მიერ იქნეს ყოველგვარი ზომები მიღებული იმ დაპატიმრებულ მუშების განსათავისუფლებლად, რომლებიც ებრძვიან კაპიტალის შავს რეჟიმს და ბურჟუაზიის გამხეცებულ ტერორს.

კონფერენცია, მაზრის მშრომელთა სახელით, უცხადებს ტყვე-რევოლიუციონერებს გულწრფელ თანაგრძნობას და აღუთქვამს მათ ყოველგვარ დახმარებას კაპიტალთან ბრძოლაში, კონფერენცია მოითხოვს რემედას-ის აღმასკომის საშუალებით გაიგზავნოს მიმართვა დასავლეთ ევროპის პროლეტარიატისადმი, რათა ეხარი დაუჭიროს ს. ს. რ. კავშირს კაპიტალსა და მეორე ინტერნაციონალთან ბრძოლაში რომ განთავისუფლდეს რევოლიუციისათვის მებრძოლი და ტანჯული გმირები ციხეებისა და კატორღიდან". რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმად.

სამაზრო კომიტეტის ანგარიშის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ხ. შალამბერიძემ. გამოტანილ იქნა დადგენილება—რემედას-ის მუშაობაში ჩათრეულ იქნას უპარტიო მასები.

შემდეგ მოხდა სამაზრკომის არჩევნები. არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: 1) ი. გულორდავა, 2) ა. ოჩიგავა. 3) ვ. ნოდია, 4) ი. გვასალია, 5) ი. ფრანგიშვილი, 6) ა. ცომაია, 7) ვ. დემურია. კანდიდატებათ: 1) ს. გულუა, 2) ი. ნორაკიძე, 3) კ. მელიქაძე.

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ: 1) ბ. კიზირია, 2) ლ. ოდიშარია, 3) ვ. თავართქილაძე და კანდიდატად ე. შუშანია. რემედას ის სრ. საქ. პირველ ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატ ბად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხ.: 1) კუჭავა კოსტა, 2) გულუა სიმონი, 3) ფირცხალავა მალაქია.

სენაკის მაზრაში რემედას-ის მუშაობა დაიწყო მარტში. საინიციატივო ბიურო შესდგა სამაზრო პარტკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან. ბიუროში შედიოდა 9 კაცი, 3 კანდიდატი. არჩეულ იქნა უჯრედების მდივნები, ჩატარდა მოხსენებები. მაზრის მასშტაბით დაიგზავნა ცირკულიარები—ახალ უჯრედების მოწყობა მიენდო რაიკომის მდივნებს. ამრიგად გატარებულია ცხოვრებაში ყველა ის დირექტივები, რომლებიც მიღებული იქნა რემედას-ის საქ. ცეკასაგან. მაზრაში არსებობს 59 უჯრედი. წევრთა რაოდენობა განაწილებულია შემდეგნაირად: 1) სალხინოს რაიონში არის 10 უჯრედი—95 წევრი, 2) მარტვილის რაიონში—9 უჯრედი 201 წევრი, 3) ძველ-სენაკის რაიონში—3 უჯრედი—44 წევრი, 4) ახალ-აბაშის რაიონში—2 უჯრედი—132 წევრი, 5) ნოქალაქევის რაიონში—4 უჯრედი 132 წევრი, 6) ბანძის რაიონში—12 უჯრედი—79 წევრი, 7) ახალ სენაკის რაიონში —8 უჯრედი 288 წევრი, რაიონებში—8 უჯრედი 225 წევრი. სულ 1200 წევრი. საწევრო გადასახადს იხდიან ყოველთვიურად. შემოსავლის წყარო ისაზღვრება სხვა და სხვა წარმოდგენებისა და სეირნობათა მოწყობით.

დღიდან სენაკის მაზრაში რემედას-ის ორგანიზაციების დაარსებისა შემოვიდ : საწევრო გადასახადიდან 497 მან. 10 კაპ., სალამო-სეირნობიდან—143 მ. 99 კაპ. [illegible] ყიდულ ლიტერატურიდან—13 მ. 85 კაპ , სულ—654 მან. 86 კაპ წარმოდგენებიდან შემოსული 143 მ. 91 კაპეიკიდან 50 პროცენტი გადარიცხულ იქნა საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად. გადაიგზავნა ცენტრალურ კომიტეტში 140 მან. გასავალი უდრის 210 მან. 91 კაპ.

რჩება გადასაგზავნი ტენტრალურ კომიტეტში 443 მ. 91 კაპ.

ამრიგად სენაკის მაზრაში რემედას-ის მუშაობა დღითი დღე ძლიერდება და აღწევს ბრწყინვალე შედეგებს. მშრომელთა ფართე მასები ძლიერ სიმპატიით ეკიდებიან რემედას ის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. არის შემთხვევები ნებაყოფლობითი ნივთიერ შემოწირულებებისა.

მახვილი.

ქ. ზ უ გ დ ი დ ი

რემედას-ის ზუგდიდის მაზრის კონფერენცია შესდგა 12 ოქტ. რაიონებიდან დაესწრო 40 დელეგატი. კონფერენცია გახსნა ამხ. ა. დგებუაძემ, პრეზიდიუმში არჩეულ იქნა შემდეგი ამხ. 1) პ. მამფორია, 2) თ. ბერაძე, 3) ა. დგებუაძე, 4) გ. ჭედია, 5) გ. ქობალია.

დამტკიცებულ იქნა დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება, 2) სამაზრო გამგეობის დამტკიცება, 3) ინფორმაციული მოხსენება მომავალ მუშაობის შესახებ, 4) სრულ. საქ. რემედას-ის კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევა, 5) მოხსენებები ადგილებიდან.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. პ. მამფორიას, რომელიც ასურათებს ძველ გამგეობის მუშაობას.

კონფერენციამ მოისმინა აგრეთვე ამხ. პ. მამფორიას ინფორმაციული მოხსენება მომავალ მუშაობის შესახებ—სთვლის მას დამაკმაყოფილებლად და დასძენს რაიონებში დაარსდეს დრამწრეები.

რაიონულ გამგეობების მოხსენებებისათვის და მათი დამტკიცებისათვის სიტყვა ეძლევა—დარჩელის რაიონიდან ამხ. ა. შოხიას და ჩხოროწყუს რაიონიდან ამხ. პირტახიას. მათი მოხსენებები კონფერენციამ მიიღო ცნობად და დაამტკიცა რაიონებში არჩეული გამგეობები.

შემდეგ არჩეულ იქნა სამაზრო კომიტეტი.

კონფერენციამ აირჩია სრულ. საქ რემედასის ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატები: 1) პ. მამფორია, 2) ა. შონია, 3) კ. მიქაია, 4) ხ. მალაშხია, 5) პირტახია, 6) ა. დგებუაძე, 7) შ. მამფორია, 8) დ. შელია.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ზუგდიდის მაზრის მშრომელთა მასსაში რემედას-ის საზოგადოება დიდი სიმპატიით სარგებლობს. მუშაობა დაიწყო 1923 წ. 15 ნოემბერს. პირველად ირიცხებოდა 35 წევრი. ადგ. ამხ. ენერგიული მუშაობის წყალობით ის სულ მოკლე ხანში მეტად თვალსაჩინოდ გაიზარდა. 1924 წლის 10 მარტში მოწვეულ სამაზრო კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 650 წევრი. დღიდან რემედას ის განყოფილების დაარსებისა ამხ. მეტად ენერგიულად მუშაობენ. სამაზრო კომიტეტის მიერ რემედას-ის სასარგებლოდ მოწყობილ სალამოზე შემოვიდა 49 მ., გაიყიდა ჟურნალ რემედას-ი 40 მანეთის. საწევრო გადასახადიდან შემოვიდა 291 მ. 45 კ. შემოვიდა შემოწირულების სახით 10 ცალი ოქროს ბეჭედი, 3 ნაჭერი ვერცხლი, 2 გიორგის ჯვარი—რაც უკვე გადაეცა დანიშნულებისამებრ.

უკანასკნელად მოწვეულ კონფერენციაზე წარმოდ-

მაზრაში აღწევს 4000-დე. ასეთი არაჩვეულებრივი ზრდა ამტკიცებს იმას, თუ რამდენად ძვირფასია რემედას-ის იდეები ყოველი მშრომელისათვის. რემედას-ის მუშაობის საქმე მაზრაში მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული.

გაიდე.

ქ. გ ო რ ი.

1923 წ. 13 ოქტომ. შესდგა ქ. გორში რემედას-ის სამაზრო კონფერენცია, რომელზედაც დაესწრენ, როგორც ადგილოგრივი, ისე რაიონების წარმომადგენლები, რიცხვით 18 კაცი. თავმჯდომარეობდა ამხ. ძინძიბაძე, მდივნობდა ამხ. ქუჩუკაშვილი.

მომხსენებლად გამოვიდა ამხ. მ. მესროპოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ რემედას-ის მაზრაში მუშაობა დაიწყო ა | წ. მარტში, იმავე დროს მოხდა წევრების მიერ ერთდროული დახმარების გაღება ერთი დღის ნამუშევრის სახით. შემდეგ სწარმოებდა სისტემატიურად გადასახადის შეტანა. მთელს მაზრაში ირიცხება 1.800 წევრი. საერთოდ რემედას-ის გორის კომიტეტი ენერგიულ მუშაობას აწარმოებს. შემოსულია 1.208 მ.ნ. 79 კაპ

კონფერენცია მეტად კმაყოფილი დარჩა მოხსენებით და აღნიშნა, რომ მომავალში უფრო ენერგიულად უნდა იქნეს გაჩაღებული მუშაობა.

მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა იგივე მომხსენებელმა—მან სთქვა: 6 თვის განმავლობაში უნდა ჩატარდეს კამპანიები, ამ ხნის განმავლობაში არ უნდა დარჩეს არც ერთი პროფკავშირის წევრი რემედას-ის წევრობის გარეშე. გამგეობამ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები—გლეხთა ფართე მასები ჩაითრიოს რემედას-ის რიგებში. უნდა იქნეს მიღებული ზომები, რომ მაზრის მასშტაბით მოეწყოს თვეში ორი წარმოდგენა. გამგეობამ უნდა მოაწყოს გაზეთების საშუალებით გამოწვევა—რემედას ის სასარგებლოდ. უნდა მოხდეს სრული აღრიცხვა წევრებისა. რაიონებში საწევრო გადასახადი უნდა იკრიფებოდეს აგრეთვე ნატურით. კონფერენციამ ამხ. მესრპოვის წინადადება მიიღო უცვლელად.

რემედას-ის გორის სამაზრო კომიტეტში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: 1) ძიმძიბაძე, 2) მესროპოვი, 3) გუთიკაშვილი, 4) ზახარიანცი, 5) სტეფანოვი, 6) მეტრეველი, 7) ფულიაშვილი. კანდიდატებად: არუტოვი და პარკაძე. სარევიზიო კომ. წევრებად: საყვარელიძე, ქუჩუკაშვილი და ლომიძე. კანდიდატად მესხიძე.

რემედას-ის სრულ. საქარ. ყრილობაზე გასაგზავნად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხ.: მესროპოვი, მეტრეველი, ზახარიანცი, ბაბლიძე, ფულიაშვილი და პაპიაშვილისა. კანდიდატებად: გუთიკაშვილი და ნოზაძე.

მუშკორაძე.

ქ. ფ ო თ ი

რემედას ის ფოთის ორგანიზაციამ დაიწყო მუშაობა ა. წ. თებ რვლის უკანასკნელ რიცხვებში. მუშაობა გამოიხატება შემდეგში: რემედას-ის ფონდის გასაძლიერებლად 24 თებერვალს ჩაატარებულ იქნა ქალაქში ყულაბებით ფულის შეგროვება. შემოვიდა—10. მ. 54 კ. მარტში სამჯერ გაიმართა საღამო, შემოვიდა—79 მან. 47 კაპ. და 1 გირ. სტერლინგი. აპრილში და მაისში გავრცელებულ „რემედას“-ი—რომლიდანაც შემოვიდა—12 მან. ივნისში გაიმართა კიდევ საღამო,—შემოვიდა 94 მ. 30 კ. ივლისში გამართულ საღამოზე შემოვიდა 61 მ. 71 კ. აგვისტოში კომიტეტმა დაიწყო წევრთა აღრიცხვა. რემედას ში ფართე მასსების ჩაბმის მიზნით გაეგზავნა ყველა პროფკავშირებს და უბნების უჯრედებს სათანადო მოწოდებებით. სექტემბერში კიდევ გამართა განყოფილებამ საღამო, რომლიდანაც შემოვიდა—30 მ. 80 კ. სექტემბერში შემოვიდა საწევრო გადასახადიდან 9 მ. 50 კ. ამჟამად ფონდი შეიცავს 298 მ. 32 კ. და 1 გირ. სტერლინგს.

ოქტომბრის პირველ რიცხვიდან კომიტეტმა დაიწყო უფრო ინტენსიური მუშაობა. ყველა პროფკავშირებში ჩაატარა წევრთა აღრიცხვის კამპანია. სრული ნებაყოფლობით რემედას-ის წევრებად ჩაეწერა 429 კაცი. კამპანიის ჩატარებისთანავე არჩეულ იქმნა ყველა კავშირებთან რწმუნებულები, რიცხვით 49 კაცი. 12 ოქტომბერს რწმუნებულთა კონფერენციაზე არჩეულ იქნა რემედას-ის ფოთის კომიტეტი, რომელშიაც შედიან შემდეგი ამხანაგები: 1) ჯოჯუა ნიკოლოზი, 2) ქავთარაძე იონა, 3) გოჩოლეიშვილი გრიგოლი, 4) ლაბარტყავა ბარნაბა, 5) დოლიძე პროკოფი, კანდიდატებად—შაპოვალოვი ვასილი და შუბლაძე იაკობი. სარევიზიო კომისიაში: 1) გველესიანი ექვთიმე, 2) მეკრელიშვილი გრიგოლი, 3) დუნდუა ქსენია, კანდიდატად—ჩიჯავაძე.

წევრთა აღრიცხვის კამპანიის ჩატარების შემდეგ სისტემატიურად შემოდის საწევრო გადასახადები. ზაფხულის პერიოდში განყოფილების მუშაობას ხელს უშლიდა სხვა და სხვა პირობები, რომლის გამოსასყორებლად მიღებულია ზომები.

№.

ს ი ღ ნ ა ღ ი.

1924 წ. 12 ოქტომბერს შესდგა ქ. სიღნაღში რემედას-ის პირველი სამაზრო კონფერენცია. დაესწრო დელეგატთა უმრავლესობა. თავმჯდომარეობდა ამხ. ჭანკიევი, მდივნობდა ამხ. ბანძელაძე. პრეზიდიუმში შევიდნენ: 1) ჭანკიევი, 2) მირიანიშვილი, 3) ვარსამოვი, 4) ბედანიშვილი, 5) ციციშვილი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) მომენტი და რემედას-ის ამოცანები, 2) განყოფილების ანგარიში, 3) მომავალ მუშაობის გეგმა, 4) სამაზრო გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევა 5) რემედას ის საქ. ყრილობისათვის დელეგატების არჩევა, 6) მიმდინარე საკითხები.

მომხსენებლად გამოდის ამხ. ჭანკიევი, რომელიც ასურათებს თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში გამეფებულ რეაქციას, თეთრ ტეროორს და იმ ზღაპრულ თავდასხმებს მუშათა კლასზე, რომელსაც აწარმოებს ბურჟუაზია ყვითელ ინტერნაციონალის დახმარებით. მომხსენებელი ეხება აგრეთვე რემედას-ის ორგანიზაციის უდიდეს მნიშვნელობას მსოფლიო მასშტაბით. აღნიშნავს თუ რა დიდი ღვაწლი და შრომა სჭირია თითეულ ჩვენთაგანს, რომ დაეხმაროს რევოლიუციის მებრძოლთ, ტყვე-კომუნარებს, რომლებიც იტანჯებიან კაპიტალის ციხეების ნესტიან სარდაფებში. გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: კონფერენციამ, მოისმინა რა ამხ. ჭანკიევის ფრიად საგულისხმო მოხ ენება, ფიცს სდებს სიღნაღის მაზრის მშრომელთა

ბურჟუაზიის ტყვე-რევოლიუციონერებს. სიღნაღის მაზრის მშრომელი მასსა ყოველთვის მზად იქნება გ უწიოს ძმური დახმარება იმ ტანჯულ ძმებს, რომლებიც მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის არ ერიდებიან ციხე-კატორღებს და სახრჩობელას.

განხილულ მუშაობის ანგარიშის შესახებ სიტყვას იღებს ამხ. ბილანიშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ რემედას-ის ორგანიზაციები არის ახლად დაარსებული, რის გამო მან ვერ მოასწრო მუშაობის სასურველ დონეზე დაყენება. მიუხედავად ამისა მაინც შევსძელით ჩატარება კვირეულების. ის აღნიშნავს, რომ წევრთა რაოდენობა მაზრაში უდრის 3500. შემოსულია ფული 761 მ. 27 კ. შემოწირულების სახით შემოსულია 28 მ. 87 კ და 6 გირ. ოქრო ვერცხლი. კონფერენცია მუშაობას ნაყოფიერად და დამაკმაყოფილებლად სთვლის. რის შემდეგ მოითხოვს მომავალში კომიტეტმა აწარმოოს ენერგიული მუშაობა. კონფერენცია ავალებს საშაზრო კომიტეტს იხელმძღვანელოს რემედას-ის სრ. საქ. პირველი კონფერენციის მიერ გამომუშავებულ გეგმით და გაატაროს ის ცხოვრებაში უცვლელად.

სამაზრო კომიტეტში არჩეული არიან შემდეგი ამხ. ამხ. 1) ვარამ შვილი მოსე, 2) ჯავახიშვილი ალექსი, 3) ჯანიძე პლატონ, 4) ნასიძე მიხა, 5) გოჩოლაშვილი ისმაილ, 6) ჭანკიევი ალექსანდრე, 7) გოგოლაშვილი ვანო, 8) ბილანიშვილი ბესო, 9) ხმალაძე ვასილი. კანდიდატებად: 1) მეტრეველი გიორგი, 2) ხუროშვილი და 3) მოსელოვი. სარევიზიო კომისიაში: 1) გაგნიძე, 2) დანელია, 3) მირაქოვი. კანდიდატები: 1) ტიციშვილი და 2) სისოევი.

რემედას-ის საქ. ყრილობაზე დელეგატებად გაიგზავნენ შემდეგი ამხ. აბხ. 1) ვარსანოვი, 2) ჯავახიშვილი, 3) ჯ.ჯანიძე, 4) ჭანკიევი, 5) მჭედლიშვილი, 6) გოკია, 7) ბილანიშვილი და 8) ექვთიმეშვილი.

გლეხკორი პ.

სამხრეთ-ოსეთი

რემედას-ის სამხრეთ ოსეთის ორგანიზაციების კონფერენცია შესდგა ქ. ცხინვალში 1924 წ. 10 ოქტ, სადაც დაესწრო მთელი ოლქიდან 235 წევრი და 591 მოქალაქე თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ბერგიზოვი, მდივნად—ააბ. ტომაევი.

კონფერენციამ მოისმინა რემედას-ის განყოფილების რწმუნებულთა ინფორმაციული მოხსენება. კონფერენცია სცნობს დამაკმაყოფილებლად განყოფილების მუშაობას და მიუთითებს—განყოფილებამ აწარმოოს უფრო ინტენსიური მუშაობა რაიონებში.

რემედას-ის საოლქო კომიტეტში არჩეულ იქმნენ შემდეგი ამხ. 1) ბუგულოვი, 2) ტიბილოვი, 3) ლოხოვი, 4) ჯიჩოევი, 5) ბეგიზოვი; კანდიდატებათ—გუჩმაზოვი და ვანეევი. სარევიზიო კომისიაში—1) ჯიოევი შიო, 2) ჯიოევი ივანე და 3) ჯიოევი სტეფანე.

რემედას-ის სრულიად საქ. პირველ ყრილობაზე დელეგატად გაიგზავნა ამხ. ვ. შავლოხოვი. სამხრეთ-ოსეთის რემედას-ის განყოფილებაში ირიცხება 450 წევრი. მუშათა და გლეხთა ფართე ფასებში ჩატარებულია აგიტაციაპროპაგანდა რემედას ის იდეების გარშემო. ნებაყოფლობითი შემოწ. სახით შემოვიდა 641 მ. 24 კ., 12½ მისხალი ოქრო, 2 გირი ვერცხლი მომავალში მუშაობის გასა-

რემედას-ის კონფერენცია სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა სახელით სთხოვს რემედას-ის აღმასკომს:

1) მიიღოს ყოველგვარი ზომები მსოფლიო ბურჟუაზიის და მე II ინტერნაციონალის გასანადგურებლად და პატიმარ კომუნისტების განთავისუფლებისათვის.

2) მიმართოს დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს მხარი დაუჭიროს ს. ს. რ. კავშირს მსოფლიო მტაცებლებთან ბრძოლაში.

3) აცნობოს კაპიტალის ტყვეებს, მებრძოლ კომუნარებს, რომ ჩვენ ყოველთვის მზად ვიქნებით დავეხმაროთ მსოფლიო პროლეტარიატს.

მოითხოვოს რემედას-ის აღმასკომმა დაუყონებლივი განთავისუფლება პოლიტიკური ტყვეებისა.

ძირს II ინტერნაციონალი და მუშათა კლასის მოსისხლე მტერი-ბურჟუაზია!

გაუმარჯოს რევოლიუციონურ კომპარტიას!

გაუმარჯოს III კომინტერნს!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის ძმურ-კავშირს!

გაუმარჯოს რემედას!

გლეხკორი.

პირველი ქართული დივიზია.

დივიზიის ნაწილებში რემედას-ის უჯრედების დაარსება დაიწყო ივლისში, რაც გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მაისში მოხდა 1901 წ. დაბადებულთა უვადო შვებულებაში დათხოვნა. იმ ხანებში ნაწილები სრულიად დაცარიელებული იყო. ამასთან ერთად ხდებოდა 1902 წ. დაბადებულ ახალწვეულთა ჯარში მიღება, რის გამო ნაწილები აწარმოებდენ წინასწარ მზადებას. გამოწვევის დამთავრების შემდეგ დაიწყო საკარეოდ გასვლა. აღნიშნულმა გარემოებებმა შეაფერხეს ივლისში რემედას-ის კამპანიების ჩატარება. იმ მიზნით, რომ დივიზიაში ყოფილიყო ერთიანი ხელმძღვანელობა, პოლიტ-განაყოფილებაში გამოყოფილ იქნა რწმუნებელი საქ. განყოფილებასა, რომელსაც დაევალა დივიზიის მასშტაბით უჯრედების ხელმძღვანელობა. გარდა ამისა შედგენილ იქნა დებულება, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბებულიყო ნაწილების უჯრედები. დებულებასთან ერთად სხვა მასალებიც თავის დროზე იქნა ჯარის ნაწილებში გადაგზავნილი. უნდა აღინიშნოს, რომ კამპანია ყველა ერთეულებში წარჩინებით ჩატარდა. ნაწილებში ყველა ჩაეწერა, როგორც პოლიტ-მეთაურთა შემადგენლობა, ისე წითელ არმიელებიც. ამჟამად არ აოის არც ერთი ნაწილი, სადაც არ არსებობდეს უჯრედი. უჯრედს ყავს საკუთარი ბიურო, რომელიც ხელმძღვანელობს მუშაობას. დივიზიაში რემედას-ის წევრებად ირიცხება 2.346 კაცი. საწევრო გადასახადები მიღებულია. სულ შემოსულია საწევრო ფული 88 მ. 20 კ. აგვისტოში ნაწილებს დაურიგდა 474 მ. საქ. ცეკას მიერ გამოცემული ფურცლები, რის გაყიდვას ხელი შეუშალა მომხდარმა მენშევიკურმა ავანტიურამ. სამხედრო კოოპერატივებსა და სასადილოებზე გადაცემულია 28 000 ცალი ფურცელი, რომელიც იყიდება სისტემატიურად. რაც შეეხება ჟურნალ „რემედას"-ის გავრცელებას, დაგზავნილია ჯარის ყველა ნაწილებში მოწოდებები გამოაგზავნონ ცნობები მუდმივი ხელის მომწერლების შესახებ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ რემედას-ის ორგანიზა-

თელ არმიელთა რიგებში, რომ წითელი არმია მზად არის არა მარტო საწევრო ფულის გაღებით დაეხმაროს რევოლიუციისათვის მებრძოლ ტყვე კომუნარებს, რომ ლთაც სტანჯვით კაპიტალის ბორკილები, არამედ მზათ არიან, როგორც ერთი კაცი, დაეხმარონ მათ ფიზიკურათაც— ბურჟუაზიასთან ბრძოლაში.

მებრძოლი.

მეორე ქართული დივიზია.

1924 წ. 7 ოქტომბერს შესდგა მეორე ქართ. დივიზიაში არსებულ რემედას-ის უჯრედების წარმომადგენელთა კონფერენცია, დაესწრენ: მე 4. 5, 6 ლეგიონების, დივიზიის სკოლის, საარტილერიო დივიზიის, მესანგრე ასეულის და საკავშირო—ასეულის წარმომადგენლები. თავმჯდომარეობდა ამხ. თალაკვაძე, მდივნობდა ამხ. ბლუაშვილი. დღის წესრიგი: 1) რემედასი-ს მნიშვნელობა საერთოდ, განსაკუთრებით ქართულ ჯარში, 2) ორგანიზაციულად ჩამოყალიბება ყველა ნაწ. რემედას ის უჯრედებისა, 3) მოხსენებები ადგილებიდან, 4) რემედას-ის სრ. საქ. ყრილობაზე დელეგატების არჩევა, 5) მიმდინარე საკითხები.

მოხსენებლად გამოვიდა ამხ. თალაკვაძე. ფრიად შინაარსიან მოხსენების შემდეგ კონფერენცია ადგენს: „საქართველოს წითელი ჯარი მუდამ იქნება ერთგული დარაჯი რევოლიუციისა“ და ის ხელს შეუწყობს უცხოელ ამხ., რომლებიც იტანჯებიან კაპიტალის ციხეებში. საქართველოს ჯარის ნაწილები არ დაზოგავენ გაიღონ თავიანთი მცირედი წვლილი რევოლიუციის მებრძოლთა დასახმარებლად“.

რემედას ის უჯრედების ორგანიზაციულ მხარეზე მოხსენებლად გამოდის ამხ ბლუაშვილი, რომელიც მოითხოვს პოლიტგანყოფილებიდან იქნეს ერთი ამხანაგი გამოყოფილი, რომელიც გაუწევს სამხედრო ნაწილებში არსებულ რემედას-ის უჯრედებს ხელმძღვანელობას და ექნება უშუალო კავშირი რემედას ის საქ. ცეკასთან. შეწყვეტილ იქნეს კავშირი მაზრის რწმუნებულთან, ვინაიდან სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციების მუშაობის გეგმა ვერ ეგუება ერთი-მეორეს, რის მიზეზათ ის ასახელებს მუშაობის სისუსტეს, რომელსაც ადგილი ქონდა დღემდის დივიზიის ნაწილებში.

მე 6-ე ლეგ. წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ იქ დღემდის არ არსებობს უჯრედი. მოითხოვს მის დაარსებას სასწრაფოდ.

მე 5-ე ლეგ. რწმუნებული ამბობს, რომ იქ არსებობს ძლიერი უჯრედი, რომელსაც ყავს 450 წევრი. უჯრედი დაარსდა თებერვალში. დღემდის არ ყოფილა სათანადო ხელმძღვანელობა. საწევრო გადასახადებიდან შემოვიდა 124 მ. 70 კ., რომელიც გადაეცა მაზრის რწმუნებულს.

4-ე ლეგ. არსებობს უჯრედი. შემოვიდა 250 მ., რომელიც ინახება ლეგ. სალაროში.

დივ-სკოლაშიაც არსებობს უჯრედი. მესანგრე ასეულშიაც არის უჯრედი, მუშაობა ვერ არის სასურველ დონეზე დაყენებული. საკავშირო ასეულის უჯრედში ირიცხება 22 წევრი. საარტილერიო დივიზიაში უჯრედს [illegible] 2 მ.

ბლუაშვილი. კონფერენციამ დაადგინა შეძენილ იქნეს საწევრო წიგნაკები და რემედას-ის ჟეტონები.

სამხკოური.

ბ ო რ ჯ ო მ ი.

რემედას-ის ბორჯომის ორგანიზაციების კონფერენცია შესდგა 1924 წ. 10 ოქტომბერს. დაესწრო 70 დელეგატი ბორჯომში არსებულ ყველა წარმოებებიდან. პრეზიდიუმში შევიდნენ შემდეგი ამხ: 1) კრავცოვი, 2) კოლიაშვილი, 3) ჟღენტი, 4) კიკნაძე და 5) კორნელი. მდივნებად—ლოტოევი და ოკრიდის

დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) რემედას-ის ადგ. ორგანიზაციის ანგარიშები—მოხსენება ამხ. ლოტოევისა, 2) რემედას-ის კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევა, 3) რემედას-ის სრ. საქ პირველ ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევა, 4) მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ლოტოევმა, რომელმაც აცნობა კონფერენციას ბორჯომის რაიონში რემედას ის განყოფილების მუშაობის შედეგები მცირე ხნის განმავლობაში.

მოისმინა რა კონფერენციამ ბორჯომის ბიუროს მუშაობის ანგარიშები, იცნო ისინი დამაკმაყოფილებლად და დაადგინა შემდეგი: 1) გაცხოველდეს სოფლის გლეხობაში მუშაობა, 2) მუშებისა და მოსამსახურების 100 პროც. ჩაირიცხოს რემედას-ის ორგანიზაციებში. 3) არ იქნეს მიღებული რემედას-ის ორგანიზაციაში უცხო და საეჭვო ელემენტები, 4) გაძლიერდეს რემედას ის ფურცლების განაწილება, 5) შეძენილ იქნეს რემედას-ის შესახებ ლიტერატურა, 6) ჩატარებულ იქნეს კამპანიები ყველა მუშებსა და გლეხებს შორის რემედას ის იდეების საფუძვლიანად გასაცნობად, 7) მოეწყოს ლექციები და სხვა.

ერთხმად არჩეულ იქნენ რაიონულ კომიტეტში შემდეგი ამხანაგები: 1) კიკნაძე სერგო, 2) პაკსაშვილი, 3) ნეკრასოვი, 4) მურადოვი, 5) ჯორჯაძე, 6) კაბელკინი და 7) ინჯია. კანდიდატებად: გელაშვილი ლევან და ლიტვინა ლიდია. სარევიზიო კომისიაში: 1) კორნელი, 2) კოლიაშვილი, 3) დიასამიძე და 4) კაპანაძე.

რემედას ის სრულიად საქ. I-ლ ყრილობაზე გასაგზავნ დ არჩეულ იქნენ შემდეგი ამხ.: 1) პაკსაშვილი ნიკოლოზი, 2) კაბელკინ ლეონიდ და ჯორჯაძე ელიზავეტა.

ტანკა.

ხ ა შ უ რ ი.

11 ოქტომბერს შესდგა ხაშურის რაიონის „**რემედასს**“-ის რწმუნებულთა 1-ელი კონფერენცია. დაესწრო წევრების უმრავლესობა. თავმჯდ. ამხ. მეტრეველი, მდივანი ამხ. გაგნიძე.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. 1) საყვარელიძე, 2) ფულიაშვილი, 3) ცაბაძე, 4) ნოზაძე, 6) მეტრეველი, 6) გაგნიძე და 7) ბლიაძე.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) რემედასის მნიშვნელობა და მისი ამოცანები, 3) ხაშურის რაიკომის მუშაობის ანგარიშები, 3) რემედას-ის რაიო-

ლეგატთა არჩევნები გორის სამაზრო კონფერენციაზე გასაგზავნად. 5) მიმდინარე საკითხები.

მოხსენება გააკეთა ამხ. საყვარელიძემ, რომელმაც ყოველმხრივი ახსნა-განმარტება მისცა ჩვეულებრივ დიად მიზნებს. აგრეთვე მიუთითა კონფერენციას ახალ ამოცანაზე. მოხსენების შესახებ კონფერენციამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „კონფერენცია, იღებს რა ბხედველობაში სოციალისტურ რევოლიუციის დღითი დღე ზრდას და მისგან გამოწვეულ ბურჟუაზიისა და მე-2-ე ინტერნაციონალის ლაქიების ძლიერ წყრომას, რომლის მსხვერპლი ხდება კაპიტალისტურ ქვეყნებში მრავალი საუკეთესო მებრძოლი კომუნარები, აცხადებს მთელი ქვეყნის პროლეტარიატის გასაგონად, რომ ხაშურის რაიონის მუშათა და გლეხთა შეკავშირებული რიგები ყოველთვის მზად იქნებიან დაიცვან საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესები“.

ხაშურის რაიონის რემედას-ის ბიუროს ანგარიშებზე სიტყვა ეძლევა ამხ. პ. მეტრეველს, რომელიც აღნიშნავს, რომ პარტამხანაგების 90 პროც. ჩაბმულია რემედასის მუშაობაში. წევრებს სისტემატიურად შემოაქვთ საწევრო გადასახადები, რაც იგზავნება დანიშნულებისამებრ ოავის დროზე. რემედას-ის წევრად ირიცხება 237 კაცი. კონფერენცია მუშაობას დამაკმაყოფილებლათ სთვლის და დასძენს, რომ უნდა იქნეს აგიტაცია პროპაგანდა გაწეული ფართე მასებში, რომ რემედას-ის მუშაობაში ჩათრეულ იქნეს ყველა მშრომელი.

რემედას-ის რაიონულ კომიტეტში არჩეულ იქნენ ამხანაგები: 1) ქებაძე, 2) პ. მეტრეველი, 3) ლაცაბაძე. 4) გაგნიძე და 5) ძინძიბაძე. კანდიდატებათ: 1) აბრამაშვილი და 2) ცაბაძე.

სარევ. კომ. არჩ. იქმნენ: 1) ნოზაძე გ. 2) ბლიაძე. 3) ლომიძე.

გორის სამაზრო კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატებად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხ.: 1) მეტრეველი. 2) ფულიაშვილი. 3) ლომიძე. 4) პაქსაშვილი 5) გაგნიძე. კანდ. მაკალათია და ნოზაძე.

ხაშურელი მუშა.

ს ა მ ტ რ ე დ ი ა.

სამტრედია-ში რემედას-ის მუშაობა დაიწყო მიმდინარე წლის დასაწყისში; მისი კომიტეტი ჯერ უშუალოდ იყო დაკავშირებული ცენტრთან, შემდეგ მაზრასთან, მერმე თვით ცენტრს დაუკავშირდა. სრულიად საქართველოს კონფერენციის შემდეგ ის მუშაობს სამაზრო მომიტეტის დირექტივებით.

პირველ პერიოდში, როგორც ყველგან, მისი მუშაობა არ იყო დამაკმაყოფილებელი. მიზეზები ბევრია, რომლის აღნუსხვას აქ არ შეუდგებით.

კონფერენციის შემდეგ, რომელიც გაიხსნა ტფილისში 15 ოქტომბერს, იწყება ახალი ხანა რემედას-ის მუშაობისა: შესდგა ახალი კომიტეტი, დაარსდა უჯრედები, სწარმოებს ძველი წევრების პერერეგისტრაცია და ახლების რეგისტრაცია. რიგდება საწევრო წიგნაკები, იკრიბება წარსული თვეების საწევრო გადასახადი.

წარმოება დაწესებულებების საშუალებით ნება-ყოფლობითი წესით საღდება ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოცემული ფასიანი ფურცლები (გადაცემულია 550 მ.)

მიღებულია დამატებით ცენტრალური კომიტეტიდან დაახლოებით 1,000 მან. ღირებულების ფასიანი ქაღალდები და 200 მან. ჟეტონები.

პროფკავშ რის წევრები დიდი ხალისით ეწერებიან რემედას-ის წევრებათ და სათანადო დახმარებას უწევენ ადგილობრივ კომიტეტს.

სოფლად მუშაობა გლეხებში ჯერ არ დაგვიწყია.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამტრედიის რემედასის კომიტეტი შესძლებს მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას.

მუშაობის პირველი პერიოდის ნაკლი უნდა გამოსწორდეს მეორე პერიოდში; ამის ნიშნები უკვე აშკარად სჩანს.

მერი.



ბიბლიოგრაფია

გ. მუშიშვილი.
მსოფლიო ომი.
სახელმწიფო გამომცემლობა.
ტფილისი 1924 წ. ტირაჟი 2000.

პროლეტარიატის მიერ განვლილი ბრძოლის საბედისწერო ეტაპები იმდენად მრავალფეროვანია და საშინელებით მოცული, რომ არა მარტო ისეთი დიდი მოვლენა, როგორიც იყო **მსოფლიო ომი**, წვიდმანიც კი დიდი ყურადღების ღირსია. საჭიროა ამ უმაგალითო სისხლის ღვრაზე, რომელიც ბურჟუაზიამ დაატრიალა თავის ბატონობის განსამტკიცებლად, წარმოდგენა ქონდეს ყოველ მშრომელს.

მიუხედავად იმისა, რომ 1914 წ. ომმა ძირფესვიანად შეარყია არა მარტო დამარცხებულ, არამედ გამარჯვებულ სახელმწიფოთა კულტურულ-ეკონომიური საფუძველი—მის მიერ გამოწვეული საშინელებანი ჯერ კიდევ სანახევროდ არ არის გამორკვეული. პროლეტარიატი, რომლის ზურგზედაც გადაიარა ამ უმაგალითო ომის ქარტეხილმა, ვალდებულია გამარჯვების 7 წლის თავზე რევიზია გაუკეთოს ბურჟუაზიისა და კაპიტალიზმის ნამოქმედარს. საჭიროა მსოფლიო მტაცებელთა 4 წლის „საქმიანობა"-ს გაუკეთდეს ჯამი.

მსოფლიო ომზე ძლიერ ბევრი დაიწერა, მრავალი თვალსაჩინო შრომებიც გამოქვეყნდა უცხო ენებზე, მაგრამ ჩვენი მკითხველები, განსაკუთრებით მუშები და გლეხები მოკლებულ იყვნენ ამას, მშობლიურ ენაზე მსგავსი წიგნის უქონლობის გამო. ჩვენი პოლიტიკური ლიტერატურა ამ მხრივ ძლიერ ღარიბია. ჩვენი მშრომელი ხალხი კმაყოფილდებოდა მხოლოდ იმ ცნობებით, რომელიც ჟურნალ-გაზეთებშია გაბნეული.

ამხ. **გ. მუშიშვილის** წიგნის **„მსოფლიო ომი"**-ს გამოსვლით ეს ნაკლი თითქმის გამოსწორებულია. ხსენებული წიგნი შეიცავს მეტად მდიდარ მასალას, ასე რომ უბრალო მკითხველიც საკმაოდ გაეცნობა არა მარტო 1914 წლის ომს და მის შემდეგ ეტაპებს, არამედ იმ ფარულ ომსაც, რომელიც არსებობდა 14 წლის ომამდე. ამ წიგნში სავსებით გადმოშლილია მსოფლიო ბურჟუაზიის სულისკვეთება, რომლითაც ის ლამობდა მთელი ქვეყნის დამორჩილებას. ეს წიგნი მეტად პოპულიარული ენითაა დაწერილი, ასე რომ სასურველია და აუცილებელი საჭირო მისი ფართე მასებში გავრცელება. განსაკუთრებით რემედას-ის წევრთა შორის, რადგანაც ეს წიგნი ნათელ წარმოდგენას მისცემს ყველა ჩვენს ამხანაგებს კაპიტალიზმისა და 2-ე ინტერნაციონალის ყვითელ „სოციალისტები"-ს მოღვაწეობაზე.

ამ წიგნის წაკითხვა სავალდებულოა რემედას-ის ყველა წევრებისათვის, რომ ნათლად წარმოიდგინონ, თუ ვისთან აქვს ევროპის მებრძოლ პროლეტარიატს საქმე. რემედას-ის ყოველი წევრი უნდა ცდილობდეს გაავრცელოს ის ფართე მასსებში, ამით ის ძლიერ ხელს შეუწყობს რემედას-ის იდეის გავრცელებასაც.

რემედას ის იდეასთან ერთად, საჭიროა ბურჟუაზიის „საქმიანობა"-საც იცნობდეს მშრომელი მასსები. ეს წიგნი კი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ამისთვის.

წიგნი ლამაზად არის გამოცემული და ღირს ათი შაური.

გაიდე.

ქრონიკა

— თანახმად რემედას-ის საქართველოს ცეკას დადგენილებისა 1925 წ. 1—7 იანვრამდე ტარდება რემედას-ის კვირეული.

— რემედას-ის კვირეულისათვის ცეკამ გამოსცა მხატვრული პლაკატი.

რემედას ის ცეკა ამ დღეებში გამოუშვებს ქართულ ენაზე კრებულს რემედას-ისკლუბებისათვის სახელმძღვანელოდ.

— თანახმად მოსკოვიდან მიღებულ ცნობებისა ს. ს. რ. კ—ში კვირეული ჩატარდა ფრიად ნაყოფიერად.

— რემედას ის ცეკამ მიიღო რემედას-ის აღმასკომისაგან კინო-სურათი «Красный тыл», რომელიც ნაჩვენები იქნება კვირეულის განმავლობაში საქართველოს სხვა და სხვა ქალაქებში უფასოდ.

— ცეკამ მიიღო აღმასკომისაგან აგრეთვე 9 სერია დიაპოზიტივ ბისა, რომელიც დაიგზავნება ადგილებს უფასოდ მათი მოთხოვნილების თანახმად.

— საქართველოს რემედას-ის ცეკა-სთან დაინიშნა ორი ინსტრუქტორი.

შემოვიდა ადგილებიდან ნოემბერში.

1. ტფილისის	კომიტეტიდან	825	მან. —	კაპ.
2. ქუთაისის	„	613	„ 54	„
3. აჭარისტანის	„	699	„ 06	„
4. სიღნაღის	„	500	„ —	„
	ს უ ლ	2637	მან. 60	კაპ.

მისაბაძი მაგალითი. ამხ. ნ. ლეჟავამ შემოიტანა ცეკას სალაროში 61 მან. 20 კაპ. შემოწირულების სახით.

პასუხისმგებელი რედაქტორი:
სარედაქციო კოლეგია.

მიიღება 1925 წლისათვის ხელისმოწერა

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართ. ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის ორგანოზე

ყოველდღიურ დიდ პოლიტიკურ გაზეთ

„კომუნისტ“-ზე

ხელისმოწერლებს, რომლებიც წინდაწინ შემოიტანებენ ხვედრ ფულს, დაურიგდებათ შემდეგი

უფასო დამატებები

1. „კომუნისტი“-ს ორკვირეული დამატება „ჩ ი რ ა ღ დ ა ნ ი“—8-დან 12 გვ.
2. „კომუნისტი“-ს ორკვირეული დ·მატება „მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა დ ა ტ ე ხ ნ ი კ ა—8-დან 12 გვ.
3. ფ. მახარაძის წიგნი: „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში“.
4. ფრ. ენგელსი: „კომუნიზმის პრინციპები“.
5. კ. ორაგველიძე: „რელიგია და მარქსიზმი“.
6. მიხ. ადამაშვილი-ჯავახიშვილი: „კ ვ ა ჭ ი კ ვ ა ჭ ა ნ ტ ი რ ა ძ ე“.

დამატებები შემდეგნაირად იქნება განაწილებული:

ყველა (თვიურიდან დაწყებული) ხელის მოწერლებს მიეცემათ უფასოთ

1. „ჩირაღდანი“ 2. „მეცნიერება და ტექნიკა“

ორივე გამოცემა დასურათებული იქნება.

გარდა ამისა

ექვსი თვით ხელის მოწერლებს, რომლებიც **წინდაწინ** შეიმოიტანენ ხვედრ ფულს—მიეცემათ:

1. ფ. მახარაძის **წიგნი**—„მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში“.
2. ფ. ენგელსის **წიგნი** „კომუნიზმის პრინციპები.
3. კ. ორაგველიძის—„რელიგია და მარქსიზმი“.

ერთი წლით ხელის მოწერლებს, რომლებიც **წინდაწინ** შემოიტანენ ხვედრ ფულს—მიეცემა

1. მიხ **დამაშვილის-ჯავახიშვილის** **წიგნი**

„კვაჭი კვაჭანტირაძე“

გ ა ზ ე თ ი ე ღ ი რ ე ბ ა:

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წ.-ალმიელების, მოსწავლე-ახალგაზრდობის და მასწავლებლებისათვის გაგზავნით

1 თვით	75 კაპ.		
2 „	1-43 „		
3 „	2—15 „	ყველა	
4 „	2—85 „	დანარ-	
5 „	3—55 „	ჩენები-	
6 „	4—25 „	სათვის:	

თფილისში მიტანით:		
1 თვით	1 მან.	
2 „	1—95	კაპ.
3 „	2—90	„
4 „	3—85	„
5 „	4—80	„
6 „	5—76	„
1 წლით	11—50	„

პროვინც. გაგზავნით		
1 თვით	1 მ. 20	კაპ.
2 „	2 მ. 35	„
3 „	3 მ. 50	„
4 „	4 მ. 65	„
5 „	5 მ. 80	„
6 „	6 მ. 95	„
1 წლით	13 მ. 85	„

საბჭოთა კავშირის სხვა კუთხებში გაგზავნ.ით 1 თვე 1 მან. 50 კაპ.
უცხოეთში გაგზავნით 1 თვე 2 მან. 50 კაპ.
გაზეთი გამოვა 4 დან. 6 გვერდამდე.

გაზეთს ჰყავს კორესპონდენტები ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქებში და დაბებში. საკმაოთ ფართო ქსელი კორესპონდენტებისა მოეპოება მას ჩვენს სოფლებში, მათი რიცხვი თანდათ-ნ იზრდება.

საკუთარი კორესპონდენტები: ბაქოში, ერევანში, კავკავში, მოსკოვში, ლენინგრადში, პარიზში, ლონ-

„აპტო“

სახელმწიფო მრეწველობის და ტრანსპორტის დამხმარე სააქციონერო საზოგადოების

ამიერ-კავკასიის განყოფილება

თბილისი, თავისუფლების მოედანი № 1 ტელ. № 16—31. რწმუნებული ქ. ბაქოში, კნუნიანცის გასავალი № 1. **ძირითადი თანხა 1 000.000 მ.** მიმდინარე ანგარიშები: სახელმწ. ბანკში № 691, სამრეწველო ბანკში № 44 და რუსეთის კოოპერ. ბანკში № 964. **დამაარსებელი აქციონერები.** ს. ს. რ. კ-ის სახგანკომი, ს. ს. რ. კ-ის სამრეწველო ბანკი.

გამგეობა: მოსკოვი, პეტროვკა 10. აქვს წარმომადგენლობა ნაწარმოებთა: მოსსუკნოსი, ლენინგრადის საღებავი ტრესტის, მოსკოსტის, ლენინგრადი—ტექსტილძაფების, საწერი მანქანების „მერსედესი“, მასტიაჟარტას, ჩვეულებრივი და სპეციალურ-ტანსაცმელის, სახელმწ. საპნის ქარხნის (ყოფ. კრესტოვნიკოვის) ყაზახში, ბოროვიჩივსკის კომბინატის და სხ., აგრეთვე მჭიდროთაა დაკავშირებული ს. ს. რ. კ-ის ტერიტორიაზე არსებულ სამრეწველო დაწესებულებებთან თავის ფილიალების საშვალებით.

სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატი

საბითუმო საწყობი

სომხის ბაზარი № 62. **ტელეფ.** № 4—35 და 17—55.

აქვს მრავალგვარი სელის, მატყლის, კამვოლის, ბამბანარევ და ტრიკოტაჟნი ნაწარ. — ქსოვილები

საწვრილმალო სავაჭრო: **სომხის ბაზარი № 6.**

საქართველოს ს. მ. უ. ს. სამკერვალო-მრეწველობის სახელმწიფო ტრესტი

„გრუზშვეიპრომ“

მელიქოვის ქ № 5, ტელეფ. 11—67.

აქვს განუსაზღვრელი რაოდენობა სამოქალაქო, სამხედრო, სპეციალური, კაცების, ქალების და ბავშების ტანსაცმელისა. ბითუმი ვაჭრობა სწარმოებს გამგეობაში. წვრილმანი ვაჭრობა ტრესტის მაღაზიაში. ფასები კონკურენციის გარეშე.

მოსკოვის რაიონის კამვოლის, საღებავების და საავრე ჟურო ფაბრიკების

სახელმწიფო განყოფილება

ს. ს. რ. კ. კამვოლის ტრესტი ს. მ. უ. ს.

ტფილისი, რუსთაველის ქ. № 9—ორიანტის გვერდით. გამგეობა: მ სკოვი, სოფიიკა № 17.

განყოფილებები: მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი, კიევი, ოდესა, როსტოვ-დონზე, ეკატერინბურგი, ნოვო-ნიკოლაევსკი, ტაშკენტი და ბაქო.

შალეული და ნახევრად შალეული ქსოვილების დიდი მარაგი ქალებისა და კაცების ტანსაცმელისათვის და კოსტიუმებისათვის, საბნებისათვის და სხვა.

კოოპერატივებსა და სახელმწიფო ორგანოებს შეღავათიანი პირობები.

კოოპერატივების ამიერ-კავკასიის კავშირი

„ზაკსოიუზი“

ა.-წ. 17 ნოემბრიდან

გადავიდა ახალ შენობაში

რუსთაველის პროსპექტზე № 34

ტელეფ.: გაიგების 4—00; ოპერატიულ—საკომისიო და საფინანსო გ-ნეოფ. 13—26.

საქართველოს ს. მ. უ. ს.

თამბაქოს ტრესტი

თბილისი, სომხის ბაზ. № 62

ტელეფონ: №№ 12 — 29 და 14 — 67

ერთ. ანებს ოთხ თამბაქოს ფაბრიკას

კარტონაჟის და წუმწუმის ფაბრიკებს და კრახმალის ქარხანას.

აქვს თბილისში 5 მაღაზია; წარმომადგენლობა და განყოფილებები ბაქოში, ბათუმში, ერივანში, სოხუმში, უკრაინაში („გუბაკტორგი“) და თურქესტანში.

ს. ს. ს. რ.

ს. მ. უ. ს. **„კოუტრესტი“** ს. მ. უ. ს.

თბილისი, კომუნალ. ქუჩა № 82; ტელეფ. 3—08 და 9—71.

კოუტრესტის ქარხნები და ფაბრიკები აკეთებენ: სხვა და სხვა ხარისხის ტყავებს: მძიმე, მჩატე, შიგრინი, საფიანი და ამმოძრავი ღვედები.

ფეხსაცმელი: სამოქალაქო და სამხედრო, წუღები, სანდლები, სკოროხოდები, აგრეთვე ნაბდისა და „ვოილოკის“ თბილი ფეხსაცმელი.

„ვოილოკა“: სხვა და სხვა ხარისხის ფილცები, ნაბდები, ტუჟურკები, საოფლეები და სხვა და სხვა განაკეთები „ვოილოკი“-სა და სხვა თბილ მატერიებიდან.

უნაგრების და ღვედებისა სატყავო-საგალანტერეიო და სამგზავრო ნივთები, აგრეთვე სამხედრო მორთულობანი.

წვრილმანით სავაჭრო:
სომხის ბაზარი № 6 ტელ 8—95

საგითუმო სავაჭრო:
სომხის ბაზ. № 62, ტელ. 12—85

პატარა დუქნები: № 1 სალდათის ბაზარი, № 2 დეზერტირის ბაზარი.

მიიღება შეკვეთები ტრესტის ყოველგვარ საქონელზე ცენტრალურ საამართველოში (კომუნალური ქუჩა № 82).

საქართვ. სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა

ს. მ. უ. ს.

პოლიგრაფიული ტრესტი

ქ. ტფილისი, ბროსეს ქ. № 2—ტელ. №№ 7—41 და 3—01 მისამართი დეპეშ.: ტფილისი „გრუზპოლიგრაფი"

ტრესტი აერთიანებს

ოთხ კარგად მოწყობილ **სტამბას**, რომელნიც ასრულებენ შეკვეთილებს ყველა ამიერ-კავკასიის და უცხო ენებზე.

გაერთიანებულ და გაფართოებულ **ლიტოგრაფიას**, რომელიც ასრულებს შეკვეთილებს მხატვრულ პლაკატებზე, ეტიკეტებზე, სურათებზე და სხ.

ასოთჩამომსხმელს—ერთად ერთს მთელ ამიერ-კავკასიაში, რომელიც მოწყობილია კარგად და ღებულობს შეკვეთილებს ა. | კ. ენების და უცხო ენების შრიფტებზე.

საუმაოს ასრულებს ჩქარა და ლამაზად.

აქვს **სკოლა პოლიგრაფიული წარმოებისა**, რომელიც ღებულობს სასტამბო შეკვეთილებს.

აქვს **საკანცელარიო მაღაზია**—ბითუმად და წვრილმანათ მოვაჭრე.

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა

რუსთაველის პროსპექტი № 31, ტელ. 6—43.

მაღაზიები:

1. რუსთაველის პროსპექტი—11, ტელ. № 3—89
2. პლეხანოვის პროსპექტი — 100 „ № 22—11
3. ავლაბარი, კახეთის მოედანი 1
4. თავისუფლების მოედანი 1

მაღაზიებში და განყოფილებებში მოიპოვება დიდძალი ლიტერატურა ყველა დარგიდან, როგორც საკუთარი გამოცემა, აგრეთვე ს. ს. რ. კ. გამომცემლობების.

რეგულიარულად ვიღებთ ახალ-ახალ წიგნებს.

უმაღლეს სასწავლებლისათვის, ტეხნიკუმებისათვის და შრომის სკოლებისათვის სახელმძღვანელოები მოსკოვის ფასებში, **ფასდაკლებით**.

სკოლებისთვის, ქოხ-სამკითხველოებისათვის და ლენინის კუთხეებისათვის ბიბლიოთეკების შედგენა.

დაკვეთები სრულდება დაუყოვნებლივ ბეს მიღებისთანავე

სახელმწიფო დაწესებულებებს, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს, სამეურნეო ორგანოებს, კოოპერატივებს და მუდმივ დამკვეთელებს ლიტერატურა ეთმობათ შეთანხმებით ფრიად შეღავათიან პირობებში.

მუშა-მოსამსახურეებს, როგორც კოლექტიურად, აგრედვე ცალკე პირებს ეძლევათ ფასდაკლებით, ნისიათ და თანდათანობით გადახდით.

სწარმოებს ხელის მოწერა ლენინის და ფილიპე მახარაძის სრულ თხზულებებზე, ყოველგვარ პერიოდულ გამოცემებზე და ჟურნალებზე როგორც ადგილობრივზე, აგრედვე რუსეთისაზე.

საკანცელარიო ნივთები, ნოტები და უახლეს დალტონის მეთოდის სახელმძღვანელოები.

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირი

ცეკავშირი

სავაჭრო განყოფილება საქართველოს კოოპერაციას

აწოდებს: ნავთს, მარილს, შაქარს, ფქვილს, ფართლეულობას, რკინის ⁄ სილიკატის ნაწარმოებებს, ასანთს, საპონს, საგალანტერიო ⁄ საბაყლო საქონელს, შაბიამანს, გოგირდს ⁄ სხვას.

ამზადებს: აბრეშუმის პარკს, სიმინდს, ვაშლებს, ნიგოზს, მატყლს, ლობიოს, ხორბალს, იაპონურ ლობიოს, ბამბას, თამბაქოს, არაყს, ღვინოს, ჩაის ⁄ სხვას.

აქვს საკუთარი განყოფილებ.: **ქუთაისში, სამტრედიაში, გორში, დუშეთში, თელავში, წნორისწყალში, ბათომში, ზუგდიდში** ⁄ წარმომადგენლობა **მოსკოვში.**

საწარმოო განყოფილება:

სტამბა (ტფილისში)—ასრულებს საქართველოს კოოპერატიული ორგანიზაციების სამუშაოს: იბეჭდება კოოპერატიული ლიტერატურა.

პირველი მექანიკური აბრეშუმის საქსოვი ქარხანა საქართველოში (ტფილისში)—მოწყობილია უკანასკნელი სისტემის მექანიკური დაზგებით: ამზადებს აბრეშუმის ყოველგვარ ქსოვილებს.

აბრეშუმის ძაფების ამოსალები ფაბრიკა (**სამტრედიაში**)—აბრეშუმის ძაფებათ დანაწილება.

აბრეშუმის ძაფების დამგრეხავი ქარხანა (**ხონში**)—ამზადებს ხვეულ აბრეშუმს.

კონსერვების ფაბრიკა (**გორში**)—წელიწადში სწარმოებს 70 000 ფუთი ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება. ამზადებს ხილის და ბოსტნეულის კონსერვებს, ტომატს, მარინადებს, ხმელ ხილეულობას, მარმელადს და ყოველგვარ პიურეს.

თამბაქოს ფაბრიკა (**სიღნაღში**)—ამზადებს იაფ-ფასიან თამბაქოს და პაპიროსებს სოფლის კოოპ-ვის.

ქერამიული ქარხანა (**ტფილისში**)—ამზადებს ელექტრონის სხვადასხვაგვარ ფაიანსის მოწყობილობებს.

ძეხვის ქარხანა (**ტფილისში**)—ამზადებს შაშხს და ძეხვის ნაწარმოებებს ქალაქის კოოპერაციისათვის.

აბრეშუმის პარკის მექანიკური სამშრალებელი—დღე და ღამის განმავლობაში აშრობს 1200 ფუთ აბრეშუმის პარკს.

ტექნიკურ დახმარებას უწევს საქართველოს ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს შენობების აგება-მოწყობის საქმეში.

ცეკავშირი.

საქართველოს
პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს ცენტრ.

წიგნის მაღაზია

(რუსთაველის პრ. № 22)

წიგნის მაღაზია აწვდის საქართველოს ყველა საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებს და კერძო დაწესებულებებს, როგორც წიგნებს, აგრეთვე საკანცელარიო და სასწავლო ნივთებს.

მომავალ სეზონისათვის დამზადებული აქვს დიდ-ძალი საქონელი.

განყოფილებები:

№ 2 კუთხე ვაგზლის და გოგოლევის

№ 3 მადათოვის ქ. № 9 გლეხის სახახლის შენობაში.

გამგეობა.

სახელმწიფო საექსპორტო და საიმპორტო სავაჭრო პანტორა

„ზაკგოლსტოგ“

(ძირითადი კაპიტალი 2.000.000 მან. ოქრ.)

ამზადებს სხვა და სხვა საექსპორტო საქონელს. **ღებულობს საკომისიოდ** საექსპორტო საქონელს საზღვარ გარეთ გასაყიდათ აქვს თავის საბითუმო საწყობი ყოფ. თამამშევის ქარვასლა, თავისუფლ. მოედანი, ტელ. 15—86:

გამგეობა, თბილისი კეცხოველის ქ. (ყოფ. ლორ. მელიქოვის) № 5, ტელ. 1—62 და 6—44.

ამიერ-კავკასიის ავტო-ტრანსპორტის სავაჭრო-საძრეწველო სააქციონერო საზოგ.

„ზაკავტოპროომტორგი“

გამგეობა ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი, სოლოლაკის ქუჩ. კუთხე. ტელეფ 6—84, მისამართი დეპეშისათვის: ტფილისი „ზაკავტომპროომტორგი“.

აწყობს: ავტომობილებით მიმოსვლას და ექსკურსიებს, **გადაყავს**: მგზავრები და ბარგი მთელ ამიერ-კავკასიაში, **ღებულობს**: ავტომობილების შეკეთებას და ყოველგვარ მექანიკ. სამუშაოს, **ყიდის**: მჩატე, საბარგო და სპეციალურ დანიშნულების ავტომობილებს, ველოსიპედებს და ყოველგვარ მოწყობილებას ავტომობილებისა და ველოსიპედებისა. ტრაქტორებს და ყველაფერს, რაც მათ სჭირდებათ, აგრეთვე ყოველგვარ ტეხნიკურ მოწყობილებას.

ა ქ ი რ ა ვ ე ბ ს ა ვ ტ ო მ ო ბ ი ლ ე ბ ს.

ТИПОГРАФИЯ
ГАЗЕТЫ

„ЗАРЯ ВОСТОКА“

ВЫПОЛНЯЕТ ВСЯКИЕ ЗАКАЗЫ

на печатание книг, брошюр, художественных бланков, всевозможных конторских, канцелярских, бухгалтерских книг и проч. на русском, грузинском, армянском и др. языках.

ТИПОГРАФИЯ оборудована наборными машинами, стереотипной, ратационной и друг. машинами, дающими возможность быстро и аккуратно выполнять все раб.

Заказы выполняются новыми шрифтами, полученными из **Москвы, Ленинграда** и **Германии.** На складе типографии имеются лучш. сорта бумаги, запасы которой вновь пополнены.

ყოველ

„ჩეფდა“

გამოდის ორ თვეში ერთხელ.

რუსთაველის პროსპექტი 22.

მიიღება ხელის მოწერა 1925 წლისათვის.

წლიური ფასი	. .	2 მ. 40 კაპ.
ცალკე ნომერი	. .	— 40 „

სწარმოებს აგრეთვე განცხადებების მიღებაც:

ერთი გვერდი ღირს	. .	100 მან.
ნახევარი გვერდი	. . .	60 „
მეოთხედი გვერდი	. . .	40 „

ფასი 50 პაპ.